The New ECONOMIST

INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL QUARTERLY JOURNAL, PRECISE AND REVIEWED

N1, 2021

ISSN 1512-4649

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ახალი ეკონომისტი

The Magazine "The New Economist"
HAS BEEN REVIEWED:
In "Georgian Reviewed Magazine" –
P.L.L.E. Institute of Techinform.
Identifiable in the **Google Scholar**
and **Research Gate** bases.
ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;

- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, (Business School ESM);
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;

- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;

- East European University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Nursultan).

ADDRESS: 5 A. Jorjadze str.,
0105, Tbilisi, Georgia.
Tel.: +995 (32) 2 990 576;
Mob.: +995 55 277 554; +995 (58) 944 800.

ჟურნალი "ახალი ეკონომისტი"
რეფერირებულია:
სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში „ქართულ რეფერატულ ჟურნალში".
იდენტიფიცირებადია **გუგლ სქოლარსა** და **რისერჩ გეიტსის** ბაზებში.

რეფერირებულად აღიარებულია:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, (ბიზნესის სკოლა ESM);
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ნურსულტანი).

მისამართი: საქართველო,
0105, თბილისი, ა. ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 2 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (58) 944 800.

E-mail: editor@neweconomist.com.ge; loidk@yahoo.com
web-site: www.neweconomist.com.ge; www.loi.com. ge

The New ECONOMIST

INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL QUARTERLY JOURNAL,

PRECISE AND REVIEWED N1(60), 2021, Vol. 16, Issue 1.

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;
Doctor of Business Administration,
Professor of Georgian Technical University;
Head of the Council of Scientists of Georgia;
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;
Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; GIVI BEDIANASHVILI; ROSTOM BERIDZE; SIMON GELASHVILI; RAMAZ GERLIANI; REVAZ GVELESIANI; VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Belarusia State University); WOLFGANG WENG (Berlin, Garmany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE (Rector of Kutaisi University); NATIA TURNAVA (Minister of Economy and Sustainable Development of Georgia); SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); MERAB KAKULIA; REVAZ KVATASHIDZE; ALEKSANDRE KVASHILAVA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Scool of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE (Head of Budget and Finance Committee of Parliament of Georgia); KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Garmany); ENVER LAGVILAVA; The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAZ LORDKIPANIDZE; SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasidenrt of Caucasus University in sciens field); LASHA MGELADZE; ELGUJA MEQVABISHVILI; DAVID NARMANIA (Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission (GNERC), Chairman); SOLOMON PAVLIASHVILI (Deputy Minister of Environmental Protection and Agriculture of Georgia); VAKHTANG SARTANIA; ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA; GELA SVIRAVA; LASHA TABATADZE (Risponsible Secretary); DAMETKEN TUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI (Dean of the School of Business, Computing and Social Sciences of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI (Rector of East European University); MICHAEL CHIKVILADZE; NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; VASIL KHIZANISHVILI; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Buziness Faculty of Sukhumi State University); IVANE JAGODNISHVILI (Professro of Georgian Technical University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); DIMITRI JAPARIDZE (Ilia State University, Dean of the Faculty Business, Technology and Education); MICHAEL JIBUTI (Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NANA JGHARKAVA.

ახალი ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №1 (60), 2021, ტ. 16, გამოც.1

ლოიდ ქარჩავა - **მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი.**

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბესაძე (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); **ნინო აბესაძე**; **ანზორ აბრალავა**; **იური ანანიაშვილი**; **თეიმურაზ ბაგუნაშვილი** (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); **ევგენი ბარათაშვილი**; **ელგერდ გატიაშვილი**; **გივი გედიანაშვილი**; **როსტომ გერიძე** (ბათუმის შ. რუსთაველის სახელმფიფო უნივერსიტეტი); **სიმონ გელაშვილი**; **რამაზ გერლიანი**; **რევაზ გველესიანი**; **ვლადიმერ გრიგოლაია** (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); **ალექსეი დანილჩენკო** (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი); **ვოლფგანგ ვენგი** (ბერლინი, გერმანია); **შოთა ვეშაპიძე**; **ნუგზარ თოდუა**; **გოჩა თუთბერიძე** (ქუთაისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); **ნათია თურნავა** (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი); **სერგეი იაკუბოვსკი** (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); **მერაბ კაკულია**; **რევაზ კვატაშიძე** (მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი); **ალექსანდრე კვაშილავა**; **გია კვაშილავა**; **მურთაზ კვირკვაია** (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); **ვასილ კიკუტაძე**; **ირაკლი კოვზანაძე** (საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე); **კახა კორძაია** (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); **პაატა კოღუაშვილი** (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); **ენვერ ლაგვილავა**; **ლორდი სტივენ ლორდ ლოიდ-გაგრატიონი** (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ინგლისი); **რევაზ ლორთქიფანიძე**; **შალვა მაჭავარიანი** (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); **ლაშა მგელაძე**; **ელგუჯა მექვაბიშვილი**; **დავით ნარმანია** (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე); **სოლომონ პავლიაშვილი** (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე); **ვახტანგ სართანია**; **ეთერ სარჯველაძე**; **ავთანდილ სილაგაძე** (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); **ალექსანდრე სიჭინავა**; **გელა სვირავა** (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); **ლაშა ტაბატაძე** (პასუხისმგებელი მდივანი); **დამეტკენ ტურეკულოვა** (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); **სლავა ფეტელავა**; **ლევან ქისტაური** (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); **რუსუდან ქუთათელაძე** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); **ეკატერინე შაკიაშვილი**; **თეიმურაზ შენგელია**; **გიორგი შიხაშვილი**; **ფაია შულენგაევა** (ყაზახეთის რესპუბლიკა); **ლალი ჩაგელიშვილი**; **დავით ჩერქეზიშვილი** (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი); **მიხეილ ჩიკვილაძე**; **ნიკო ჩიხლაძე**; **ავთანდილ ჩუთლაშვილი**; **ელენე ხარაბაძე**; **ეთერ ხარაიშვილი**; **რევაზ ხარებავა**; **ვასილ ხიზანიშვილი** (თელავის უნივერსიტეტი); **დავით ჯალაღონია** (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); **ივანე ჯაგოდნიშვილი** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი); **ჯამლეტ ჯანჯღავა** (მთავარი რედაქტორის მოადგილე); **დიმიტრი ჯაფარიძე** (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი); **მიხეილ ჯიგუტი** (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); **ნანა ჯღარკავა**.

სტატიაზე, მის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

© ჟურნალი „The New Economist“, „ახალი ეკონომისტი“, 2021წ.
© გამომცემლობა „ლოი“

ფასი 10 ლარი

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

EDITOR'S PAGE

There is a Solution for Everything, the Main Thing is to Find it ---------- 7

INTERVIEW

Interview with the Rector of the Georgian Technical University, Prof. With **David Gurgenidze** ------- 9

SCIENCE

SLAVA FETELAVA
Economic Policy Order in Georgia ---------- 15

LASHA TABATADZE
Circular Economy as Sustainable Development Paradigm ---------- 23

REVAZ KHAINDRAVA
Teacher E-Learning Space and Some Aspects of its Perfection ---------- 28

DAVID VEKUA
The Difficulties and Prospects of Attracting Venture Capital to Georgia ---------- 38

GIA KVASHILAVA
On the Origin and Development of Economy, Mathematics and the Art of Writing ---------- 44

AVTANDIL OKROTSVARIDZE
Tourism and Pandemic – Coronavirus (COVID-19) ---------- 57

EKATERINE LOMIA, TARIEL LOMIA
EU Policy in the South Caucasus Region and Georgia's Participation
in the European "Neighborhood Policy" and the "Eastern Partnership" projects ---------- 62

LALI OKROTSVARIDZE
The modern vision of Agritourism ---------- 71

NATIA TERTERASHVILI
Small business challenges in Georgia in the conditions of the COVID-19 pandemic ---------- 76

KETEVAN JOJISHVILI
The Role of Women's Organizations in the Regulation of the Georgian-Abkhazian Conflict -------- 84

SALOME AKHVLEDIANI
Financial Ratios and Key Performance Indicators for Hotel Operations ---------- 88

CONGRATULATION

Just be a Manly Man and Pray Wherever you Want, A Highly
Respected Person of all Time - Academician **Nodar Chitanava** is 85 ---------- 95

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

რედაქტორის გვერდი

გამოსავალი ყოველთვის არის, მთავარია, მივაგნოთ მას! ----------7

ინტერვიუ

ინტერვიუ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ
დავით გურგენიძესთან----------9

მეცნიერება

სლავა ფეტელავა
ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა საქართველოში ---------- 15

ლაშა ტაბატაძე
ცირკულარული ეკონომიკა, როგორც მდგრადი განვითარების პარადიგმა ---------- 23

რევაზ ხაინდრავა
პედაგოგის ელექტრონული საგანმანათლებლო სივრცე და
მისი სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი ---------- 28

დავით ვეკუა
ვენჩურული კაპიტალის მოზიდვის სირთულეები და პერსპექტივები საქართველოში ------ 38

გია კვაშილავა
ეკონომიკის, მათემატიკისა და წერის ხელოვნების ჩასახვა-განვითარების შესახებ --------- 44

ავთანდილ ოქროცვარიძე
ტურიზმი და პანდემია - კორონავირუსი (COVID-19) ---------- 57

ეკატერინე ლომია, ტარიელ ლომია
ევროკავშირის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონში და
საქართველოს მონაწილეობა „ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა“ და
„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში ---------- 62

ლალი ოქროცვარიძე
აგროტურიზმის თანამედროვე ხედვა ---------- 71

ნათია ტერტერაშვილი
მცირე ბიზნესის გამოწვევები საქართველოში COVID-19 პანდემიის პირობებში ---------- 76

ქეთევან ჯოჯიშვილი
ქალთა ორგანიზაციების როლი ქართულ-აფხაზურიკონფლიქტის დარეგულირებაში------ 84

სალომე ახვლედიანი
სასტუმროს საქმიანობის შესაფასებელი ფინანსური კოეფიციენტები და
შესრულების ძირითადი მაჩვენებლები (KPI) ---------- 88

მილოცვა

„კაცი იყავ კაცური და იქ ილოცე, სადაც გინდა“,
ყველა დროში დაფასებული პიროვნება, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა 85 წლისაა!---------- 95

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

გამოსავალი ყოველთვის არის, მთავარია, მივაგნოთ მას!

ლოიდ ქარჩავა
მთავარი რედაქტორი,
ბიზნესის ადმინისტრირების
დოქტორი, პროფესორი.
ელ.ფოსტა: loidk@yahoo.com

ჩემთვის, როგორც რედაქტორისთვის, მეტად სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ჟურნალს საკმაოდ ბევრი ადამიანი კითხულობს, და მათი რიცხვი ჩქარი ტემპით იზრდება. ამას ადასტურებს შემომსვლელთა მრიცხველი ჩვენს განახლებულ ვებგვერდზე, საიდანაც ჩანს, რომ უკვე ყველა კონტინენტზე ათასობით მკითხველი გვყავს.

სანამ ძირითად სათქმელს ვიტყოდე, მინდა მკითხველს ვაუწყო, რომ ჩვენი ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სოლომონ პავლიაშვილი არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად. ვულოცავთ ბატონ სოლომონს ამ დიდ სამეცნიერო წოდებას და კვლავაც წარმატებებს ვუსურვებთ პირად, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

პრობლემა, რომელსაც დღეს მინდა შევეხო, არ არის ლოკალური ხასიათის, არც რეგიონული, და ან ერთი ქვეყნის მასშტაბის. ვინაიდან ჟურნალი საერთაშორისოა, მეც შევეცდები საერთაშორისო, პლანეტარულ, გლობალურ საკითხებზე გავამახვილო ყურადღება. რა თქმა უნდა, მე არ მაქვს პრეტენზია, რომ აღნიშნული საკითხები რედაქტორის გვერდზე ერთი კალმის მოსმით გადავწყვიტო, მაგრამ შევეცდები, კონტურები მაინც გამოვსახო და სტრატეგიული მიმართულებების თუნდაც ერთი შტრიხი გამოვყო, საკითხი მაინც დავსვა...

ზოგადად, პრობლემები ყოველთვის იყო და იქნება, მაგრამ ადამიანები იმიტომ სწავლობენ და შრომობენ, რომ ეს პრობლემები დაძლიონ, რათა მეტ-ნაკლებად ჰარმონიული გახდეს ცხოვრება. ხანდახან გვეჩვენება, რომ პრობლემა დაუძლეველია, უიმედობა გვძლევს ხოლმე და შუა გზაზე მივატოვებთ საქმეს. თუმცა, **გამოსავალი ყოველთვის არის, მთავარია, მივაგნოთ მას!**

და მაინც, რისი თქმა მინდა დღეს, რატომ ჩავთვალე მიმემართა მკითხველისათვის?

კაცობრიობა უხსოვარი დროიდან ვითარდება. თავიდან ეს პროცესი ნელა მიმდინარეობდა. როცა ადამიანმა მეტყველება დაიწყო, ტემპი ცოტათი აჩქარდა, მაგრამ ეს აჩქარებაც იმდენად ნელი იყო, რომ მაშინდელი თაობები ამას ვერც ამჩნევდნენ. შემდეგ შემოიღეს დამწერლობა, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა საზოგადოების განვითარება. მას მოჰყვა ბეჭდვა, ანუ შესაძლებელი გახდა ინფორმაციის ტირაჟირება და შესაბამისად, საზოგადოების განვითარება უფრო მეტი ტემპით დააჩქარა. მერე მოდის ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო, ტელევიზია და კომპიუტერი. ამ უკანასკნელს მოჰყვა ინტერნეტი და განვითარება უფრო და უფრო დაჩქარებული ტემპით წინ მიდის, და სანამდე მიიყვანს საზოგადოებას, ესეც არავინ იცის. . .

2020 წელი პლანეტის მაცხოვრებელთათვის გახდა დამაფიქრებელი იმ თვალსაზრისით, რომ თურმე, ერთ მშვენიერ დღეს, „COVID-19"-მა ყველას შეიძლება მიაკითხოს და იმ ქვეყნადაც კი გაისტუმროს. ამან მოაზროვნე საზოგადოება დაფიქრა და გაჩნდა საფუძვლიანი კითხვები: სწორად ვითარდება თუ არა საზოგადოება? პასუხი არც თუ ისე მარტივია, მაგრამ დავსვამ კითხვებს, რომელიც არაერთხელ დაუსვამთ მეცნიერ-მკვლევარებს და საკუთარი თვალთახედვაც დაუფიქსირებიათ:

საით მიდის კაცობრიობა?

ადამიანი ხომ „ჰომო საპიენსია" - გონიერი ადამიანი. მართლაც, რამდენი რამ შესძლო ადამიანის გონებამ ტექნოლოგიური მიღწევების სახით, რის გამოც „მსოფლიო დაპატარავდა", მაგრამ ამავე დროს, შეინიშნება მეტად დამაფიქრებელი ტენდენციები:

- ადამიანთა მცირე ჯგუფებმა „შექმნეს"

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

უზარმაზარი ფინანსური იმპერიები, იმდენი კაპიტალი, რომელსაც ვერ იყენებენ ფაქტობრივად. უფრო მეტიც, ხშირად შეიძლება საზოგადოების საზიანოდაც გამოიყენონ. უმეტეს შემთხვევაში, ეს ფინანსურად მდიდარი ადამიანები არ გამოირჩევიან ნიჭიერებითა და გონიერებით. ისინი მხოლოდ მომხვეჭელობით არიან დაკავებულნი, რამაც შეიძლება ავადმყოფურ მდგომარეობამდეც მიიყვანოს ადამიანი*, ბევრს მემკვიდრეობით აქვთ მიღებული დიდი ქონება და თავის გავლენებს სხვის დასამორჩილებლადაც იყენებს**.

- ხშირად, შესაძლოა, მდიდარი ადამიანების გამდიდრების წყარო სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოპარული ფულია, ან ჩინოვნიკების მოსყიდვით მიღებული პრივილეგიების „წყალობა" (მაგ., საბიუჯეტო გადასახადისგან გათავისუფლება, სახელმწიფო ქონების სიმბოლურ ფასად მიღება, სახელმწიფო ტენდერებში დაუმსახურებელი „გამარჯვება" და ა. შ.), ან სხვა არალეგალური გზით მიღებული შემოსავალი. (ეს არაა მხოლოდ საქართველოს პრობლემა, არამედ, ეკონომიკურად მაღალგანვითარებული სახელმწიფოს „ავადმყოფობაა" პირველ რიგში). ასეთი ფულის გადამალვის „საწყობი" გახდა ე. წ. „ოფშორული ზონები", სადაც დალექილია ათეულობით ტრილიონი აშშ დოლარი. ამ დროს მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი შიმშილობს, პირდაპირი გაგებით.
- ვფიქრობ, საგანგაშოა მსოფლიოში მიმდინარე ტენდენცია, სადაც მდიდარი ადამიანები ხელისუფლებაში მიილტვიან, რათა კიდევ უფრო მეტი კაპიტალი დააგროვონ და სხვადასხვა ფორმით გადამალონ. ეს შეიძლება იყოს საქველმოქმედო ფონდიც. ხშირია ფსევდოუცხოური ინვესტიციები, როცა უცხოელის სახელით თვითონ აკეთებენ ინვესტიციებს საკუთარ ქვეყანაში და გაუგონარ შეღავათებს იღებენ სახელმწიფოსგან.
- ხშირად ეს მდიდარი ადამიანები ქველმოქმედებად გვევლინებიან. თავიანთ ქონებას გადასცემენ საქველმოქმედო ფონდს, რომელსაც თავისივე ოჯახი ან მის მორჩილებაში მყოფი ადამიანი მართავს. საკითხავია, რამდენად საქველმოქმედოა ამ ფონდების საქმიანობა. როგორც წესი, ისინი აფინანსებენ ზოგადად პოპულარულ ობიექტებს (ეკლესია, კულტურის ძეგლი) ან სუბიექტებს (მსახიობები, მომღერლები, მწერლები). ამ დროს ჭშმარიტ მეცნიერთა დიდი ნაწილი შიმშილობს ან შიმშილის ზღვარზეა. ამ უკანასკნელთ კი შესწევთ რეალურად გადაჭრან პრობლემები.
- რა თქა უნდა, მდიდართა შორის არიან პატიოსანი გზით გამდიდრებული ადამიანები, მაგრამ ძალიან ხშირად, მათ არ გააჩნიათ მაღალი ინტელექტი. მათ იციან მხოლოდ „ფულის კეთება". ამ ადამიანებს არ შესწევთ უნარი საზოგადოებას რომ უკარნახონ, რა გააკეთონ და რა - არა. მაგრამ მსოფლიოში წამოვიდა ტენდენცია, რომ რაკი ფული აქვთ, და თანაც ძალიან ბევრი, რის წყალობითაც მიჩვეულნი არიან მბრძანებლობა, უკვე ხელისუფლებაში მოდიან. თუმცა, ისიც არ იციან, რომ ბიზნესის მართვა და სახელმწიფოს მართვა, ეს სრულიად განსხვავებული საქმიანობაა. უფრო მეტიც, ცნობილი ამერიკელი ბიზნესმენი ქალი ლილიან ვერნონი (Lillian Vernon) 35 წლიანი წარმატებული სამეწარმეო საქმიანობის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოქმედი საწარმოს მართვა და მეწარმეობა სხვადასხვა საქმეა***.

როგორც ვხედავთ, პრობლემები აღურიცხავია, რომელიც მასშტაბურია და არა ლოკალური, ხოლო ჩემს მიერ ჩამოთვლილი მხოლოდ მცირედია ურიცხვთა შორის. ვისურვებდი, ამ და მსგავს პრობლემებზეც უფრო მეტი სამეცნიერო სტატია მიმეღო ჩვენი ჟურნალისთვის. მაინც ოპტიმისტურად დავასრულებ დღევანდელ სათქმელს: **გამოსავალი ყოველთვის არის, მთავარია, მივაგნოთ მას!**

წარმატებებს გისურვებთ ჩემო მკითხველო!
ღმერთი გფარავდეთ თქვენ და
სრულიად საქართველოს!
31.03.2021

---

* 2007-2008 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის დროს აშშ-ში ერთ-ერთი ბიზნესმენის აქტივების აქციათა ფასი 7 მილიარდიდან 3,5 მილიარდ აშშ დოლარამდე დაეცა. ამ ადამიანის გონებაც იმდენად დაეცა, რომ მატარებელს ჩაუვარდა და ასე მოკლა თავი.

** ესეც აშშ-ში მოხდა: ერთ-ერთი მილიარდერის ერთ-ერთი მემკვიდრე, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო უზარმაზარი ფული და ქონება, ხოლო გონიერებით ვერ იყო მთლად სრულყოფილი, ეგონა ყველაფრის უფლება ჰქონდა და ადამიანებს ისე ექცეოდა, როგორც მონებს. ამით შელახა ადამიანთა ღირსება და პრინციპულმა ადამიანებმა არ გააკეთეს ის, რის გაკეთებასაც ის ითხოვდა. მან ეს ვერ აიტანა და მოკლა „არდამჯერე" ადამიანი, რიც გამოც ის გაასამართლეს, ციხეში ჩასვეს და იქვე გარდაიცვალა.

*** ლ. ქარჩავა, გამოჩენილ ბიზნესმენთა სამეწარმეო ცხოვრებიდან, ლოი, თბ., 2006, გვ. 193.

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

ინტერვიუ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ დავით გურგენიძესთან

- ბატონო დავით, პირველ რიგში მადლობას მოგახსენებთ, რომ დრო გამონახეთ კითხვებზე საპასუხოდ. მართალია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ) საუკუნოვანი უნივერსიტეტია და ყველასათვის ცნობილია, მაგრამ იქნებ მოკლედ შევახსენოთ უნივერსიტეტის ისტორია ჩვენს მკითხველს.

- საქართველოს ტექნიკური უნვიერსიტეტი არის საინჟინრო განათლების პირველი კერა არა მხოლოდ საქართველოში, არმედ სამხრეთ კავკასიის რეგიონში. დროის გარკვეულ მონაკვეთში სტუ იყო ყველაზე მსხვილი ტექნიკური უნივერსტიტეტი ყოფილ საბჭოთა კავშირში და მისი კურსდამთავრებულების წვლილი უმნიშვნელოვანესი იყო მთელი რეგიონის ეკონომიკის განვითარებასა და საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში. ფასდაუდებელია საქართველოს ტექნიკური უნვიერსიტეტის წვლილი ქართული მეცნიერების წინაშე, ეროვნული საინჟინრო კადრების მომზადებაში, საინჟინრო და ტექნიკურ მეცნიერებათა განვითარების საქმეში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებით საფუძველი ჩაეყარა კავკასიისა და საქართველოს უმაღლეს ტექნიკურ განათლებას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დაარსდა 1922 წელს. უნივერსიტეტის დაარსებას ფრიად მასშტაბური მოსამზადებელი საქმიანობა უძღოდა წინ, რომელიც იმ დროისათვის თითზე ჩამოსათვლელი საინჟინრო განათლების მქონე ქართველი ერისკაცების დიდი ძალისხმევის შედეგად წარმა-

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

ტებით დაგვირგვინდა. უნივერსიტეტის დაარსებას სათავეში ედგნენ ევროპული განათლების მქონე ადამიანები, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები და მეცნიერები - ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ალექსანდრე დიდებულიძე, ანდრია რაზმაძე, გიორგი ნიკოლაძე და სხვები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის წევრია და ხელმძღვანელობს ევროპის უნივერსიტეტთა დიდი ქარტიის პრინციპებით.

- ერთი წელიც არაა დარჩენილი უნივერსიტეტის იუბილემდე და რა ღონისძიებებია დაგეგმილი ამ თარიღის აღსანიშნავად?

- როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის საინჟინრო განათლების წამყვან საგანმანთლებლო და სამეცნიერო დაწესებულებას, დაარსებიდან 100 წელი უსრულდება. საუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებას გეგმავს, მათ შორის: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის, სტუდენტური კონფერენციის, ფაკულტეტებისა და ინსტიტუტების საიუბილეო ღონისძიებების, ფოტო-გამოფენის, საიუბილეო კონცერტების, დაჯილდოებების. ღონისძიებებში ჩართული იქნებიან კურსდამთავრებულები, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, მოწვეული სტუმრები საქართველოდან და უცხოეთიდან.

- რას მიაღწია უნივერსიტეტმა 100 წლის მანძილზე?

- უმნიშვნელოვანესია სტუ-სა და მისი კურსდამთავრებულების წვილილი და გავლენა საქართველოსა და რეგიონის ეკონომიკასა და განვითარებაზე. კერძოდ, ქართველმა ინჟინრებმა უდიდესი წვილი შეიტანეს მეტალურგიულ მრეწველობაში, მათ მიერ შექმნილი ტექნოლოგიები დაინერგა საფრანგეთში, გერმანიაში, იაპონიასა და შვეიცარიაში. საქართველოს გარდა, ქართველი ინჟინრები მუშაობდნენ და მუშაობენ ხიდების, ჰიდროელექტროსადგურების, წყალსადენების მშენებლობაზე ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ქართველ ინჟინრებს მიუძღვით მნიშვნელოვანი წვილი უნიკალური კოსმოსური და სარაკეტო ტექნოლოგიების დამუშავებაში. პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი ორბიტაზე 1999 წელს გავიდა.

ქართველი ინჟინრები და მეცნიერები აქტიურად თანამშრომლობდნენ ბირთვული ტექნოლოგიების განვითარებაზე აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ-ის მასშტაბით, მონაწილეობდნენ მიწისქვეშა ნაგებობებისა და მეტროპოლიტენების მშენებლობაში, მათ შექმნეს დიდი სიზუსტის ტოპოგეოდეზიური პროექტი, რომელიც საფუძვლად დაედო თბილისის უნიკალური მეტროპოლიტენის მშენებლობას.

ქართველი ინჟინრების მიერ ხორციელდებოდა და ახლაც ხორციელდება ქვეყნისა და რეგიონისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის სამშენებლო პროექტები. მაგალითად, რეგიონისათვის ისეთ მნიშვნელოვანი პროექტის დაპროექტებაში, როგორიცაა ენგურჰესი, ქართველ ინჟინრებს უდიდესი წვლილი მიუძღვით. ახალგაზრდა ქართველი ინჟინრის ხელმძღვანელობით, 1943 წელს მდ. დნეპრზე ოთხ დღეღამეში 360 მეტრიანი სიგრძის ხიდი აიგო.

ფასდაუდებელია ქართველი ინჟინრების ღვაწლი ქიმიურ-ფარმაცევტული წარმოების და, ასევე, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ტექნოლოგიების დამუშვების შექმნაში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არის ოფიციალური წევრი მსოფლიოს ისეთი წამყვანი საერთაშორისო კოლაბორაციების (ექსპერიმენტების) როგორიცაა: CMS ექსპერიმენტი (CERN-LHC, შვეიცარია), COMET ექსპერიმენტი (KEK, J-PRC, იაპონია) და LBNF/DUNE ექსპერიმენტი (Fermilab, ამერიკა). შესაბამისად, აქვს მჭიდრო ურთიერთობა (ხელშეკრულებები) ბირთვული და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის მსოფლიოს ისეთ უდიდეს ცენტრებთან, როგორებიცაა CERN (ჟენევა, შვეიცარია), KEK, J-PARC (ცუკუბა, ტოკაი, იაპონია), FERMILAB (ჩიკაგო, ამერიკა). ამ კოლაბორაციებში სტუ-სთან ერთად მონაწილეობს დაახლოებით მსოფლიოს 85 ქვეყანა, 300-მდე უნივერსიტეტი და სამეცნიერო ცენტრი, 4000-მდე მეცნიერ-თანამშრომელი და ინჟინერი.

სტუ-ს სტრატეგიული მიზანია იყოს საინჟინრო და ტექნიკური განათლების ფლაგმანი, იყოს ინოვაციებზე ორიეტირებული, ევროპული ტიპის უმაღლესი სასწავლებელი.

- თუ არის სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებული პროგრამები?

- სტუ-ში ხორციელდება უნიკალური საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა ანალოგი სხვა სასწავლებელში არ მოიძებნება. აღნიშნული პროგრამები ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. საერთო ჯამში სტუ-ში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული 25 საგანმანათლებლო პროგრამაა.

- რომელია ყველაზე მოთხოვნადი სპეციალობები?

- სტუ-ში სწავლების სამივე საფეხურზე განხორციელებული საგანამანთლებლო პროგრამები თავისი მიმართულებებით მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანია დასაქმების ბაზარზე. რაც შეეხება მოთხოვნად სპეციალობებს, გასათვალისწინებელია ერთის მხრივ, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებული სტუდენტების რაოდენობა. ამ მხრივ გამორჩეულია ბიზნესის ადმინისტრირების, სამართალისა და საერთაშორისო ურთიერთობების, ინფორმატიკის საგანამნათლებლო პროგრამები. მეორეს მხრივ, გვაქვს საგანამანთლებლო პროგრამები, სადაც კონკურსი იმდენად დიდია, რომ არსებული ადგილების რაოდენობა უფრო მცირეა, ვიდრე სწავლის მსურველთა რაოდენობა. მაგალითად, ასეთი პროგრამებია მშენებლობა, არქიტექტურა, აგროტექნოლოგიები, მევენახეობა და ა. შ.

- პროცენტულად სად რამდენი სტუდენტი სწავლობს?

- დღეს სტუ-ში ფუნქციონირებს 15 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და 12 ფაკულტეტი, რომლებიც საუნივერსიტეტო განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებენ 172 საგანმანათლებლო პროგრამას. რაც შეეხება რაოდენობრივ თანაფადრობას, იგი შემდეგნაირად გამოიყურება: საბაკალავრო სწავლების საფეხურზე სწავლობს სტუდენტთა 81%, სამაგისტრო სწავლების საფეხურზე _ სტუდენტთა 13%, სადოქტორო სწავლების საფეხურზე _ სტუდენტთა 5%, ხოლო ქართული ენის მომზადების საგამანათლებლო პროგრამაზე - სტუდენტთა 1%.

- თქვენი რექტორად არჩევის შემდეგ ბევრი რაციონალური სიახლე და ნოვაცია განხორციელდა პანდემიის პერიოდის მიუხედავად. რა სიახლეებია უნივერსიტეტში?

-2020 წელი ჩვენი ქვეყნისთვის დატვირთული იყო მნიშვნელოვანი გამოწვევებითა და მოვლენებით. უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელმაც მსოფლიოს დღის წესრიგი შეცვალა, იყო კორონა (COVID-19) ვირუსით გამოწვეული ეპიდემია, რომელმაც ცხოვრების, საქმიანობისა და ურთიერთობის ახალი წესები შემოიტანა სამყაროში. ჩვენ მოგვიხდა საქმიანობის სტილის შეცვლა და ცხოვრება ვირუსთან ერთად, მაგრამ შევძელით მეტად მნიშვნელოვანი რამ - არ შევაჩერეთ უნივერსიტეტის ფუნქციონირება და წარმატებით ვაგრძელებთ ჩვენს ძირითად საქმიანობას - სასწავლო და სამეცნიერო მოღვაწეობას. უდიდესი მადლობა ჩვენი დიდი საუნივერსიტეტო ოჯახის თითოეულ წევრს დაუღალავი შრომისთვის, საქმისადმი თავდადებისთვის და ჩვენი მომავალი თაობის ღირსეულად მსახურებისთვის.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2020-2024 წლების განვითარების სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, საუნივერსიტეტო ღონისძიებები და აქტივობები რამდენიმე მიმართულებით წარიმართა. კერძოდ, მიმდინარე წლის 28 თებერვალს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით უნივერსიტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციის განხორციელების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის შემუშავება, საშტატო ერთეულების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა, სტრუქტურული ერთეულების დებულებების პროექტების შედგენა და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება.

სამუშაო ჯგუფმა აღნიშნული დავალებიდან გამომდინარე განსაზღვრა რეორგანიზაციისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა და მიზნად დაისახა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ფუნქციური ანალიზის ჩატარება. აღნიშნულმა ჯგუფმა (აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში) წარმოადგინა შუალედური ანგარიში რეორგანიზაციის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. საბოლოო ჯამში, შემუშავებული იქნა სრულიად ახალი ორგანიზაციულ-სტრუქტურული მოწყობის ოპტიმალური მოდელი, განისაზღვრა საჭირო ფუნქციები და ბიუჯეტი, რაც უნივერსიტეტში სისტემური და ეფექტიანი მმართველობის შესაძლებლობას იძლევა. 2021 წლიდან იგეგმება წარმოდგენილი სტრუქტურის, საშტატო ერთეულებისა და დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში რეორგანიზაციის განხორციელება.

სწავლა-სწავლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის სტრატეგიული პრიორიტეტია. 2020 წელს შემუშავდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ახალი ხედვა, რომელიც გაიწერა უნვერსიტეტის სტრატეგიაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმის გათვალისწინებით, რომ წელს სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი 27 საგანმანათლებლო პროგრამა. ხარისხის უზრუნველყოფის სამასხურის ახალი ხელმძღვანელის ინიციატივით, ამ სამსახურის (როგორც საუნივერსიტეტო, ასე საფაკულტეტო დონეზე) თანამშრომლებისათვის პერმანენტულად ტარდება სემინარებისა და ვორქშოპების მთელი სერია, რაც ემსახურება მათი პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების კიდევ უფრო გაღრმავებასა და თანა-

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

მედროვე სტანდარეტებთან დაახლოვებას.

2020 წელს მსოფლიოში და საქართველოში კოვიდინფექციის გავრცელებამ ყველა უნივერსიტეტის წინაშე დააყენა საერთო გამოწვევა - ერთის მხრივ, სასწავლო პროცესის უწყვეტ რეჟიმში ხარისხიანი წარმართვა და მეორეს მხრივ, სტუდენტებისა და უნივერსიტეტების პერსონალის ჯანმრთელობაზე ზრუნვა. აუცილებელი გახდა სწავლებაში ელექტრონული ფორმატის გამოყენება. აღნიშნული გამოწვევა შევძელით და ვაქციეთ ჩვენ ახალ შესაძლებლობად. ახალ გამოწვევასთან გამკლავებისთვის ეფექტურად მოხდა ადამიანური და ტექნიკური რესურსის მობილიზება, ჩვენმა უნივერსიტეტმა შეძლო საგანგებო მდგომერეობის გამოცხადებიდან უმოკლეს დროში სწავლების სრულად დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა. 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრში აიტვირთა 2823 სასწავლო კურსი, 2020-2021 სასწავლო წლის პირველ სემესტრში აიტვირთა 3313 სასწავლო კურსი. 2020-2021 სასწავლო წლის პირველ სემესტრში დარეგისტრირდა 18232 სტუდენტი და 2294 ლექტორი. გარდა ამისა, განხორციელდა რისკების ანალიზი კოვიდინფექციის გავრცელების პირობებში და მოხდა მათი მინიმიზაცია როგორც ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროების რეკომენდაციების განუხრელი დაცვით, ასევე თითოული მიმართულების სასწავლო პროგრამის სპეციფიკის გათვლისწინებით. თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ, უნივერსიტეტში შეიქმნა ელექტრონული სწავლების, სერვისების მიწოდებისა და საინფორმაციო ელექტრონული პლატფორმები. 2020 წლის შემოდგომის სემსტრიდან განხორციელდა სალექციო დატვირთვის სქემის ცვლილება მოწვეული ლექტორებისათვის, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის გაზრდისა და შტატების ოპტიმიზაციის კუთხით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიისა და მიზნების შესაბამისად, ინტერნაციონალიზაციის პროცესი უნივერსიტეტის სტრატეგიულ განვითარებაში უპირობო პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით 2020-2021 წლებში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ვიზიტი და ღონისძიება. კოვიდ-პანდემიური ვითარების მიუხედავად, უნივერსიტეტში ვიზიტით იმყოფებოდნენ შვეიცარიის, საფრანგეთის, ლიეტუვის ელჩები, აშშ-ს საელჩოს კულტურის ატაშე, იტალიის რესპუბლიკის ელჩი, სხვადასხვა საერთაშორისო მისიისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც გამოხატეს უნივერსიტეთან თანამშორმლობის მზადყოფნა.

უმაღლესი სასწავლებლის ავტორიტეტი და ცნობადობა არის დღევანდელ ინფორმაციულ სამყაროში მისი წარმატების წინაპირობა. ამ მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, ევროპული საგრანტო პროექტის „მეცნიერება კაპიტანია" ფარგლებში, ჩატარდა უპრეცენდენტო სამუშაო, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის პოპულარიზაციას. მოხდა 53 მაღალი ხარისხის ვიდო-კლიპის მომზადება უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ერთეულებზე, მათ შორის, მომზადდა ერთი 30 წუთიანი საიმიჯო ფილმი უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შესახებ. ამავე პროექტის ფარგლებში, ადმინისტრაციული კორპუსში გარემონტდა, მოიხატა და აღიჭურვა ევროპული სივრცე, სადაც განთავსდება ჰორიზონტი 2020-ის (Horizon 2020) ახალი ოფისი.

ახალგაზრდა, პერსპექტიული ახალგაზრდების მოზიდვის მიზნით, აბიტურიენტების მხარდასაჭერად და STEM საგნების პოპულარიზაციისათვის, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა უსასყიდლოდ დაიწყო და ახორციელებს აბიტურიენტთა მომზადებას მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში. ეს კურსები დაეხმარება აბიტურიენტებს საფუძვლიანად მოემზადონ ეროვნული გამოცდებისათვის, აღიჭურვონ ცოდნით ინჟინრის პროფესიისათვის ფუნდამენტურ საგნებში. იმ აბიტურინტებისთვის, ვინც გაივლის მოსამზადებელ კურსებს, წარმატებით ჩააბარებს ეროვნულ გამოცდებს და ჩაირიცხება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, იგეგმება მნიშვნელოვანი წახალისება უნივერსიტეტის მხრიდან.

- როგორია სწავლა-სწავლების ხარისხი თქვენს უნივერსიტეტში?

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დანერგილია სწავლა-სწავლების თანამედროვე ევროპული სისტემა და ხარისხის კონტროლის მექანიზმები. უნივერსიტეტი არის ბოლონიის პროცესის მონაწილე 2005 წლიდან და იზიარებს ევროპული უმაღლესი განათლების სისტემის პრინციპებს. ეს ასევე ეხება ხარისხის მართვისა და საექსპერტო შეფასებებს. საგანმანათლებელო პროგრამების ხარისხი ექვემდებარება შიდა და გარე შეფასებას, საერთაშორისო ჩართულობასა და თანამშრომლობას. ქართულ უნივერსიტეტებს შორის ციტირების ინდექსით სტუ-ს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია.

ხარისხობრივი თვალსაზრისით, სტუ-ს სტუდენტები იღებენ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის განათლებას, რაც დასტურდება იმით, რომ ჩვენს კურსდამთავრებულებს წანყვანი პოზიციები უკავიათ საქართველოს კომპანიებში და ასევე მონა-

წილეობენ საერთაშორისო პროექტებში, როგორც მკვლევარები.

- უცხოელი პარტნიორები თუ გყავთ და მონაწილეობთ თუ არა მსოფლიო მნიშვნელობის პროექტებში?

- სტუ არის პრესტიჟული საერთაშორისო ქსელების: უნივერსიტეტების ევროპული ასოციაციის (European University Association, EUA), შავი ზღვის უნვიერსიტეტების ქსელის (Black Sea University Network, BSU) და ფრანკოფონიის უნივერსიტეტების სააგანტოს (Agence Universitaire de la Francophonie, AUF) წევრი. ასევე, უნივერსიტეტი მსოფლიო მასშტაბით მჭიდროდ თანამშრომლობს წამყვან უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან.

როგორც აღვნიშნეთ, სტუ-ს წარმატებული სამეცნიერო პარტნიორული ურთიერთობები აქვს მსოფლიოს ისეთ წამყვან საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან, როგორიცაა: იაპონიის მაღალი ენერგიების ამაჩქარებლის კვლევითი ორგანიზაცია - KEK, გერმანიის იულიხის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, CERN - ბირთვული კვლევევების ევროპული ორგანიზაცია (შვეიცარია), ბირთვული კვლევების ერთობლივი ინსტიტუტი - JINR (დუბნა), იტალიის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტი - INFN და სხვ.

სტუ-ს კვანტური ფიზიკისა და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტის ფიზიკოსთა ჯგუფი ადრონულ კოლაიდერზე (ჟენევა) მიმდინარე ოთხი მთავარი ექსპერიმენტიდან ერთ-ერთ, CMS კოლაბორაციაში მონაწილეობს. ექსპერიმენტში ჩვენი ქვეყნის სხვა ინსტიტუტებიც მონაწილეობენ. სწორედ საქართველოში, მრავალწლიანი შრომის შედეგად, ელემენტარული ნაწილაკების შემსწავლელი ურთულესი 3D კონსტრუქცია შეიქმნა.

- რა გაცვლითი პროგრამები ხორციელდება სტუ-ში?

- სტუ აქტიურად არის ჩართული ინტერნაციონალიზაციის პროცესში. საერთაშორისო მობილობისა და სხვადასხვა პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობების მხარდასაჭერად უნივერსიტეტში ხორციელდება სხვადასხვა გაცვლითი პროექტები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ჩართულია Erasmus Mundus-ის პროგრამაში, რომელიც გულისხმობს ბაკალავრების, მაგისტრანტების, დოქტორანტების, ახალგაზრდა მკვლევარებისა და აკადემიური, ადმინისტრაციული პეროსნალის მობილობას ევროპული ქვეყნების სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 2015 წლიდან დაიწყო ERASMUS + ახალი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სტუ-მ 34-ზე მეტი პროექტი წარადგინა ევროპის პარტნიორ ინსტიტუციებთან ერთად. 28 პროექტის ფარგლებში განხორციელდა მობილობები, როგორც უცხოეთის კოორდინატორ უნივერსიტეტებში, ასევე უცხოეთის უნივერსიტეტებიდან სტუ-ში.

თანამშრომლობის კიდევ ერთი ფორმატი არის ორმაგი ხარისხის პროგრამების შემუშავება. ამ მიმართულებით მომზადდა მეევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანამნათლებლო პროგრამები, რომელთა ფარგლებშიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტებს შეეძლებათ იტალიაში სწავლის გაგრძელება. აღნიშნული პროგრამები უკვე ხორციელდება და მათზე 100-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს. სასურსათო ტექნოლოგიების სპეციალობის არჩევის შემთხვევაში კი, სტუდენტები ფრანგულ მოდულს გაივლიან და სტუ-ს დიპლომთან ერთად ფრანგული უნივერსიტეტის დიპლომსაც აიღებენ. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის გერმანულენოვანი ლოჯისტიკის საგანმანათლებლო პროგრამაც ორ დიპლომს იძლევა და სრულად ფინანსდება DAAD-ის მიერ. სან-დიეგოს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით კი, სტუდენტებს საქართველოში შეუძლიათ ამერიკული ბაკალავრის კვალიფიკაციის მიღება.

1997 წლიდან საქართველოში ხორციელდებოდა საერთაშორისო მობილობის პროექტი International Hall of Residence, რომელსაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მიუერთდა 2008 წელს და რომლის ფარგლებშიც ქართველი სტუდენტები ახორციელებდნენ მობილობას იტალიის სასწავლებლებში. 2012 წლიდან Erasmus Mundus-ის და Erasmus +- ის პროგრამების ფარგლებში ხორციელდება პროფესორ-მასწავლებლების მობილობა. აღნიშნული პროგრამების მეშვეობით საქართვეთველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და ადმინისტრაციის წევრები ყოველწლიურად მონაწილეობენ საერთაშორისო მობილობის პროცესში.

- სტუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა რას აკეთებს და როგორ არის ჩართული მართვაში?

- სტუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის მთავარი ფუნქცია-მოვალეობა სტუდენტების უფლებების დაცვა და ინტერესების მხარდაჭერაა. ამ კუთხით სტუდენტური თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტის მართვაში და წარმოდგენილია, როგორც სენატში, ისე ფაკულტეტების საბჭოების დონეზე.

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

სტუ-ს თვითმმართველობა ყოველწლიურად ატარებს სპორტულ, კულტურულ, საგანმანათლებლო და შემეცნებით პროექტებს, ხელს უწყობს სტუდენტების არაფორმალურ განათლებას, 2017 წლიდან ატარებს სტუ-ს სტუდენტურ დღეებს, რომელიც ყველაზე მასშტაბური შიდა საუნივერსიტეტო პროექტია საქართველოში. ის ყოველწლიურად ატარებს გარემოზე ზრუნვის კამპანიას, რომლის ფარგლებშიც ეწყობა გამწვანებისა და დასუფთავების აქცია, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. სტუდენტურ თვითმმართველობას სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში აღებული აქვს მზრუნველობა ძეგვის თავშესაფარზე. მისი ორგანიზებით სისტემატურად ეწყობა ტრენინგ-კურსები, მასტერკლასები, საჯარო შეხვედრები, ლიტერატურული საღამოები, სპექტაკლები და პოეზიის საღამოები.

- გათვალსიწინებულია თუ არა სტუდენტებისათვის კამპუსის შექმნა?

- სტუ-ს განვითარების სტრატეგიული გეგმით სტუდენტური სოციალური ინფრასტრუქტურის მოწყობის ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის შექმნა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს უცხოელი სტუდენტების მხრიდან საგანმანათლებლო მომსახურებაზე მოთხოვნილების ზრდას.

- სტუ-ს აქვს დიდი რაოდენობის დაპატენტებული გამოგონებები. ხომ არ ფიქრობთ ამ პატენტების გაყიდვას და გამოგონებების განხორციელების მიზნით სტარტაპების შექმნას?

- სტუ-ს მეცნიერები ინტენსიურად ჩართულები არიან საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობაში სპეციალობებისა და მიმართულებების მიხედვით. ამჯერად, საქპატენტში განიხილება 4 საპატენტო წინადადება, რომელთაც გააჩნიათ საწარმოო პოტენციალი. მაგალითად, შშმ პირთათვის შექმნილია მოწყობილობა, რომელიც იძლევა კიბეზე დამოუკიდებლად გადაადგილების შესაძლებლობას, სოფლის მეურნეობის კულტურების სეტყვისაგან დასაცავად შექმნილია ავტომატურად გაშლადი ბადე, ასევე მცირე სიმძლავრის ენერგეტიკული და ქარის დანადგარები, ქვევრის სარეცხი დანადგარი და მრავალი სხვა.

სტუ-ს ბაზაზე ფუნქციონირებს ფაბლაბი, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს ინოვაციური იდეებისა და სტარტაპების ბიზნესპროექტებად ტრანსფორმაციას.

- დიდი მადლობა ბატონო დავით, ამდენი დრო რომ დაგვითმეთ და ამომწურავი პასუხები გაეცით ჩვენს შეკითხვებს.

- თქვენც დიდი მადლობა.

ინტერვიუ ჩაიწერა
ჟურნალის განყოფილების ხელმძღვანელმა
იური ქარჩავამ

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

ECONOMIC POLICY ORDER IN GEORGIA

Slava Fetelava
Doctor of Economics (PhD), Lawyer,
Associate Professor of the
Grigol Robakidze University
e-mail: slavafetela@gmail.com
T. (+995 32) 2 440 770 (2461

ABSTRACT

In the article "Economic policy order in Georgia", the author emphasizes the role and importance of policy order i.e. economic competition policy during the formation process of market economy in the country.

At the same time, it presents in dynamics the process of formation and development of this policy in Georgia. The realized policy order is divided by author in eleven stages, taking into consideration the expected changes in the country (The enactment of part of the amendments within Competition Law, which is related to the establishment of the Competition Agency Board and the adoption of the draft law on Consumer Rights initiated by the Parliament of Georgia).

Also, positive/negative sides of the realized policy in the country is analyzed on every stage and it is concluded that the realized order/competition policy in Georgia was distinctive from the early nineties onwards – during the initial and final periods i.e. on the first, second, eighth and ninth stages.

Besides, the author deems that after the above-mentioned institutional and legislative changes, the process of practical implementation of competition policy in the country will be even more successful, which will make the business environment in Georgia even more protected and attractive.

Key words: Policy Order, Economic Competition, Antitrust Regulation, Stages of Competition Policy, Protection of Consumer's Rights, Competition Agency Board.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა საქართველოში

სლავა ფეტელავა
ეკონომიკის დოქტორი (PhD), იურისტი,
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ელ.ფოსტა: slavafetela@gmail.com
ტელ.: (+995 32) 2 440 770 (2461)

ანოტაცია

სტატიაში „ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა საქართველოში", ავტორი ხაზს უსვამს წესრიგის პოლიტიკის, იგივე ეკონომიკური კონკურენციის პოლიტიკის როლსა და მნიშვნელობას ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში. ამასთან, წარმოაჩენს ამ პოლიტიკის საქართველოში ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს დინამიკაში. ავტორის მიერ, ქვეყანაში რეალიზებული წესრიგის პოლიტიკა, მოსალოდნელი ცვლილე-

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

ბების გათვალისწინებით („კონკურენციის კანონში“ შეტანილი ცვლილებების იმ ნაწილის ამოქმედება, რომელიც ეხება კონკურენციის საბჭოს შექმნას და საქართველოს პარლამენტის მიერ ინიცირებული - „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის მიღება), ავტორს დაყოფილი აქვს თერთმეტ ეტაპად.

ამასთან, გაანალიზებულია თითოეულ ეტაპზე ქვეყანაში რეალიზებული პოლიტიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები და გაკეთებულია დასკვნა, რომ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული საქართველოში რეალიზებული წესრიგის/კონკურენციის პოლიტიკა - საწყის და ბოლო პერიოდში იყო გამორჩეული. ანუ, პირველ, მეორე, მერვე და მეცხრე ეტაპები ასევე, ავტორი მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული მოსალოდნელი ინსტიტუციური და საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ კიდევ უფრო წარმატებული იქნება კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესი ქვეყანაში, რაც კიდევ უფრო დაცულს და მიმზიდველს გახდის ბიზნეს გარემოს საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: წესრიგის პოლიტიკა, ეკონომიკური კონკურენცია, ანტიმონოპოლიური რეგულირება, კონკურენციის პოლიტიკის ეტაპები, მომხარებლის უფლებების დაცვა, კონკურენციის საბჭო.

შესავალი

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების პროცესმა (გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა) ეკონომიკური წესრიგის მისაღწევად ადეკვატური სამართლებრივი ბაზის შექმნის აუცილებლობა წარმოაჩინა. შესაბამისად, რიგ სხვა საკითხებთან ერთად, დღის წესრიგში დადგა ეკონომიკური წესრიგის (ანტიმონოპოლიური/კონკურენციის) პოლიტიკის ფორმირებისა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს როლისა და სტატუსის განსაზღვრის საკითხი, რასაც სოციალისტური ეკონომიკისა და თავისუფალი სამეწარმეო სისტემის შერწყმის პროცესისათვის ხელი უნდა შეეწყო. უფრო ზუსტად კი, სოციალისტური ეკონომიკის სისტემიდან კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ თავისუფალ სამეწარმეო სისტემაზე გადასვლა ნაკლები პრობლემებით უნდა მომხდარიყო.

ამასთან, თუ გადავხედავთ საქართველოში 1992 წლიდან დღემდე რეალიზებულ კონკურენციის პოლიტიკას, დავინახავთ, რომ, ის რიგ შემთხვევებში (გარკვეული წლების განმავლობაში) არ შეესაბამებოდა მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკას (ამოვარდნილი იყო რეგულირების ზოგადი წესებიდან). თუმცა, ფაქტია ისიც, რომ ქვეყნის არც ერთი ხელისუფლების მხრიდან ბაზრის ანტიმონოპოლიური რეგულირების საჭიროება (სხვადასხვა დოზით), არასოდეს არ დამდგარა ეჭვქვეშ.

საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის აღმასრულებელი ორგანო არსებული სახით 2014 წლის 14 აპრილიდან ფუნქციონირებს. მიუხედავად ამისა, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის არც თუ ისე ახალგაზრდაა რადგანაც, საქართველოში, ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის დანერგვის (ჩამოყალიბების) შემდგომ, მისი სრულყოფისა და პრაქტიკაში რეალიზაციის პროცესი, თითქმის უკვე ოცდაათ წელიწადს ითვლის. მთელი ამ ხნის განმავლობაში, სხვადასხვა სახელწოდებით, ყოველთვის არსებობდა ამ პოლიტიკის აღმასრულებელი ორგანო. ამრიგად, კვლევის მიზანია, მოკლედ წარმოვაჩინოთ და შევაფასოთ საქართველოში წესრიგის/კონკურენციის/ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის მთელი პერიოდი, რომელიც დღევანდელი გადმოსახედიდან, ჩვენი აზრით თერთმეტ ეტაპად შეიძლება დაიყოს (მომავლის კონტურების გათვალისწინებით).

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა: გუშინ, დღეს, ხვალ!

პირველი ეტაპი: 1992 წლის გაზაფხული - 1996 წლის პირველი ნახევარი. ეს პერიოდი იწყება „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“ – საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის **1992** წლის 17 მარტის №323 დადგენილების მიღებით, რომლის მთავარი დანიშნულება იყო სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილ მონოპოლიურ ერთეულებს არ შეეშალათ ხელი პირველადი სამეურნეო ერთეულების ეკონომიკური თავისუფლებისა და ეკონომიკის დემონოპოლიზაციის პროცესისათვის. ეს ითვალისწინებდა სავალდებულო ანტიმონოპოლიური ექსპერტიზის გავლას.

მოგვიანებით მიღებულ იქნა „მონოპოლიური

საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს **1992** წლის 16 ოქტომბრის დეკრეტი, რითაც განისაზღვრა კონკურენციის განვითარების, მონოპოლიური საქმიანობის და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან აცილების, შეზღუდვისა და აღკვეთის ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლები.

გარდა ამისა, მიღებულ იქნა „არაკეთილსინდისიერი რეკლამისაგან მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის მარტის №60 ბრძანებულება, რომლის საფუძველზეც, მეწარმეობის მხარდაჭერისა და კონკურენციის განვითარების, ასევე მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფუნქციის აღსრულების პარალელურად, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს (ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარი სამმართველო) სარეკლამო საქმიანობის კონტროლის ფუნქციაც დაეკისრა.

კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის ამ საწყის პერიოდში იყო მიღებული საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 26 აპრილის №325 დადგენილება, რომლის შესაბამისად – სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით, მუდმივი სახელმწიფო კონტროლის ობიექტების განსაზღვრა (მათი საქმიანობის შემდგომი რეგულირების მიზნით) სავალდებულო გახდა. სწორედ ამ მიზნით, „მონოპოლისტი საწარმოებისა და გაერთიანებების სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ დებულების (ეკონომიკის სამინისტროს გადაწყვეტილება) შესაბამისად, მოხდა პირველი მონოპოლისტების გამოცხადება და შესაბამის რეესტრში შეყვანა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი დაემთხვა მასობრივი პრივატიზაციის პროცესს, რის გამოც ამ პოლიტიკის აღსრულებას დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა სჭირდებოდა. შესაბამისად, თუ დღევანდელი გადასახედიდან ვიმსჯელებთ, ცხადია, რომ საქართველოს კონკურენციის ორგანომ (ეკონომიკის სამინისტროს ცენტრალური აპარატის შიდა სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით), მის წინაშე მდგარ ამოცანებს (ახალი მონოპოლისტური წარმონაქმნების დაუშვებლობას და სამეწარმეო გარემოს გაჯანსაღებას), მეტ–ნაკლები წარმატებით გაართვა თავი.

მეორე ეტაპი: 1996 წლის მეორე ნახევარი - 2002 წლის პირველი ნახევარი. ეს პერიოდი ემთხვევა ქვეყანაში კონკურენციის სამართლის კონსტიტუციურ საფუძვლებზე ფორმირების პროცესს. ამ პერიოდს უკავშირდება საქართველოში (მეტ–ნაკლებად დამოუკიდებელი) ანტიმონოპოლიური ორგანოს – საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩამოყალიბება, რომლის უფროსსაც (ეკონომიკის მინისტრის წარდგინებით), თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა საქართველოს პრეზიდენტი. თავის მხრივ, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, კანონის შესაბამისად, ანგარიშვალდებული იყო საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

ამავე პერიოდში იყო მიღებული შემდეგი კანონები და ქვემდებარე ნორმატიული აქტები:

1) „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი,

2) „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი და მისგან გამომდინარე ე.წ. ვაჭრობისა და მომსახურების ოცდაერთი წესი,

3) „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი, შესაბამის ქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან ერთად,

4) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები:

4.1) „საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან არსებული ანტიმონოპოლიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“,

4.2) „მომხმარებელთა უფლებების დაცვის უწყებათაშორისო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“,

4.3) „ბუნებრივ მონოპოლიათა სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების შესახებ“,

4.4) „საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების სახელმწიფო რეესტრის შესახებ“,

4.5) „საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ შემოწმების მოწყობის შესახებ“,

5) „შესაბამის (კონკრეტულ) სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკური აგენტის (მეწარმე სუბიექტის) მონოპოლიური მდგომარეობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის 2000 წლის 12 დეკემბრის №8/42 ბრძანება და

6) „სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების მეთოდური რეკომენდაციები“ – სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მიერ 1998 წლის 3 დეკემბერს დამტკიცებული ნორმა.

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

ამ პერიოდში, ასევე, არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა იქნა განხორციელებული საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ, კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის მიმართულებით. ამ აქტივობების შედეგად, მნიშვნელოვნად იქნა გაჯანსაღებული ცალკეულ სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემო. ინტენსიურად მიმდინარეობდა შესაბამისი სასაქონლო ბაზრების კვლევა კონკურენტული გარემოს შეფასების და დომინირებული/მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა გამოვლენის მიზნით. ამასთან, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ასევე სარეკლამო საქმიანობის რეგულირების კუთხით.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ ამ პერიოდში გაწეული საქმიანობა, საკმაოდ მაღალ დონეზე იქნა შეფასებული - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 1999 წლის ანგარიშში, რომელიც ეხებოდა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში კონკურენციის პოლიტიკის მიმდინარეობის საკითხებს.

მესამე ეტაპი: 2002 წლის მეორე ნახევარი - 2004 წლის ნოემბერი. ესაა პერიოდი, როდესაც ქვეყანაში იწყება ერთიანი ცენტრალიზებული კონკურენციის პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმების ვიწრო დარგობრივ ჭრილში დანაწევრება (გადანაწილება), რასაც სამართლებრივი საფუძველი შეუქმნა „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამ.

აღნიშნული კანონის მიღების პარალელურად, საქართველოს კანონში „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის თანახმად, ანტიმონოპოლიური სამსახურის ზედამხედველობის არეალიდან გავიდნენ რეგულირებადი ეკონომიკის სექტორები (ენერგეტიკა; კომუნიკაციები; გაზის მეურნეობა; ტრანსპორტის სფერო). ამასთან, საქართველოს კანონში „სტატისტიკის შესახებ“ 2002 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებების თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის მიუწვდომელი გახდა ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობის პირველადი მონაცემები (პროდუქციის წარმოების მოცულობა), რაც მისი საქმიანობის (სასაქონლო ბაზრების შესწავლისა და ამ ბაზრებზე არსებული კონკურენტული გარემოს შეფასების) შემაფერხებელ გარემოებად იქცა. [4; გვ. 142]

აღნიშნული და სხვა რიგი გარემოებების გამო, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობა, კონკურენციის დაცვის კუთხით, ამ პერიოდში გარკვეული შეფერხებებით მიმდინარეობდა. შესაბამისად, ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სარეკლამო საქმიანობის რეგულირების მიმართულებებზე.

მეოთხე ეტაპი: 2004 წლის დეკემბერი - 2005 წლის აგვისტო. „ესაა პერიოდი, როდესაც საქართველოში მოქმედ კონკურენციის ჩარჩო სამართალში ცვლილებების განუხორციელებლად, მოხდა ქვეყნის მთავარი კონკურენციის ორგანოს რიცხოვნობის რადიკალური შემცირება (01.12.2004 წელი), რითაც ფაქტიურად უარი ეთქვა (აღსრულების ნაწილში და არა საკანონმდებლო დონეზე), 1992 წლიდან რეალიზებულ კონკურენციის პოლიტიკას და დაიწყო ინტენსიური მუშაობა, ახალ ხედვაზე (ეკონომიკის თავის ნებაზე მიშვების კონცეფციაზე) დაფუძნებული კონკურენციის სამართლის ჩამოსაყალიბებლად“. [4; გვ. 143] ამის გამო საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს ამ პერიოდში ახალი საქმეების შესწავლა არ დაუწყია (მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო დონეზე ამის უფლება ჰქონდა) და ახალ ხედვაზე დაფუძნებული კონკურენციის ჩარჩო კანონის პროექტზე მუშაობის პარალელურად, მისი აქტიურობა შემოიფარგლებოდა მიმდინარე (ადრე დაწყებული და დაუსრულებელი) სასამართლო დავებში ჩართულობით.

ეს პერიოდი სრულდება საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ლიკვიდაციით (2005 წლის 19 აგვისტო).

მეხუთე ეტაპი: 2005 წლის სექტემბერი - 2010 წლის პირველი ნახევარი. ეს პერიოდი იწყება 2005 წლის 3 ივნისის კანონის – „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ ძალაში შესვლიდან (გამოქვეყნებიდან ორი თვის შემდეგ) და საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ლიკვიდაციიდან. კონკურენციის ახალი ჩარჩო კანონით განსაზღვრული მთელი რიგი ნორმები არ მიესადაგებოდა ამ მიმართულებით არსებულ მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკას. ის არ მოიცავდა კონკურენციის ზოგადი დებულებების მნიშვნელოვან ნაწილს და მხოლოდ სახელმწიფო დახმარებებისა და მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული თანხმობის გაცემის რეგულაციებს (კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმების პროცედურებს) ადგენდა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთელი ამ პე-

რიოდის განმავლობაში ვერ მოხერხდა სახელმწიფო დახმარებებისა და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების გაცემის პროცედურის კონკურენციის ორგანოსთან შეთანხმების თაობაზე, შესაბამისი ქვენორმატიული აქტების მიღება, რის გამოც კანონის ეს დებულებები პრაქტიკულად არ ამოქმედებულა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არარსებობის გამო კონკრეტული სასაქონლო ბაზრის კვლევა და კონკურენტული გარემოს შეფასება, ამ პერიოდში, არც ერთ სასაქონლო ბაზარზე არ ჩაუტარებია.

მეექვსე ეტაპი: 2010 წლის მეორე ნახევარი - 2011 წლის დეკემბერი. ამ პერიოდში ლიკვიდირებული იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო და მის ნაცვლად, საქართველოს მთავრობის ქუდქვეშ შეიქმნა, იმავე სახელწოდების საჯარო სამართლის იურიდიული პირი. მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად, სსიპ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ამოცანად განისაზღვრა კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის შემუშავება და საქართველოს მთავრობაში წარდგენა. შესაბამისად, სააგენტოს საქმიანობა მხოლოდ ამ სტრატეგიის პროექტზე მუშაობით შემოიფარგლებოდა, რის გამოც, მას მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ფაქტიურად სხვა აქტივობები არ განუხორციელებია. უფრო მეტიც, ის შესაბამის ბაზრებზე ანტიკონკურენტული ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის საქმიანობას ვერც განახორციელებდა, რადგანაც მოქმედი ჩარჩო კონკურენციის სამართალი ამას არ ითვალისწინებდა.

თავის მხრივ, სსიპ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს მიერ მომზადებული სტრატეგია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 დეკემბრის №1551 განკარგულებით მიიღეს, რის შემდეგ, ფაქტიურად, სააგენტომ თავისი უფლებამოსილება ამოწურა. [7; გვ. 315-316]

მეშვიდე ეტაპი: 2012 წლის იანვარი - 2014 წლის მარტი. ამ პერიოდში კონკურენციის ჩარჩო კანონში („თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“) ცვლილებების შეტანის (კონკურენციის ზოგადი პრინციპების მასში ასახვის) გარეშე 2012 წლის იანვრიდან ჩატარდა მექანიკურად სსიპ კონკურენციის სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოების გაერთიანება (შერწყმა).

მოგვიანებით (2012 წლის 8 მაისს), მიიღეს ახალი კანონი - „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, რითაც ამავე სახელწოდების 2005 წლის 3 ივნისის კანონი გაუქმდა. ეს ახალი ჩარჩო საკონკურენციო სამართალი უკვე შეიცავდა კონკურენციის ამოსავალ პრინციპებს და მისი ცალკეული დებულებები მეტ-ნაკლებად ჰარმონიზებული იყო ევროკავშირის შესაბამის ნორმებთან. თუმცა, მთლიანობაში კანონი იყო ხარვეზიანი, რის გამოც ის ვერ უზრუნველყოფდა ჯანსაღი კონკურენციის პრინციპების სრულყოფილად დაცვას.

ამ ახალი კანონის მიღებიდან, სსიპ კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გაყოფამდე გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა კანონიდან გამომდინარე მისაღები ქვემდებარე ნორმატიული აქტების დამტკიცება. სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასებისა და ანტიკონკურენტული ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის კუთხით, სსიპ კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სათანადო კანონქვემდებარე ბაზის უქონლობის გამო, მთელი მეშვიდე ეტაპის განმავლობაში პრაქტიკული საქმიანობა არ განუხორციელებია. [5; გვ. 29-30]

მერვე ეტაპი: 2014 წლის აპრილი - 2020 წლის ოქტომბერი. ეს პერიოდი ჩარჩო საკონკურენციო სამართალში არსებული ხარვეზების გამოსწორებით (შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შეტანით) და დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სსიპ კონკურენციის სააგენტოს ჩამოყალიბებით იწყება (2014 წლის 14 აპრილი).

ამასთან, კონკურენციის სამართალში შეტანილი ცვლილებების პარალელურად, კონკურენციის სააგენტოს მიერ შემუშავებული და მიღებული იყო შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

1) „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებადობასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადები“,

2) „თანამშრომლობის პროგრამის გავრცელებისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების გამოყენების წესის დამტკიცების თაობაზე“,

3) „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“,

4) „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“,

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

5) „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“,

6) მთავრობის დადგენილებები:

6.1) „ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობისა და სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ“ და

6.2) „კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ“.

მოგვიანებით, მიღებული იქნა რიგი გზამკვლევები და საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტები.

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღების შემდეგ სსიპ კონკურენციის სააგენტომ დაიწყო ინტენსიური მუშაობა კონკურენციის სამართლის აღსრულების ყველა მიმართულებით. შესაბამისად, განცხადების, საჩივრის თუ საკუთარი ინიციატივის საფუძველზე სააგენტოს მიერ ამ პერიოდში (ჯამში, სამ ათეულზე მეტი საქმე) იყო შესწავლილი - დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამოვლენისა და აღკვეთის, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელსუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ კონკურენციის შეზღუდვის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის კუთხით. [21]

ასევე, მიმდინარეობდა მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ სააგენტოში შემოსული შეტყობინებების (თხუთმეტამდე შეტყობინება) და სააგენტოსთან შესათანხმებელი სახელმწიფო დახმარებების (ორი განცხადება) კონკურენტულ გარმოსთან თავსებადობის საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მომზადება.

მეცხრე ეტაპი: 2020 წლის ნოემბერი - 2021 წლის 1 ივნისი. ეს პერიოდი იწყება - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით (ძირითადი ნაწილი ძალაში შევიდა 2020 წლის 4 ნოემბრიდან). კონკურენციის ჩარჩო კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი მომზადებული იყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის („საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“) ფარგლებში და მას უნდა აღმოეფხვრა კანონში არსებული, პრობლემურად მიჩნეული ისეთი საკითხები, როგორიცაა:

ა) კანონდარღვევის შესწავლის პროცესში კანონმდებლობით გათვალისწინებული აღსრულების მექანიზმების არასრულყოფილება,

ბ) კონკურენციის სააგენტოსა და ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოების თანამშრომლობის ფარგლების არაეფექტურობა და გაუმართავობა,

გ) კონცენტრაციის მარეგულირებელი ნორმების არაეფექტურობა,

დ) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების პროცედურული საკითხების და ვადების არასრულყოფილება,

ე) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში (კანონის მე-11[3] მუხლი) სანქციის გაუთვალისწინებლობა,

ვ) სააგენტოს ერთპიროვნული მმართველობის კოლეგიალური მმართველობით ჩანაცვლება და კანონის აღსრულების სხვადასხვა მექანიზმების, ტერმინოლოგიის და აშ. გამართვა და დახვეწა. [22]

აღნიშნული ხარვეზების გამოსწორების მიზნით, კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში მოქმედი კონკურენციის ჩარჩო კანონი, შესაბამისობაში მოვიდა (ჰარმონიზირებულ იქნა) მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკასთან, რაც თავის მხრივ, გააუმჯობესებს (აამაღლებს) ქვეყნის კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მუშაობის ხარისხს.

ამავე პერიოდში გადაიდგა/იდგმება პირველი ნაბიჯები, ქვეყანაში, ანტიდემპინგური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და მისი პრაქტიკაში დანერგვის კუთხით. კერძოდ, დემპინგური იმპორტისაგან ადგილობრივი ინდუსტრიისთვის მიყენებული ან/და შესაძლო ზიანის მიყენებისაგან დაცვის მიზნით, 2020 წლის ივლისში მიღებული კანონი „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღების შესახებ“, ამოქმედდა 2021 წლის 1 იანვრიდან და მისი აღსრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში შეიქმნა ანტიდემპინგური ღონისძიებების დეპარტამენტი. [21; ჩვენს შესახებ; სტრუქტურა]

ასევე, კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ცენტრალური აპარატის შემადგენლობაში 2021 წლის 1 იანვრიდან ფუნქციონირებს დავების განხილვის საბჭოს აპარატი. ის ემსახურება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში 2020 წლის ივლისში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე შექმნილ, დამოუკიდებელ ორგანოს - სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს. თავის მხრივ, „1) საბჭო არის ამ კანონის საფუძველზე შექმნილი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი

ორგანო, რომლის მიზანია დავების ამავე კანონის შესაბამისად, სწრაფად, ეფექტიანად და სამართლიანად გადაწყვეტა, 2) საბჭო განცალკევებულია ყველა ორგანოსგან/პირისგან, თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს, 3) საბჭოს რეგლამენტს დადგენილებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა, 4) საბჭოს თავმჯდომარე არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მარტისა საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და სააგენტოს წარუდგენს საბჭოს გასული წლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას ...“ [9, მუხლი 23[2]]. როგორც ვხედავთ, ერთის მხრივ, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დავების განმხილველი საბჭო არის განცალკევებული, დამოუკიდებელი ორგანო, ხოლო მეორეს მხრივ, ის აპარატი, რომელიც ამ საბჭოს ემსახურება არის საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი. [21; ჩვენს შესახებ; სტრუქტურა]

მეათე ეტაპი: 2021 წლის 1 ივნისის შემდგომი პერიოდი - „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის მიღებამდე. ჩვენი აზრით, მას შემდეგ რაც საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო მართვის ორგანო გახდება კოლეგიალური, მოხდება კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების ახალ მეათე ეტაპზე გადასვლა. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის ახალი რედაქცია, რომელიც სწორედ სააგენტოს მართვის კოლეგიალურ მოდელზე გადასვლას ითვალისწინებს, ძალაში შედის 2021 წლის 1 ივნისიდან. ამ ცვლილების ძალაში შესვლის მომენტიდან, სააგენტოს მმართველი/ხელმძღვანელი იქნება არა თავმჯდომარე (როგორც ეს დღეს არის), არამედ, პარლამენტის მიერ (საჯარო კონკურსის გზით) ხუთი წლის ვადით არჩეული, ხუთ წევრიანი საბჭო. ასევე, ამ პერიოდიდან შემოდის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაც, რომელსაც ღია კონკურსის წესით, ხუთი წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

მეთერთმეტე ეტაპი: „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის მიღების შემდგომი პერიოდი. „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის მიღების შემდეგ (ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში 2020 წლის დასაწყისიდან), ვფიქრობთ, რომ წესრიგის /კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკაში რეალიზაციის პროცესში დაიწყება ახალი მეთერთმეტე ეტაპი, სადაც სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებთან ერთად კონკურენციის ეროვნული სააგენტოს კომპეტენცია და უფლებამოსილებანი გავრცელდება მომხმარებელთა დაცვის ნაწილზეც. შესაბამისად, ამ უფლებების უკეთ დაცვის მიზნით, კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს მოუწევს წარმომადგენლების ინსტიტუტის გაფართოება და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლის მსგავსად, სხვა რეგიონებშიც გახდება საჭირო მისი შემოღება.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ კონკურენციის კანონმდებლობის და მისი აღმასრულებელი ინსტიტუტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დონე არის ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობის ხარისხის განმსაზღვრელი, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში კონკურენციის კანონმდებლობის რეალიზაციის კუთხით გაწეული საქმიანობა (დაწყებული 1992 წლიდან), მთლიანობაში, გამომდინარე ფაქტობრივი გარემოებებიდან, რიგ შემთხვევებში იყო წარმატებული, ხოლო რიგ შემთხვევებში - წარუმატებელი.

ამდენად, თუ წლების მიხედვით საქართველოში რეალიზებული წესრიგის/ანტიმონოპოლიური/ კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანობას შევაფასებთ, დავინახავთ, რომ ყველაზე მეტად ის საწყის და ბოლო პერიოდშია გამორჩეული. ანუ, პირველი, მეორე, მერვე და მეცხრე ეტაპი - ქართული საკონკურენციო სამართლის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში, ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად (ნაწილობრივ წარმატებულად მაინც). ასევე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოსალოდნელი ინსტიტუციური ცვლილების შემდგომ კიდევ უფრო წარმატებული იქნება კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესი ქვეყანაში, რაც კიდევ უფრო დაცულს და მიმზიდველს გახდის ბიზნეს გარემოს საქართველოში.

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგიაშვილი შ., კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში, თბ., „ინოვაცია“ 2009;

2. ლაფაჩი ქ., კონკურენციის პოლიტიკა და დარგობრივი რეგულირება საქართველოში, თბ., „ნეკერი“, 2012;

3. მგელაძე ლ., კონკურენციის პოლიტიკის გამოწვევები და მისი სრულყოფის გზები, თბ., „იურისტების სამყარო“, 2020;

4. ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბ., „ლოი“, 2007;

5. ფეტელავა ს., კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის 25 წელი საქართველოში, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, №4, 2016 წელი, გვ. 26-32;

6. წერეთელი გ., ფეტელავა ს., შაბურიშვილი დ., საქართველოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში, თ., „ლოი“, 2009;

7. ხადური ნ., ფეტელავა ს., ეკონომიკური კონკურენციის პოლიტიკის იმპლემენტაცია საქართველოში, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - „კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები“, თბ., 17-18 ნოემბერი, 2017, გვ. 311-319;

8. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი (კოდიფიცირებული ვერსია);

9. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი (კოდიფიცირებული ვერსია);

10. „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს კანონი (კოდიფიცირებული ვერსია;

11. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ 2002-2003 წლის პირველ ნახევარში გაწეული საქმიანობის ანგარიში, თბ., „არადანი“, 2003;

12. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს 2006 წლის ანგარიში, თბ., „ლოი“, 2007;

13. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს 2007 წლის ანგარიში, თბ., „ლოი“, 2008;

14. სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის საქმიანობის ანგარიში, თბ., „Exclusive Print +“, 2012;

15. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2014 წლის ანგარიში, www.competition.ge

16. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის ანგარიში, www.competition.ge

17. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის ანგარიში, www.competition.ge

18. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2017 წლის ანგარიში, www.competition.ge

19. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2018 წლის ანგარიში, www.competition.ge

20. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2019 წლის ანგარიში, www.competition.ge

21. www.competition.ge

22. Info.parliament.ge/file/1/BellReviewContenty/224612

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

CIRCULAR ECONOMY AS SUSTAINABLE DEVELOPMENT PARADIGM

Lasha Tabatadze,
Doctor of Business Administration,
E-Mail: l_tabatadze9@yahoo.com,
Cell: (+995) 599237799

ABSTRACT

The article reviews the importance and evolution of circular economics. It describes an economic system in which the most efficient consume of natural resources and the value of products/materials is preserved through their cyclic consumption, while the harmful effects of economic activities on the environment and human health are reduced. The article deeply describes indicative phases of Circular Economy projects, presents the research result evaluation, critical findings and important recommendations.

Keywords: Circular economy, Circular eco-system.

ცირკულარული ეკონომიკა, როგორც მდგრადი განვითარების პარადიგმა

ლაშა ტაბატაძე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ელ.ფოსტა: l_tabatadze9@yahoo.com,
მობ: (+995) 599237799

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია, ცირკულარული ეკონომიკის მნიშვნელობა და ევოლუცია. დახასიათებულია ეკონომიკური სისტემა, რომელშიც ბუნებრივი რესურსების ყველაზე ეფექტიანად მოხმარება, მასალებისა და პროდუქციის ღირებულება შენარჩუნებულია მათი წრებრუნვით მოხმარების გზით, ხოლო ეკონომიკური საქმიანობის მავნე ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შემცირებულია. სიღრმისეულად აღწერილია ცირკულარული ეკონომიკის პროექტების ინდიკატორული ფაზები. შეფასებულია კვლევის შედეგები და წარმოდგენილია კრიტიკული დასკვნები და მნიშვნელოვანი რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ცირკულარული ეკონომიკა, ცირკულარული ეკო-სისტემა.

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

შესავალი

აღსანიშანვია, რომ ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკით, ცირკულარული ეკონომიკა აღიარებულია როგორც გზა, რომელიც ეკონომიკისა და გარემოს ერთგვარი სიმბიოზით, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ნაწილის მიღწევის საშუალებას იძლევა. ცირკულარული ეკონომიკის მიდგომების გამოყენებით შესაძლებელია სამრეწველო ნარჩენების შეკვეცა, საშიში ნივთიერებებების წარმოებისა და მათი ზემოქმედების შემცირება და კლიმატური ცვლილებების შერბილებაში წვილის შეტანა. ევროკავშირი ცირკულარულ ეკონომიკას განიხილავს, როგორც შესალებლობას რესურსებით ღარიბი ევროპისთვის ჰქონდეს წვდომა სასიცოცხლო რესურსებზე, შეინარჩუნოს გლობალური კონკურენტუნარიანობა და უზრუნველყოს მაღალი ხარისხის გარემო ევროპასა და მსოფლიოში.

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა წარმოებისა და მოხმარების მეთოდების ძირფესვიან ცვლილებას მოითხოვს. ცირკულარულ ეკონომიკაში პროდუქტი იმგვარად იქმნება, რომ იყოს გამძლე, შესაძლებელი იყოს მისი განახლება, შეკეთება და ხელახლა გამოყენება ამასთანავე, გათვალისწინებულია მის დასამზადებლად გამოყენებულია მასალების ხელახალი გმაოყენება მას შემდეგ, რაც ისინი მათი სასიცოცხლო ციკლის ბოლო ეტაპს მიაღწევს. უნდა აღინიშნოს, რომ ცირკულარული ეკონომიკა შინაარსობრივად და თვისებრივად უპირისპირდება არსებულ წრფივ (ხაზოვან) ეკონომიკას. მოიპოვე, აწარმოე, მოიხმარე და გადააგდე - სწორედ ეს არის დღეს არსებული წრფივი (ხაზოვანი) ეკონომიკის მოდელი, რომლის განხორციელების შედეგად რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი (რაოდენობა) იკარგება. მსოფლიო ეკონომიკის ანალიტიკოსების აზრით, ცირკულარული ეკონომიკის მოდელით ცხოვრება საზოგადოების ცხოვრების დონეს არც ერთ შემთხვევაში არ შეამცირებს. პირიქით, ის უფრო ეკონომიური და ეფექტიანი იქნება როგორც ხარჯის, ისე რესურსების კუთხითაც. ცირკულარული ბიზნეს მოდელები იმგვარადვე სარგებლიანები შეიძლება, იყვნენ, როგორებიც წრფივი (ხაზოვანი) ბიზნეს მოდელებია. დაბოლოს, ამგვარ ეკონომიკურ მოდელზე მუშაობას ძალიან დიდი დრო და ბევრი პრობლემატური ბარიერის გადალახვა სჭირდება, რადგანაც გადაწყობა ნამდვილად არ არის მარტივი.

ცირკულარული ეკონომიკა (CE) არის კონცეფცია, რომელსაც ამჟამად ახორციელებს ევროკავშირი პარტნიორ ყვეყნებთან ერთად, მათ შორის არის: ჩინეთი, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, შვედეთი და ფინეთი. ევროკომისიამ ცოტა ხნის წინ დაადგინა, რომ ცირკულარული ეკონომიკის ტიპის ეკონომიკურმა გარდაქმნებმა შეიძლება შექმნას 600 მილიარდი ევროს ოდენობის წლიური ეკონომიკური მოგება, მხოლოდ ევროკავშირის წარმოების სექტორისთვის. [10, 7-12]

თავისმხრივ, ცირკულარული ეკონომიკის კონცეფცია სათავეს იღებს 1970 წლების ბოლოდან. მკვლევარები Andersen და Ghisellini – (1979), ცირკულარული კონცეფციის შემოღებას უკავშირებენ მეცნიერების Pearce და Turner-(1970), სახელებს. ისინი ცირკულარულ ეკონომიკას აღწერენ, როგორც ბუნებრივი რესურსების ეკონომიკაზე ერთგვარი ზეგავლენის პროცესს, იკვლევენ რა წრფივი ეკონომიკის სისტემებს. ყურადღებას იქცევს ასევე მეცნიერის Boulding – (1980), ნაშრომი, სადაც მიწა აღწერილია, როგორც ჩაკეტილი წრიული სისტემა, შეზღუდული ასიმილაციური შესაძლებლობებით და გაკეთებულია დასკვნა, რომ ეკონომიკა და გარე სამყარო გარკვეული წონასწორობის გათვალისწინებით უნდა თანაარსებობდეს. [1, 3-4]

მეცნიერებმა Stahel და Reday (1976), ასევე წარმოადგინეს ცირკულარული ეკონომიკის ზოგიერთი განსაკუთრებული ნიშან-თვისებები და ყურადღების ფოკუსირება მოახდინეს წარმოების ეკონომიკაზე. მათ კიდევ უფრო მეტად სრულყვეს ცირკულარული ეკონომიკის კონცეფცია და წარმოადგინეს თვისებრივად ახალი საწარმოო სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებდა საწარმოო ნარჩენების შემცირებასა და წარმოებაში გამოყენებული რესურსების ეფექტიანობის ამაღლებას, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასა და საბოლოო ჯამში წარმოების ეკონომიკის დემატერიალიზაციას. ცირკულარული ეკონომიკის თანამედროვე კონცეფციის სრულყოფაზე, ზეგავლენა იქონიეს მეცნიერების: McDonough and Braungart – (2002), Commoner – (1993), Lyle – (1994), Graedel and Allenby – (1995), Benyus – (2002), Pauli – (2010), მიერ შემუშავებულმა თეორიებმა და ხედვებმა.[3,5-8]

მაშასადამე, ცირკულარული ეკონომიკის ერთ-ერთი უპირატესობაა ის, რომ მოხმარების პროცესში, პროდუქტები იმგვარად იმართება, რომ მათი მოხმარების ეფექტიანობა მაქსიმალურად გაიზარდოს და მათი ექსპლუატაციის ვადა გახანგრძლივდეს, რითაც მათი ღირებულების შენარჩუნება შეძლებისდაგვარად დიდხანს ხდება. სავარაუდოა, ამას ის კომპანიების აღწევენ, რომლებმაც შეიმუშვეს ახალი ბიზნეს-მოდელები, სადაც შემოსვლის მიღე-

ბა ხდება მომსახურებიდან და არა პროდუქციიდან, ამასთან რესურსების მოხმარება უფრო ეფექტიანი ხდება და სასიცოცხლო ციკლის ბოლო ეტაპზე გადასული პროდუქტები და მასალები ახალ ღირებულებას იძენს. მომხმარებლები კი პროდუქტებს იყენებენ ეფექტიანად და იმგვარად იცილებენ, რომ შესაძლებელი იქნას მათი ხელახალი გამოყენება, ხოლო თუ ასეთი რამ ტექნიკურად შეუძლებელია ან ეკონომიკურად არახელსაყრელია, გადამამუშავებელი ობიექტები მათ გარდაქმნიან მეორად მასალად, რომელიც ახალ საწარმოო ციკლში შეიძლება ჩაეშვას.[1, 6-7] შევნიშნოთ ისიც, რომ აღნიშნული საჭიროებს მთელი სისტემის მხარდაჭერას, დაწყებული ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით და დამთავრებული ისეთი საბაზრო სტრუქტურით, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობას ღირებულებათა ჯაჭვის რგოლებსა და სხვადასხვა ჯაჭვებს შორის, ასევე მმართველობის ფორმითა და რეგულაციებით, რომლებიც კომპანიებს წაახალისებს, ციკულარული ეკონომიკის მიდგომები მიიღონ ისეთ საზოგადოებრივ ნორმად, სადაც ცირკულარული წარმოების მოდელი სოციალურად უფრო მისაღებია. ეს პარადიგმა უპირისპირდება წრფივ (ხაზოვან) ეკონომიკას, რომელიც ეფუძნება „მოიპოვე, აწარმოე, მოიხმარე და გადააგდე", მოდელს. ეს მოდელი ითვალისწინებს წარმოებული და გაყიდული პროდუქციის რაოდენობის მაქსიმუმადე გაზრდას, ხოლო მასალების შენარჩუნებაზე აქცენტი არ კეთდება. ასეთი მიდგომის დროს ღირებულებათა ჯაჭვის რგოლებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობა ვერ ხერხდება და მომხმარებლის მიერ გადაყრის კულტურის სტიმულირება ხორციელდება, რასაც გარემოზე მავნე ზემოქმედებამდე მივყავართ. [1, 9-10]

სისტემური ცვლილების მსგავსად, ცირკულარული ეკონომიკაზე გადასასვლელად სისტემის რამდენიმე კომპონენტი ერთდროულად უნდა შეიცვალოს. არსებული წრფივი ეკონომიკური სისტემის ინერცია და წინააღმდეგობა ასეთ გადასვლას ხელს უშლის. აღნიშნულის მისაღწევად დაინტერესებულ მხარეთა ერთობლივი ქმედებაა საჭირო. ყველა დონის სამთავრობო უწყებებმა, ბიზნეს სექტორმა, გამომგონებლებმა, აკადემიურმა სფერომ, ინვესტორებმა და მომხამრებლებმა ამ პროცესში მკაფიო როლი უნდა ითამაშონ და მას ხელი უნდა შეუწყონ. ევროკავშირში ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა საწყის ეტაპზეა. ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობაზე გავლენას ახდენს სისტემები, რომლებიც შემუშავებული და ოპტიმიზირებულ იქნა წარმოებისა და მოხმარების გაბატონებული სისტემებისათვის. რეგულაციები, ბაზრები, საინვესტიციო ინსტრუმენტები და პრაქტიკა, მათ შორის ფინანსური რისკის შეფასება წრფივ მოდელებზეა მორგებული, ხოლო წრფივ ბიზნეს მოდელებთან დაკავშირებული გარეშე ფაქტორები გათვლისწინებული არ არის. აღნიშნული პრობლემას უქმნის ცირკულარულ მოდელებს, რომლებმაც ფინანსებზე წვდომის გამოწვევა უნდა გადალახონ, რადგანაც ფინანსური სფერო ცირკულარულ პროექტებს მაღალი რისკის მქონედ და ხშირად ეკონომიკურად დაუსაბუთებლადაც მიიჩნევს. გარდამავალი ეკონომიკისთვის არსებითია განვითარების წინა პლანზე იდგეს და განვითარების მომდევნო საფეხურზე განახორციელოს ნახტომი, რაც მდგრადობის სერიოზულ საფუძველს შექმნის. [10, 9-12]

შვედეთის განვითარების საგენტოს (SIDA) პატრონაჟით საქართველოში 2019 წელს, განხორციელდა ცირკულარული ეკონომიკის ცნობიერების ასამაღლებელი არა ერთი ღონისძიება, დაინტერესებული მხარეებისათვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციების მისაცემად, თუ როგორ დააჩქარონ ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების დანერგვა ეკონომიკური საქმინაობის სხვადასხვა დონეზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთ რეკომენდაციებს, როგორიც არის ცირკულარული ეკონომიკის პროექტების დაფინანსების პირობების გაუმჯობესება, წინაღობების მოხსნა და იმ ძირითადი სფეროების გამოვლენა, რომლებიც სტიმულირებას საჭიროებს.[1, 12-14]

ღონისძიებათა ფარგლებში წარმოდგენილ იქნა ცირკულარული ეკონომიკის პროექტების ინდიკატორული ფაზები:

I. შემუშავების/ წარმოების ფაზა - წრებრუნვითი დიზაინის/ნედლეულის

წრებრუნვითი ბიზნეს მოდელი, რომელიც მოიაზრებს ახალი პროდუქტებისა და მასალების, (რომელთაც ხანგრძლივი ექსპლუატაციის პერიოდი გააჩნია, მოდულარულია, შესაძლებელია განახლდეს, განიცადოს მოდერნიზაცია ან გადამუშავება და უფრო მეტად ბიოდეგრადირებადია), შემუშავებას, მათ შორის კვლევას, განვითარებასა და გამოგონებას;

II. მოხმარების ფაზა - ოპტიმალური გამოყენებისა და ექსპლუატაციის ვადის

გაზრდის ბიზნეს მოდელი, რომელიც მოიაზრებს პროდუქტებისა და მათი ნაწილების სრულ მოდერნიზაციას დადგენილი/სავალდებულო სტანდარტების შესაბამისად, ჭარბი აქტივებისა

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

და მიტოვებული შენობების დანიშნულების შეცვლასა და განახლებას, მიტოვებული განაშენიანებული ტერიტორიების დაბინძურების აღმოფხვრას, რეაბილიტაციას და ხელახალი განაშენიანების უზრუნველყოფას, ლიზინგის ბიზნეს მოდელების შეთავაზებას, რომლებიც ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებზეა აგებული.

III. მოხმარების შემდგომი ფაზა - ღირებულების აღდგენის ბიზნეს მოდელი,

რომელიც მოიაზრებს სასიცოცხლო ციკლის ბოლო ეტაპზე გადასული პროდუქტების, კომპონენტების და შესაფუთი მასალის უკან დაბრუნების მომსახურებას, რომელიც ითვალისწინებს შემდგომ გამოყენებას, განახლებასა და გადამუშავებას, გადამუშავებადი ნარჩენებისა და ბიო-ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას, წყაროსთან სეპარირებული ბიო-ნარჩენებიდან კომპოსტის წარმოებას, ბიო საწვავის წარმოება და სხვა.

IV. წრებრუნვის ხელშეწყობის ფაზა - ყველა ბიზნეს მოდელისათვის, რომელიც

მოიაზრებს მომსახურების საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინსტრუმენტების განვითარებას, დანერგვასა და მატ მხარდაჭერას, ასევე მასალების პასპორტების და სხვა ციფრული ინსტრუმენტების შემუშავებასა და რეალიზაციას. [3, 7-9]

კვლევის დიზაინი

კვლევის მეთოდოლოგიური აპარატის შემუშავება მოხდა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, რისთვისაც კვლევის პროცესში განხორციელდა ცირკულარული ეკონომიკის კვლევის დოკუმენტის შესამუშავებლად საჭირო ინფორმაციის შეკრება და ანალიზი. კვლევის მეთოდოლოგიური აპარატის ფორმულირებისათვის განხორციელებულ იქნა მეორადი ინფორმაციის კვლევა. შესწავლილ და კრიტიკულად განხილულ იქნა ცირკულარული ეკონომიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი უცხოელი ავტორების შრომები, სხვადასხვა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, საერთაშორისო ფორუმების მასალები, საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების ანგარიშები, კვლევის სფეროსთან დაკავშირებული ადგილობრივი თუ საერთაშორისო მნიშვნელობის საკანონმდებლო-ნორმატიული აქტები, მათ შორის დეკლარაციები და შეთანხმებები. კვლევისათვის განსაზღვრულ იქნა 2 (ორი) კვლევითი შეკითხვა:

- როგორია მთავარი კონცეპტუალური მსგავსებები და განსხვავებები მდგრადობასა და ცირკულარულ ეკონომიკას შორის?
- როგორ უკავშირდება კონცეპტუალურად ცირკულარული ეკონომიკა მდგრადობას?

კვლევის შედეგები და განხილვა

ცირკულარულ ეკონომიკაში ახალი პროდუქტები და ქონება იმგვარად არის შემუშავებული და დამზადებული, რომ ახალი ნედლეულის მოხმარება და წარმოქმნა მცირდება. გამოიყენება ახალი ბიზნეს მოდელები და სტრატეგიები, რომლებიც სიმძლავრის მოხმარების ოპტიმიზაციას ახდენს და პროდუქტების ექსპლუატაციის პერიოდს ახანგრძლივებს. სასიცოცხლო ციკლის ბოლო ეტაპზე გადასული პროდუქტების და მასალების გადამუშავებით მათი ციკლები იკვრება. ცირკულარული ეკონომიკა გვთავაზობს საშუალებებს, რომლებიც მომავალში ფართო მოხმარების საგნების არაპროგნოზირებადი მიწოდების და ფასების ცვალებადობის მიმართ მოქნილობას გაზრდის და ასეთი რისკების დივერსიფიცირებას უზრუნველყოფს.

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა ქვეყნებს დაეხმარება შეასრულონ საერთაშორისო ვალდებულებები:

- მდგრადობის დღის წესრიგი 2030, რომელიც გაერომ 2015 წლის სექტემბერში წარმოადგინა;
- COP 21, გლობალური დათბობისათვის 2^0C-იანი ხღვარის დადგენის თაობაზე ისტორიული სეთანხმება, რომელიც 2015 წლის დეკემბერში დაიდო;
- G7 „კავშირი რესურსეფექტურობისათვის“ - უფრო მდგრადი მიწოდები ჯაჭვებისა და გლობალური ბაზრების შექმნა მეორადი ნედლეულისათვის და სხვა.

დასკვნები

ნაშრომის ფარგლებში მეორადი ინფორმაციის წყაროების (სამაგიდე კვლევა) და დამოუკიდებლად განხორციელებული კვლევის შედეგების შედარებითი და კრიტიკული ანალიზით, მიღწეულია ნაშრომში დასახული მიზანი და შემუშავებულია თეორიული და პრაქტიკული ღირებულების დასკვნები და რეკომენდაციები, კერძოდ:

- ცირკულარული ეკონომიკა მოითხოვს, რომ პროდუქტის დიზაინის რესურსების უფრო გონივრულად მართვისათვისა და მომხმარებელთა ჩვევების თვალსაზრისით, ღირებულებათა მთლიანი ჯაჭვის გასწვრივ ძირეულად შეიცვალოს წარმოებისა და მოხმარების მეთოდები;
- ცირკულარული ეკონომიკა ცვლის კორპო-

რატიულ რისკებს, ფულად ნაკადებს და ბიზნეს ურთიერთობას მომხმარებელთან;

➢ რაოდენობრივი მაჩვენებლები არ არის საკმარისი, რომ გაიზომოს ქვეყნისა და რეგიონის, ან ცალკეული დარგებისა და მიწოდების ჯაჭვის ცირკულარული ეკონომიკისაკენ სვლა;

➢ ჯერ კიდევ არსებობს წრფივი მოდელების ხელშემწყობი სუბსიდიები, ხოლო პირველადი ნედლეულის ფასი გარემოზე უარყოფით ექსტერნალიებს არ ითვალისწინებს;

➢ მწარმოებლის გაფარტოებული ვალდებულების პრინციპი ცირკულარული ეკონომიკის ხლეშესაწყობად სრულფასოვნად არა არის გამოყენებული;

➢ გადამუშავებადი მასალების მნიშვენელოვანი ნაწილი ნაგავსაყრელზე ხვდება ან იწვება;

➢ მასალების და პროდუქტების მოხმარების ეფექტიანობის კრიტერიუმები და საორიენტაციო სამიზნე მაჩვენებლები არ არის დაზუსტებული.

ბიბლიოგრაფია:

1. პასეკი. დ. „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ცირკულარული ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარება, საკონფერენციო მასალები, 2019;

2. დამენი. მ.ა. „USAID/WMTR II პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საჯარო ლექციის - „ცირკულარული ეკონომიკა“ მასალები, თბილისი 2020;

3. Ellen MacArthur Foundation (EMF), 2013b. Towards the Circular Economy vol.1. Isle of Wight;

4. Ellen MacArthur Foundation (EMF), 2014. Towards the Circular Economy vol.3. 5. Isle of Wight;

6. European Commission, 2014. Towards a Circular Economy: A Zero Waste Program for Europe, Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. European Commission, Brussels;

7. European Commission, 2015. Closing the loop - An EU action plan for the Circular Economy, Com(2015) 614 communication from the commission to the european parliament, the council, the european economic and social committee and the committee of the regions. European Commission, Brussels;

8. Gubeladze, D. and Pavliashvili, S., 2020. LINEAR ECONOMY AND CIRCULAR ECONOMY-CURRENT STATE ASSESSMENT AND FUTURE VISION. International Journal of Innovative Technologies in Economy, (5 (32));

9. Karchava, L. and Kutaladze, E., 2020. Tourism as one of the priority directions in Georgia/ ტურიზმი როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება საქართველოში. The New Economist, 15(2, 2020), pp.1-1.

10. Karchava, L., 2014. Again about the investment environment in Georgia Or what kind of investor do we need?/ისევ საინვესტიციო გარემოს შესახებ საქართველოში ანუ როგორი ინვესტორი გვჭირდება?. The New Economist, 9(3, 2014), pp.1-1.

11. Karchava, L., 2018. Theoretical basics of business communication and Its connection with other sciences/ბიზნესკომუნიკაციების თეორიული საფუძვლები და მისი კავშირი სხვა მეცნიერებებთან. The New Economist, 13(3, 2018), pp.1-1

12. Lacey, P. and J. Rutqvist. 2015. Waste to Wealth. The Circular Economy Advantage. Palgrave MacMillan: New York;

13. Murray, A., Skene, K., Haynes, K., 2015. The Circular Economy: An Interdisciplinary Exploration of the Concept and Application in a Global Context. J. Bus. Ethics 1–12;

14. OECD, 2009. Sustainable Manufacturing and Eco-Innovation: Framework, Practices and Measurement. Organization for Economic Cooperation and Development, Paris;

15. Pavliashvili, S., 2011. THE WORLD ECONOMIC CRISIS AND GEORGIA. The Caucasus & Globalization, 5(3-4), pp.54-62.

16. Sachs, J., 2015. The Age of Sustainable Development., Columbia University Press.

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

TEACHER E-LEARNING SPACE AND SOME ASPECTS OF ITS PERFECTION

Revaz Khaindrava
Sh. Meskhia State Teaching University of Zugdidi
Associate Professor, Doctor of Economics

ABSTRACT

The coronavirus pandemic processes within the education sector led to the distance learning solution and the forced transition to distance learning has shown that the country's educational space has significant gaps and shortcomings. In particular, it should be pointed out that there are the problems with the introduction of computer and communication technologies in the education system and the readiness of the information educational space in terms of the methodological base of distance learning, information technology support and readiness of teachers to move to distance learning.

Subject to the foregoing, it is clear that the current level of informatics in distance learning and information education space does not meet the requirements, which necessitates the acceleration of scientific, methodological and practical research in this area and their rapid translation into practice.

This paper illustrates that the author has been conducted a study on the creation of a teacher's personal training web-site and its integration into distance learning to improve building of a teacher's personal educational space. This paper also provides for the basic requirements to the teacher's personal training web-sites, as well as the recommendations for the selection of methods and techniques for their creation. The article outlines the key functions of the teacher's personal training website. The methodology on the basis of which the created educational web-site ensures the formation, perfection of the teacher's educational space and, as a result, the improvement of the quality of teaching using modern information and communication technologies (ICT) and innovative methods of teaching.

Keywords: e-learning, e-learning space (platform), teacher's personal site, network technologies, online services.

პედაგოგის ელექტრონული საგანმანათლებლო სივრცე და მისი სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი

რევაზ ხაინდრავა
შ. მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

ანოტაცია

განათლების სფეროში, კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული პროცესების შედეგად, დისტანციურ სწავლებაზე ფორსირებულად გადასვლის პროცესმა აჩვენა, რომ ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეს გააჩნია მნიშვნელოვანი ხარვეზები. განსაკუთრებით აღსანიშნავია პრობლე-

მები კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განათლების სისტემაში დანერგვისა და საინფორმაციო საგანმანათლებლო სივრცის მზადყოფნის მიმართულებით - დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიური ბაზის, საინფორმაციო ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და პედაგოგთა დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის მზადყოფნის მხრივ.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ დისტანციური სწავლებისა და საინფორმაციო საგანმანათლებლო სივრცის ინფორმატიზაციის დღევანდელი დონე ვერ აკმაყოფილებს მასზე წაყენებულ მოთხოვნებს, რაც განაპირობებს ამ მიმართულებით სამეცნიერო, მეთოდიკური და პრაქტიკული კვლევების დაჩქარებისა და მათი პრაქტიკაში სწრაფი დანერგვის აუცილებლობას.

ავტორის მიერ პედაგოგის პირადი საგანმანათლებლო სივრცის სრულყოფის მიზნით ჩატარებულია კვლევა პედაგოგის პერსონალური სასწავლო web-საიტის შექმნისა და დისტანციურ სწავლებაში ინტეგრაციის მიმართულებით.

ჩამოყალიბებულია web-საიტებისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნები; მოცემულია რეკომენდაციები მათი შექმნის მეთოდებისა და ხერხების შესარჩევად; გამოკვეთილია პედაგოგის პერსონალური სასწავლო web-საიტის მთავარი ფუნქციები; შემოთავაზებულია მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზე შექმნილი სასწავლო web-საიტი უზრუნველყოფს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენებით პედაგოგის ელექტრონული საგანმანათლებლო სივრცის ფორმირებას, სრულყოფას და შედეგად, სწავლების ხარისხის ამაღლებას.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული სწავლება, ელექტრონული საგანმანათლებლო სივრცე, პედაგოგის პერსონალური საიტი, ქსელური ტექნოლოგიები, ონლაინ-სერვისები.

შესავალი

ამჟამად არსებულ სიტუაციაში, როდესაც საქართველო, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ერთად იძულებული გახდა კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით ფორსირებულად გადასულიყო პროფესიული საქმიანობისა და სწავლების დისტანციურ ფორმაზე. აღმოჩნდა, რომ სწრაფი ცვლილებებისთვის საგანმანათლებლო სისტემის მზადყოფნის დონე არ არის შესაბამისი.

სულ რამდენიმე წლის წინ განათლების სფეროს სპეციალისტები, თვლიდნენ რა დისტანციურ სწავლებას მხოლოდ დამხმარე ტექნოლოგიად, საკმაოდ გაუბედავად აცხადებდნენ სწავლების დისტანციურ ფორმაზე თანდათანობით გადასვლის და ტრადიციულ სისტემებთან ერთობლივი გამოყენებისა და უფრო შორეულ პერსპექტივაში სრულ დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის შესაძლებლობებზე.

ამჟამად დისტანციურ სწავლებაზე სასწრაფოდ, უმოკლეს ვადებში გადასვლის პროცესმა გამოავლინა ხარვეზები ქვეყნის საგანმანათლებლო სფეროში. ამიტომ მიმდინარე პერიოდის უმთავრესი ამოცანა გახდა საგანმანათლებლო სივრცის ადაპტაცია არსებულ პირობებთან ისე, რომ სასწავლო პროცესი დაზარალდეს მინიმალურად. შესაბამისად, საგანმანათლებლო სისტემამ მოახერხა და უმოკლეს დროში გააქტიურა სხვადასხვა დისტანციური საგანმანათლებლო პლატფორმები (ZOOM, MS TEAMS, GOOGLE MEET და სხვ.), პარალელურად, გაიზარდა ამ მიზნით სოციალური ქსელების გამოყენების ინტენსივობა. საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში პედაგოგთა არასაკმარისი კომპეტენტურობის გამო საგანმანათლებლო დაწესებულებებმა გააძლიერეს ინფორმატიკის სპეციალური სამსახურების მუშაობა, სტუდენტებთან კომუნიკაციის პროცესში ჩართეს საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები, მოამზადეს და გაავრცელეს საცნობარო და სასწავლო მასალები პედაგოგებისთვის და ა.შ.

ცხადია, რომ დისტანციური სწავლებისა და საინფორმაციო საგანმანათლებლო სივრცის ინფორმატიზაციის დღევანდელი დონე ვერ აკმაყოფილებს მასზე წაყენებულ მოთხოვნებს, რაც განაპირობებს ამ მიმართულებით სამეცნიერო, მეთოდიკური და პრაქტიკული კვლევების დაჩქარებისა და პრაქტიკაში სწრაფი დანერგვის აუცილებლობას. საინფორმაციო საგანმანათლებლო სივრცის სრულყოფისა და პედაგოგთა ამ პროცესში აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მათი კომპეტენციების გაღრმავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად მიგვაჩნია პედაგოგის ელექტრონული საგანმანათლებლო სივრცის ფორმირება და სრულყოფა.

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

ძირითადი ტექსტი

ინფორმაციული საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია პროფესიული საქმიანობის ინტერნეტიზაცია დისტანციური ტექნოლოგიების სხვადასხვა ფორმების გამოყენებით - სოციალური ქსელების, პერსონალური საიტებისა და ბლოგების, აუდიოვიზუალური ქსელური ტექნოლოგიებისა და სხვა საშუალებებით. სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს საგანმანათლებლო საქმიანობის გადატანა ინტერნეტში. საზოგადოების საინფორმაციო გარემოში მიმდინარეობს უსწრაფესი ცვლილებები საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკის, ტექნოლოგიების, მეთოდების სრულყოფისა და გამრავალფეროვნების მიმართულებით:

- საინფორმაციო-საკომუნიკაციო სოციალური ქსელებისა და თანამეგობრობების (საზოგადოებების, ჯგუფების) ჩამოყალიბება, თვითორგანიზაცია და სხვადასხვა დანიშნულებით მათი ინტენსიური საქმიანობა;
- იქმნება და მასობრივად ვრცელდება ინტერნეტში სხვადასხვა სახის საინფორმაციო მასალების შენახვის საიმედო და მოხერხებული, ღრუბლოვან ტექნოლოგიებზე დამყარებული სერვისები;
- ვითარდება საგანმანათლებლო რესურსებზე, საძიებო სერვისებზე, ენციკლოპედიურ და საცნობარო მასალებზე ღია წვდომის შესაძლებლობები;
- არსებობს სოციალურ ქსელებში პერსონალური საინფორმაციო სივრცის შექმნის შესაძლებლობა ნებისმიერი მომხმხრებლისთვის;
- გადაწყვეტილია ინდივიდის პროფესიული საქმიანობისა და საცხოვრებელ ადგილს შორის ტერიტორიული წინააღმდეგობების დაძლევის პრობლემა.

ინოვაციური საინფორმაციო ტექნოლოგიების გავრცელებამ უდიდესი გავლენა მოახდინა საგანმანათლებლო საქმიანობაზე. მრავალ სასწავლო დაწესებულებაში უკვე წარმატებით ფუნქციონირებს **e-Learning**-ის სხვადასხვა ფორმები. სწრაფად იცვლება და ვითარდება თვით **e-Learning**-ის შინაარსი და შესაძლებლობები. ბოლო წლებში შეინიშნება მობილური სწავლების **(m-Learning)** ეტაპზე გადასვლის პროცესი. მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში მიმდინარეობს საყოველთაო ელექტრონული სწავლების **u-Learning** კონცეფციაზე გადასვლა და პერსპექტივაში განზრახულია ინტელექტუალური სწავლების **(smart-learning)** ჩამოყალიბება [10]. თანამედროვე საზოგადოების სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის სწრაფი განვითარება მოითხოვს ცოდნის განახლების მაღალ ტემპებს, რაც განაპირობებს განათლების სისტემის გადაყვანას საყოველთაო უწყვეტი განათლების სისტემაზე [2]. ევროკავშირის „უწყვეტი განათლების მემორანდუმი“ ფორმალურ (საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაიცემა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი) და არაფორმალურ (არ გაიცემა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი) განათლებასთან ერთად ითვალისწინებს აგრეთვე ე. წ. ინფორმალურ განათლებას. იგი გულისხმობს სისტემატურ ინდივიდუალურ-შემეცნებით მუშაობას, რომელიც თან ახლავს ყოველდღიურ საქმიანობას და არა აქვს მიზანმიმართული ხასიათი, არ მოითხოვს ხელმძღვანელობას, ზედამხედველობას მასწავლებლის მხრიდან [13]. ასევე, ინფორმალური განათლება ხელს უწყობს თანამედროვე ადამიანების პროფესიულ სრულყოფას, შინაგანი სულიერი და კულტურული შესაძლებლობების თვითრეალიზაციას. არაფორმალური და ინფორმალური სწავლება შესაძლებელია მხოლოდ თანამედროვე საინფორმაციო-ქსელური ტექნოლოგიების პირობებში.

განსაკუთრებით აქტუალური ხდება განათლების სფეროში მიმდინარე არსებითი ცვლილებების კვლევა. ახალი, ელექტრონული საგანმანათლებლო სივრცის ფორმირების მთავარ ტენდენციას წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულების ფიზიკური სივრციდან მისი გამოსვლა და ვირტუალური საგანმანათლებლო სივრცის შექმნა. საგანმანათლებლო სივრცე ისტორიულად ჩამოყალიბებული ფაქტორების, გარემოებების, სიტუაციების ერთობლიობაა, რომელთა დანიშნულებაა საგანმანათლებლო მიზნების ხელშეწყობა, ცოდნის მიღებისთვის ეფექტიანი და კომფორტული პირობების შექმნა [11]. ტრადიციულად, საკუთარი საგანმანათლებლო სივრცე გააჩნია ამა თუ იმ სასწავლო დაწესებულებას და ატარებს ინდივიდუალურ, სპეციფიკურ ხასიათს. ინფორმაციულ--საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და სასწავლო პროცესში დანერგვის პარალელურად მცირდება საგანმანათლებლო სივრცის ფორმირებაში სივრცულ-სემანტიკური (შენობა-ნაგებობები, აუდიტორიები, კაბინეტ-ლაბორატორიები და სხვ.) და შინაარსობრივ-მეთოდიკური კომპონენტების (სასწავლო გეგმები და პროგრამები, სახელმძღვანელოები, მეცადინეობათა ორგანიზაციის ფორმები და სხვ.) მნიშვნელობა [6]. თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესში სულ უფრო აქტიურდება საკომუნიკაციო და საორგანიზაციო ფაქტორები, რომლებიც თავის მხრივ, უდიდეს გავლენას ახდენენ პედაგოგიკურ-მეთოდიკური საფუძვლების

ცვლილებებზე. სასწავლო-საგანმანათლებლო სივრცე თანამედროვე პირობებში მოითხოვს სერიოზული სამეცნიერო-მეთოდოლოგიური პრობლემების გადაწყვეტას, რომელთა უმრავლესობა დაკავშირებულია საინფორმაციო რესურსების შექმნისა და საგანმანათლებლო სფეროს მეთოდიკური უზრუნველყოფის საკითხებთან [4].

მასწავლებლის (პედაგოგის) ელექტრონულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებული უნდა იყოს, როგორც ფაქტობრივი ინფორმაცია მისი სასწავლო-მეთოდიკური და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ, ისე ორგანიზაციული, მეთოდიკური და დიდაქტიკური მასალები აღნიშნულ სივრცეში პროფესიული საქმიანობის განხორციელებისთვის. შინაარსობრივი შემადგენლობა (კონტენტი) წარმოადგენს პედაგოგის რეალური საინფორმაციო სივრცის ვირტუალურ ეკვივალენტს. მისი სტრუქტურა და შინაარსი დამოკიდებულია სხვადასხვა ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგის პირადი ელექტრონული საგანმანათლებლო სივრცე არ ექვემდებარება ცენზურას (ან რაიმე ზემოქმედებას სასწავლებლის ადმინისტრაციის მხრიდან), სასურველია ორგანიზაციის, წყობისა და სტრუქტურის თვალსაზრისით, შეიქმნას მისი პირობითი, საორიენტაციო ფორმები სხვადასხვა ტიპისა და კატეგორიის სასწავლო პროცესებისთვის (მაგალითად, უნივერსიტეტის პროფესორის, პროფესიული კოლეჯის, საჯარო სკოლების, სასწავლო ტრენინგ-კურსების და სხვ.) პედაგოგები მუდმივად შეეცდებიან საკუთარი ელექტრონული საგანმანათლებლო სივრცის სრულყოფას, ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიებას მათი შექმნის, გაფორმების, ინფორმაციის აქტუალობის, წვდომის გამარტივებისა და შინაარსის დახვეწის მიმართულებით. ამჟამად გავრცელებული ინსტრუმენტული საშუალებები შესაძლებლობას იძლევა გაძლიერდეს დისტანციური სწავლების კომპონენტები ონ-ლაინ კონსულტაციების, ფორუმების, კონფერენციებისა და ვებინარების რეალიზაციის მიმართულებით.

პედაგოგის ელექტრონული საგანმანათლებლო სივრცის შექმნის ერთ-ერთი გავრცელებული მიმართულებაა უმაღლესი სასწავლებლების ან მათი გარკვეული ჯგუფების **web**-პორტალების გამოყენება [5]. აღნიშნული პორტალების ფარგლებში პედაგოგები ქმნიან საკუთარ ელექტრონულ საგანმანათლებლო სივრცეს წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურებისა და ინსტრუმენტული საშუალებების გამოყენებით. პორტალისა და ცალკეული საიტების დიზაინი და საერთო სტილი შემუშავებულია სპეციალისტ-დიზაინერების მიერ. აღნიშნული ხერხის გამოყენების დადებითი მხარეა პედაგოგთა ელექტრონულ საგანმანათლებლო სივრცის შექმნის სიმარტივე - არ მოითხოვს მათი მხრიდან შესაბამისი ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების ღრმა ცოდნას. ასევე ათავისუფლებს მათ ჰოსტინგის პრობლემებისგან. აქვე უნდა აღინიშნოს გარკვეული ხარვეზების არსებობაც. მაგალითად, სტუდენტებთან ინტერაქტიური ურთიერთობების ფორმები შეზღუდულია პორტალის მიერ წარმოდგენილი შესაძლებლობებით და სხვ.

საკმაოდ გავრცელებულია, აგრეთვე ზემოთაღნიშნული მიმართულების მოდიფიცირებული ვარიანტი, როდესაც სასწავლებლის მძლავრი პორტალი თანამშრომელს საშუალებას აძლევს შექმნას პირადი ელექტრონულ საგანმანათლებლო სივრცე და აწვდის მას საჭირო **web**-სერვისებს. ამ სერვისების მიზანია პედაგოგსა და სტუდენტს შორის პირდაპირი და უკუკავშირების გამრავალფეროვნება და გამარტივება. მასწავლებელთა ასეთი პირადი ელექტრონული საგანმანათლებლო სივრცე, მართალია, ინტეგრირებულია სასწავლებლის **web**-პორტალთან და ფუნქციონირებს საერთო მართვის პრინციპებზე, მაგრამ გააჩნია გარკვეული ავტონომიური თვისებები (შექმნის, გაფორმებისა და კონტენტის შევსების თვალსაზრისით). პედაგოგს შეუძლია ელექტრონული საგანმანათლებლო სივრცის შექმნა მისთვის სასურველი ნებისმიერი უფასო პლატფორმის გამოყენებით, არ არის შეზღუდული დიზაინისა და სტრუქტურის ფორმირებაში.

ხშირად პედაგოგთა პერსონალური ელექტრონულ საგანმანათლებლო სივრცე იქმნება უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედი **e-Learning** სისტემის ფარგლებში. მათი შემუშავება უმთავრესად ხდება დისტანციური სწავლების კურსების შექმნისთვის განკუთვნილი ინსტრუმენტული საშუალებების გამოყენებით. მაგალითად, პროგრამული სისტემა **Moodle**-ის გამოყენებით შესაძლებელია მასწავლებელთა პერსონალური საგანმანათლებლო სივრცის შექმნა ცალკეული დისციპლინების სწავლების გაუმჯობესების მიზნით. ასეთი სისტემები ფუნქციონირებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. დისტანციურ საგნობრივ სწავლებაზე ორიენტაციის გამო მასწავლებელთა პერსონალურ ელექტრონულ საგანმანათლებლო სივრცეს გააჩნია გარკვეული შეზღუდვები როგორც ფუნქციების სისრულის, ისე კონტენტის უნივერსალობისა და წვდომის

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

თავისუფლების თვალსაზრისით. ამასთანავე მისი შექმნა პედაგოგისგან მოითხოვს გარკვეულ ცოდნას კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში.

საგანმანათლებლო სისტემის განვითარების ინოვაციური მიმართულებების ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს უმაღლესი სასწავლებლის შემეცნებითი გარემოს ტექნოლოგიური სრულყოფა. იკვეთება პედაგოგის მიერ ინტერნეტის ქსელის პროფესიულ-პედაგოგიური სივრცის ათვისებისა და მის საფუძველზე საკუთარი საგანმანათლებლო სივრცის ფორმირების აუცილებლობის ამოცანა. აღნიშნული ამოცანის გადაჭრის შესაძლებლობა შეიძლება ჩაითვალოს პედაგოგის მთავარ კომპიუტერულ-საინფორმაციო კომპეტენციად. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, განსაკუთრებით **web**-ტექნოლოგიებისა და სერვისების სრულყოფამ და ფართოდ გავრცელებამ შექმნა პრინციპულად ახალი სიტუაცია პედაგოგთა და სტუდენტთა როგორც კოგნიტური, ისე საკომუნიკაციო საქმიანობის გასააქტიურებლად. ჩნდება სწავლის დამატებითი მოტივაციები, ღრმავდება სწავლების ინდივიდუალიზაციის დონე და ერთდროულად, აქტიურდება კოლექტიური სწავლების შესაძლებლობები [4].

მასწავლებლის ინდივიდუალური ელექტრონული საგანმანათლებლო სივრცის ორგანიზაციის, სრულყოფისა და რეალიზაციის თანამედროვე პერსპექტიულ ფორმას წარმოადგენს მასწავლებლის პერსონალური სასწავლო **web**-საიტი. იგი უზრუნველყოფს პედაგოგის ძირითადი პროფესიული საქმიანობის განხორციელებას თანამედროვე ინოვაციური კოპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და საშუალებას იძლევა თვალსაჩინოდ და ღიად წარმოადგინოს მისი სასწავლო, სამეცნიერო, აღმზრდელობითი და სხვა სახის საქმიანობის შედეგები. აღნიშნული ტერმინის ქვეშ იგულისხმება პედაგოგის საინფორმაციო-საგანმანათლებლო სივრცის თანამედროვე ქსელური საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ფორმირებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სტუდენტის (მოსწავლის), ასევე პედაგოგის სასწავლო და პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას [8].

ამ ეტაპზე აუცილებელია სამეცნიერო კვლევების გააქტიურება პედაგოგის პერსონალური **web**-საიტის შექმნის თეორიული და მეთოდიკური საფუძვლების შესწავლის, სასწავლო-აღმზდელობით პროცესში მისი როლისა და ადგილის განსაზღვრის თვალსაზრისით. ამ მხრივ მნიშვნელოვანი პრობლემებია **web**-საიტის ფუნქციების, ხარისხის ძირითადი მახასიათებლების, საიტის ფორმირების ტექნოლოგიური საფუძვლების შესწავლის მიმართულებით [8].

სასწავლო **web**-საიტები, მათი შექმნის, კონფიგურირების, ინტერნეტში განთავსებისა და რეალიზაციის პროგრამულ-ტექნოლოგიური მახასიათებლებით არსებითად არ განსხვავდებიან ტრადიციული, მაგ. სარეკლამო, კომერციული, საცნობარო და ა. შ. **web**-საიტებისგან, მაგრამ წაეყენებათ დამატებითი, სპეციფიკური მოთხოვნები:

- ინფორმაციული შემცველობის (კონტენტის) ხარისხი და აქტუალობა;
- წვდომისა და გამოყენების სიმარტივე;
- ნებისმიერ ინტერნეტთავსებად მოწყობილობებთან, განსაკუთრებით მობილურ აპარატებთან კომუნიკაციის მოხერხებული საშუალებები;
- მდიდარი გრაფიკული და მულტიმედიური შესაძლებლობები.

პედაგოგის პერსონალური სასწავლო **web**-საიტის ცნება უნდა განვიხილოთ კომპიუტერული და ინტერნეტ ტექნოლოგიების, მათი სამეცნიერო-მეთოდიკური უზრუნველყოფისა და ელექტრონული სწავლების განვითარების პროცესებთან დინამიკაში. ელექტრონული სწავლების, მისი სხვადასხვა ფორმების შექმნასა და განვითარებასთან ერთად იცვლებოდა მასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები, ტერმინოლოგია და მათი შინაარსი. პედაგოგის პერსონალური საგანმანათლებლო სივრცე ელექტრონული სწავლების საწყის ეტაპებზე შემოიფარგლებოდა ძირითადად ელექტრონული წიგნით, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენდა ჩვეულებრივი ნაბეჭდი წიგნისა და სხვა სასწავლო მასალის ელექტრონულ ვარიანტს და ფაილების სახით ინახებოდა კომპიუტერულ მატარებლებზე ან ჩვეულებრივი სტატიკური ინერნეტ-საიტების სახით. დღესაც, სასწავლო ინტერნეტ-რესურსების უდიდესი ნაწილი შემორჩენილი და წარმოდგენილია ანალოგიური სახით. შემდგომ ეტაპზე **e-Learning** და **LMS (Learning Management System)** სისტემების შემუშავებისა და გავრცელების პარალელურად ჩნდება ტერმინები „ელექტრონული სახელმძღვანელო“ და „ელექტრონული სწავლება“. დღეისთვის, სასწავლო პროცესში **web**-ტექნოლოგიებისა და სოციალური ქსელების მასობრივად დანერგვის შემდეგ, მკვიდრდება ტერმინები „პედაგოგის ელექტრონული საგანმანათლებლო სივრცე“, „პედაგოგის პერსონალური

საიტი“, „მასწავლებლის ვებ-პორტფოლიო“. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინები ატარებენ გარკვეულ სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს, ხშირად მათ ერთი და იმავე მნიშვნელობითაც განიხილავენ [6]. ელექტრონული სწავლების სფეროში სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ცალსახა განმარტებები ისეთი საკვანძო ცნებებისა, როგორიცაა ქსელური სწავლება, ელექტრონული საინფორმაციო სივრცე, დისტანციური სწავლება, პერსონალური სასწავლო **web**-საიტი. ყოველი მათგანი წარმოადგენს ელექტრონული სწავლების თავისებურ ფორმას, მიმართულებას. ხშირად მათ შორის შეუძლებელია საზღვრის გავლება, რადგანაც გააჩნიათ მრავალი საერთო ფუნქციები, მიზნები და ამოცანები [15].

მიზანშეწონილია გამოვიყენოთ განმარტებათა ერთობლიობა, სადაც ყოველ მათგანში აისახება ელექტრონული სწავლების ცალკეული მნიშვნელოვანი ასპექტი. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა და დღევანდელ მდგომარეობას შედარებით ადეკვატურად ასახავს კატალონიის უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ ჩამოყალიბებული სისტემა [13], რომელშიც განსაზღვრულია ელექტრონული სწავლების განმარტებათა ოთხი ჯგუფი: პირველ ჯგუფი ორიენტირებულია ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიურ ასპექტებზე; მეორე - საგანმანათლებლო კონტენტის მიწოდების სისტემაზე; მესამე - კომუნიკაციებზე (ინტერნეტზე); მეოთხე - საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფაზე.

ჩვენი აზრით, ქსელებზე ორიენტაცია არის თანამედროვე ელექტრონული სწავლების მთავარი ღერძი, ვექტორი, რომელიც განსაზღვრავს განვითარების ტექნოლოგიურ და მეთოდოლოგიურ ასპექტებს.

თანამედროვე სტუდენტი დროის უდიდეს ნაწილს ატარებს **on-line** რეჟიმში, იყენებს რა ინტერნეტს როგორც სწავლის, ისე ურთიერთობების, მონაცემთა მოძიების, გართობის მიზნით. განსაკუთრებით პოპულარულია ახალგაზრდებში სოციალური ქსელები. სასწავლო **web**-საიტების სოციალურ ქსელებში ინტეგრაციის შედეგად შესაძლებელია აღნიშნული ქსელების გადაქცევა სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის ინსტრუმენტად, ინტერაქტიური საგანმანათლებლო ქსელების შექმნის, სტუდენტებსა და პედაგოგებს შორის კომუნიკაციის საშუალებად [4]. აღნიშნული ურთიერთობები სტუდენტებსა და პედაგოგებს ხდიან კომუნიკაციის თანაბარ მონაწილეებად. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ როდესაც პედაგოგი არის აქტიური, კომპეტენტური და წარმმართველი ინტერაქტიური რესურსების გამოყენების პროცესში, იზრდება სტუდენტების ინტერესი და ნდობა მის მიმართ, მისი როგორც პედაგოგისა და პიროვნების ავტორიტეტი, რაც საბოლოო ჯამში ძლიერ გავლენას ახდენს სასწავლო პროცესის ხარისხზე [6]. არანაკლებ ეფექტიანი იქნება ქსელური სწავლების ისეთი ფორმა, როგორიცაა პედაგოგის ელექტრონული საგანმანათლებლო სივრცე პერსონალური სასწავლო **web**-საიტის გამოყენებით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ პერსონალური სასწავლო საიტების ფართოდ გავრცელება სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს პედაგოგებს კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებისთვის მათი მზაობის თვალსაზრისით. ელექტრონული სწავლების შემდგომი გაღრმავება-განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლების პერსპექტივები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პედაგოგების მიერ ახალ საგანმანათლებლო ტენდენციებში კომპეტენციების სრულყოფაზე. თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს პედაგოგთა პროფესიული დონის ამაღლებას, მათ შემოქმედებით განვითარებას, აძლევს სტიმულს და შესაძლებლობებს სტუდენტებთან მუშაობის ახალი საშუალებების, ფორმების, მეთოდებისა და ინიციატივებისთვის.

პედაგოგის ელექტრონულ საგანმანათლებლო სივრცის გამოყენების პროცესების კვლევისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სწავლების პროცესში პედაგოგის როლის განსაზღვრა. არსებობს შეხედულება, თითქოს ელექტრონული სწავლების განვითარებისა და ფართოდ გავრცელების პარალელურად მიმდინარეობს სასწავლო პროცესის ცენტრში სტუდენტის გადანაცვლება და მასწავლებლის როლის დაქვეითება. ავტორთა მტკიცებით, ელექტრონული სწავლების გარემოში თანამედროვე სტუდენტები შესძლებენ შეიმუშავონ ინდივიდუალური სასწავლო პროგრამები საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, გააკონტროლონ და მართონ საკუთარი სწავლების პროცესი. რაც შეეხება მასწავლებელს, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელის, წარმმართველის როლიდან იგი გადაინაცვლებს კონსულტანტის, „მეთვალყურის“ როლში. ელექტრონული სწავლების განვითარების თანამედროვე ეტაპმა დაადასტურა აღნიშნული მოსაზრების არამართებულობა [1]. მოსწავლეებში, სტუდენტებში სწავლის, შემეცნებისა და კრიტიკული აზროვნების ჩვევების გამომუშავების პროცესები, ცხადია, დაკავშირებულია უმთავრესად

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

პედაგოგთან, მის პროფესიულ კომპეტენციებთან.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული სწავლება არა თუ აკნინებს პედაგოგის როლს სწავლების პროცესში, არამედ აძლიერებს მას და აჰყავს უფრო მაღალ, შემოქმედებით დონეზე. ელექტრონული სწავლების პროცესში მოითხოვება პედაგოგის მხრიდან სწავლებაზე ზედამხედველობა, ხელმძღვანელობა და კონსულტაციების გაწევა მთელი პროცესის განმავლობაში. მეტად აქტუალურია თვით მასწავლებელთა სამეცნიერო, პედაგოგიკური და მეთოდიკური საქმიანობის სრულყოფის მოთხოვნები, რომელსაც უყენებს მათ ელექტრონული სწავლება. პედაგოგის წინაშა ისეთი შემოქმედებითი პრობლემები, როგორიცაა ელექტრონული სახელმძღვანელოების შექმნა, მათი კონტენტის სისტემატური განახლება, ელექტრონული მეცადინეობების კონსტრუირება და ა.შ. ამგვარად, უეჭველია რომ პედაგოგი წარმოადგენს ნებისმიერი ინოვაციური პროექტის განხორციელებისა და მისი ეფექტიანი გამოყენების მთავარ რგოლს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია გააქტიურდეს კვლევები ელექტრონული სწავლების სფეროში პედაგოგის ახალი როლის შესახებ.

პედაგოგის პერსონალური ელექტრონული საგანმანათლებლო სივრცის ცნების მეცნიერული გააზრებისთვის აუცილებელია მისი შესწავლა ქსელური ტექნოლოგიების განვითარების პროცესებთან ერთობლივად. ინტერნეტ-ტექნოლოგიებსა და სოციალური ქსელების თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებში მიმდინარე სწრაფმა ხარისხობრივ-თვისებრივმა ცვლილებებმა შესაძლებელი გახადა გადასვლა **web-2.0** პლატფორმიდან ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე - **web-3.0** პლატფორმაზე, რომელიც ქსელური ინფორმაციის დამუშავების ახალი მიდგომა, მოდელია.

web-3.0 ტექნოლოგიების საცდელი სისტემების დანერგვის შედეგების ანალიზისას, სპეციალისტები აღნიშნავენ [10]. რომ, ამ კონცეფციის რეალიზაცია განაპირობებს: სისტემის საიმედოობის უფრო მაღალ ხარისხს; მომხმარებლების მიმართ „მეგობრული" ტექნოლოგიებისა და სტანდარტების გაუმჯობესებას; ღიაობის (გახსნილობის), ინტერაქტიურობისა და კოლექტივიზმის გაცილებით მაღალ დონეს. აღნიშნული გვაძლევს იმის საფუძველს, რომ **web-3.0** პლატფორმაზე დამყარებული სოციალური ქსელები უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო რესურსი გახდება.

ჩვენი აზრით, **web-3.0** ტექნოლოგიების დანერგვა ხელს შეუწყობს განათლების სფეროში ინფორმატიზაციის უმნიშვნელოვანესი მიმართულებების - ელექტრონული სწავლებისა და საგანმანათლებლო რესურსების მართვის სისტემების დაახლოებას, ურთიერთშერწყმას, მათ ერთ სისტემაში გაერთიანებას. გარდა ამისა, **web-3.0** ინსტრუმენტებზე დამყარებული სასწავლო პროცესი იძლევა მისი ოპტიმიზაციისა და ინდივიდუალიზაციის უდიდეს შესაძლებლობებს.

web-საიტების შექმნისა და ფუნქციონირების თეორია და პრაქტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული საინფორმაციო რესურსების ორგანიზაციის საკითხებთან. პედაგოგის პერსონალური სასწავლო **web-**საიტი ფაქტობრივად წარმოადგენს სტუდენტთა გარკვეული კატეგორიისთვის განკუთვნილ ელექტრონულ საინფორმაციო სივრცეს, სადაც თავმოყრილია სწავლების პროცესში საჭირო აუცილებელი და საკმარისი საინფორმაციო რესურსები: ტექსტოგრაფიული, აუდიოვიზუალური და მულტიმედიური.

მულტიმედიური რესურსები ყველაზე თანამედროვე, მძლავრი და საინტერესო საგანმანათლებლო რესურსებია. სასწავლო საიტებში **web-2.0** და **web-3.0** ინტერაქტიური ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელების შემდეგ სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მულტიმედიური რესურსები. შესაბამისად, მატულობს მათი ხვედრითი წილი საიტების კონტენტში, დანარჩენი რესურსებიც განიცდიან ცვლილებებს მულტიმედიური ნიშან-თვისებების გააქტიურების თვალსაზრისით. უკანასკნელ წლებში შეიქმნა მომდევნო თაობის სოციალურ ქსელებზე ორიენტირებული ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები, რომლებშიც გაერთიანებულია ზემოთაღნიშნული ტიპის რესურსების დადებითი მხარეები [4]. სასწავლო **web-**საიტებში ახალი თაობის ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების ძირითადი უპირატესობებია:

- შინაარსობრივი და ტექნოლოგიური შეზღუდვების არარსებობა;
- ქსელური გავრცელების შესაძლებლობა;
- სასწავლო მოდულების (კონტენტის) გახსნილობა ცვლილებებისა და აქტუალიზაციისთვის;
- კონტენტის დამოუკიდებლობა პროგრამულ-აპარატული პლატფორმისგან;
- პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლების შესაძლებლობა.

საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზაციის, ქსელური წვდომის მეთოდების გაფართოებისა და **web-**საიტების კონსტრუირების ტექნოლოგიების სრულყოფის ურთიერთშეთანხმებული

პროცესების განვითარებამ უნდა უზრუნველყოს სწავლების პროცესის ისეთი მნიშვნელოვანი პირობების რეალიზაცია, როგორიცაა:

➢ საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეებს შორის ინფორმაციის გაცვლა როგორც **on-line,** ისე **of-line** რეჟიმებში;

➢ მიღებული და გადაცემული ინფორმაციის დამუშავება;

➢ დაშორებულ გამოთვლით რესურსებზე, სასწავლო კურსებზე, მაკონტროლებელ სისტემებზე წვდომა;

➢ პედაგოგის სტუდენტებთან და სტუდენტების ერთმანეთთან ურთიერთობის კოლექტიური ფორმების ორგანიზაცია ტელე და ვიდეოკონფერენციების საშუალებით;

➢ ინფორმაციის გაცვლისას კონფიდენციალობისა და რეგლამენტირების პრინციპების დაცვა.

web-საიტების შექმნისა და ინტერნეტში მათი განთავსების ალტერნატიული ვარიანტებიდან ყველაზე გამართლებულია მისი შექმნა პირადად მფლობელის - პედაგოგის მიერ. ამ შემთხვევაში მას მოეთხოვება გარკვეული კომპეტენციების ფლობა ინტერნეტ ტექნოლოგიების სფეროში. გადასაწყვეტია ჰოსტინგის პრობლემები. უფასო ჰოსტინგის შემთხვევაში **web**-საიტი კარგავს გარკვეულ აუცილებელ და საჭირო შესაძლებლობებს, განსაკუთრებით საძიებო სისტემებში მათი ინტეგრაციისა და სხვადასხვა აქტიური კომპონენტების ჩართვის თვალსაზრისით.

აღნიშნული წინააღმდეგობების ნაწილობრივად დაძლევა და დამოუკიდებელი, სრულფასოვანი „საავტორო“ სასწავლო **web**-საიტების შექმნა შესაძლებელია ფართოდ გავრცელებული მარტივი რედაქტორების (**Blogger, Wix, uKit, Nethouse, Setup, uKoz, SimpleSite** და სხვა) დახმარებით.

ჩვენს მიერ შექმნილი სასწავლო-საგნობრივ **web**-საიტებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ **SimpleSite** კონსტრუქტორით შესაძლებელია მასწავლებლის პერსონალური სასწავლო **web**-საიტის მარტივი ფუნქციების რეალიზაცია (მრავაფეროვანი შაბლონები, რეორგანიზაციის სიმარტივე, მარტივი მულტიმედიის შესაძლებლობები, საძიებო სისტემებში დამატება, ელექტრონული ფოსტის ინსტრუმენტები, სოციალურ ქსელებთან ინტეგრაცია და სხვ.) აღნიშნული ტიპის **web**-საიტების შექმნა მიზანშეწონილია სასწავლო რესურსების ინტერნეტში განთავსების, რეგულარული კორექტირების, სტუდენტების მიერ მათი ინდივიდუალური და კოლექტიური სარგებლობის მიზნით. კონსტრუქტორების მეორე ჯგუფში შეიძლება მოვიაზროთ **web**-საიტის მართვის სისტემები CMS (Content Management System), რომელთაც გააჩნიათ **web**-საიტების კონსტრუირების, გაფორმებისა და კონტენტის მართვის უფრო განვითარებული შესაძლებლობები (**WordPress, Joomla, Drupal, MODX** და სხვა). მათგან აღსანიშნავია სისტემა **WordPress,** რომელიც გამოირჩევა უნივერსალობით, ათვისებისა და ექსპლუატაციის სიმარტივით. პედაგოგს (განსაკუთრებული მომზადების გარეშე) შეუძლია ეტაპობრივად განახორციელოს საკუთარი ელექტრონული საინფორმაციო სივრცის შექმნა - დაწყებული მარტივი საიტით, სერვისებისა და ფუნქციების თანმიმდევრული დამატებით, დამთავრებული სრულყოფილი, უნივერსალური სასწავლო **web**-საიტებით. ჩვენ ვთვლით, რომ ასეთმა **web**-საიტებმა უნდა დააკმაყოფილონ მათზე წაყენებული ისეთი ძირითადი მოთხოვნები (კრიტერიუმები). როგორიცაა: კონტენტის ხარისხი, კომუნიკაციების განხორციელების შესაძლებლობები, **web**-საიტის გრაფიკული გადაწყვეტა და გამოყენების მოხერხებულობა (ნავიგაციის სიმარტივე).

საკმაოდ გავრცელებულია **WordPress**-ის პლატფორმის გამოყენებით როგორც პერსონალური სასწავლო **web**-საიტების, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების პორტალების შექმნის ეფექტური მეთოდები ე.წ. „მცირე სოციალური საგანმანათლებლო ქსელის“ სახით. ჩვენი აზრით, **WordPress**-ის საშუალებით პორტალისა და პედაგოგთა პერსონალური საიტების შექმნა უმაღლეს საგნმანათლებლო დაწესებულებებში მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ერთიანი ელექტრონული საგანმანათლებლო სივრცის ფორმირებას.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შესაძლებელია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

➢ პედაგოგის პერსონალური სასწავლო **web**-საიტის ფორმირებისას მიზანშეწონილია საინფორმაციო-საცნობარო ფუნქციის წინ წამოწევა, რომელიც გულისხმობს სასწავლო პროცესის სუბიექტთა ინფორმაციული მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას;

➢ პერსონალური **web**-საიტი ხელს უწყობს სასწავლო პროცესში პედაგოგის წარმმართველი როლის გამოკვეთას, მისი კომპეტენტურობისა და პროფესიონალიზმის დონის წარმოჩენას, ასევე შემოქმედებითი მიღწევების შესახებ ინფორმაციის სწრაფ გავრცელებას;

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

➢ აერთიანებს რა სასწავლო პროცესის სხვადასხვა კომპონენტებს, სასწავლო **web**-საიტი ფუნქციონირებს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ - უზრუნველყოფს წვდომას სხვადასხვა საიტებზე, პორტალებზე, ასევე ფაილებში განთავსებულ სასწავლო რესურსებზე და წარმოაჩენს მათ ერთიან სასწავლო რესურსად;

➢ სასწავლო **web**-საიტების შემუშავებისას აუცილებელია მისი ისეთი პარამეტრების გათვალისწინება, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციფიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებას, როგორიცაა: ინფორმაციული შემცველობის (კონტენტის) ხარისხი და აქტუალობა; წვდომისა და გამოყენების სიმარტივე; ნებისმიერ ინტერნეტთავსებად მოწყობილობებთან, განსაკუთრებით მობილურ აპარატებთან კომუნიკაციის მოხერხებული საშუალებები; მდიდარი გრაფიკული და მულტიმედიური შესაძლებლობები;

➢ პედაგოგის სასწავლო **web**-საიტი ითავსებს სოციალური ქსელების გარკვეულ ფუნქციებს და უზრუნველყოფს მოსწავლეებსა და პედაგოგს, ასევე თვით მოსწავლეებს შორის, ინფორმაციის **on-line** რეჟიმში გაცვლის, პრობლემების განხილვის, დისკუსიების, სემინარების ჩატარებისა და ა.შ. შესაძლებლობას;

➢ პერსონალური **web**-საიტი იძლევა საშუალებას განხორციელდეს პედაგოგის საქმიანობის სრულყოფილი მონიტორინგი სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და განათლების მართვის სხვადასხვა სამსახურების მხრიდან;

➢ პერსონალურმა სასწავლო **web**-საიტმა უნდა შეასრულოს პედაგოგის ერთგვარი „სავიზიტო ბარათის“ ფუნქცია. ამიტომ მნიშვნელოვანია მისი დიზაინი, გამოყენების მოხერხებულობა და სხვა კონკურენტული თვისებები;

➢ პედაგოგის პერსონალური **web**-საიტის დინამიურიობა საშუალებას მოგვცემს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სრულყოფისა და განვითარების პარალელურად მოხდეს მისი შინაარსისა და დიზაინის განახლება (არსებითი ცვლილებების გარეშე);

➢ შემოთავაზებული მეთოდოლოგიის საფუძველზე შექმნილი სასწავლო **web**-საიტი უზრუნველყოფს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენებით პედაგოგის ელექტრონული საგანმანათლებლო სივრცის ფორმირებას და შედეგად, სწავლების ხარისხის ამაღლებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლაგვილავა ე. ელექტრონული სწავლების სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ბაზის ფორმირების ზოგიერთი ასპექტი. I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში“ . შრ. კრებული, თბ. 2015, გვ. 161-167.

2. ლაგვილავა ე. კადრების მომზადების სისტემის ტრანსფორმაცია ციფრული ეკონომიკის პირობებში. ჟურ. „ახალი ეკონომისტი“, 2020, № 1-2, გვ. 7-19.

3. ხაინდრავა რ. ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზაციის აქტუალური პრობლემები. შ. მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. შრ. კრებული, 2013, №6, გვ. 163-167.

4. ხაინდრავა რ. სოციალურ ქსელებზე ორიენტირებული თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები. I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში“, შრ. კრებული, თბ. 2015, გვ. 398-404.

5. Азевич А. И. Роль персонального сайта преподавателя в формировании информационной обучающей среды // Современные научные исследования и инновации. 2012, № 11. http://web.snauka.ru/issues/2012/11/18586 (ბოლო ნახვა 20.02.2021).

6. Власов Д. В. Роль личности преподавателя в формировании обучающей среды// Современные научные исследования и инновацииб 2014, №2. URL:http//web.snauka.ru/issues/2012/11/18586 (ბოლო ნახვა 22.02.2021).

7. Корнеев А.Н. Котельникова В.Е. Тенденции в области дистанционного обучения: методы и технологии // Интернет-журнал «Науковедение» Тю 9,

2017б №6 https://naukovedenie.ru/PDF/30EVN617.pdf (ბოლო ნახვა 22.02.2021).

8. Кручинина Г.А и др. Сайт и блог преподавателя вуза как элементы сетевых коммуникаций: содержание и принципы функционирования // Современные наукоемкие технологии, 2016, № 1, С. 124-128; https://www.top-technologies.ru/ru/article/view?id=35506 (ბოლო ნახვა 24.02. 2021).

9. Куликова И. В. Образовательные возможности персонального сайта преподавателя, Вестник ИГУ, Вып. 6, 2014.

https://www.isuct.ru/e-publ/vgf/node/319 (ბოლო ნახვა 24.02.21).

10. Мусиенко С.О. Роль преподавателя в дистанционной форме обучения при получении высшего образования // Цифровая гуманитаристика и технологии в образовании (DHTE 2020): сб. материалов Всероссийской научно-практической конференции с международным участием. 19—21 ноября 2020 г. М., Издательство ФГБОУ ВО МГППУ, 2020.. С. 451–455. https://psyjournals.ru/dhte2020/issue/Musienko.shtml (ბოლო ნახვა 05.03.2021).

11. Роберт И. В. Теория и методика информатизации образования (психолого-педагогический и технологический аспекты). Эл. изд., М., БИНОМ, Лаборатория знаний, 2014. — 398 с. https://dl-hum.spbstu.ru/pluginfile.php/138452/mod_resource/content/1/ТЕОРИЯ%20И%20МЕТОДИКА%20ИНФОРМАТИЗАЦИИ%20ОБРАЗОВАНИЯ.pdf (ბოლო ნახვა 23.03.2021).

12. Танцура Т. А. Аспекты дистанционного обучения в современных условиях // МНКО, 2020, №2 (81). https://cyberleninka.ru/article/n/aspekty-distantsionnogo-obucheniya-v-sovremennyh-usloviyah (ბოლო ნახვა 23.03.2021).

13. Толстоухова И.В. Дистанционное обучение, как современная педагогическая технология // ЧиО, 2016, №2 (47). https://cyberleninka.ru/article/n/distantsionnoe-obuchenie-kak-sovremennaya-pedagogicheskaya-tehnologiya (ბოლო ნახვა 20.03.2021).

14. Hargadon Steve. Educational Networking: The important role Web 2.0 will play in education. http://mastersecundariaolavide.pbworks.com/f/Educational-Networking-The-Important-Role-Web-2-0-Will-Play-in-Education.pdf (ბოლო ნახვა 23.03.2021).

15. Rostislav Fojtík. Problems of Distance education. Department Informatics and Computers, Faculty of Science, University of Ostrava, Czech, ICTE Journal, 2018, 7(1). https://www.researchgate.net/publication/326545984_Problems_of_Distance_Education/link/5b547f44aca27217ffb05b14/download (ბოლო ნახვა 06.03.2021).

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

THE DIFFICULTIES AND PROSPECTS OF ATTRACTING VENTURE CAPITAL TO GEORGIA

David Vekua
Associate Professor of Guram Tavartkiladze
Tbilisi Teaching University,
Doctor of Economics,
e-mail: David.vekua @ yahoo.com

ABSTRACT

The aim of the paper is to describe the difficulties of attracting venture capital and outline the prospects of implementation that will largely enhance the investment environment in Georgia and support sustainable economic development of the country.

The paper analyzes the essence of venture capital, its intellectual and financial capacity, investment environment and its hampering conditions in Georgia.

The paper outlines the circumstances hampering innovative activities in the country, as well as the reasons preventing their appropriate organization and complicating management, especially on the stage of attraction of investments, because the stages and mechanisms of implementation of the strategy are not well formulated.

According to the author, the change of the market structure and technologies, appearance of new risks and competitors at market have led to the necessity of essential and thorough functional and evaluative analysis of innovative projects. This will enable managers of corporations and investors implement better and more efficient management of material, financial and labour resources.

It is mentioned that, in Georgia, attraction of venture capital is largely hampered by social challenges like poverty and the use of non-qualified labour force. Besides, the investment environment is aggravated by such social problems as the migration of the labour force, especially the youth.

The author assumes that stigmatization of countries with poor economy is a hampering factor for the inflow of venture investments in Georgia, because innovative thinking does not fall within geographical frames, and, currently, global business views the world as a unified financial, labour and goods market.

The given research has proved that in future, the increase of the Georgian economy will largely depend on venture investments and the efficient use of natural resources, because only the implementation of innovations makes it possible to realize the intellectual resources available in the country.

Key words: venture capital, venture investment, innovative business, small business, management, economic policy.

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

ვენჩურული კაპიტალის მოზიდვის სირთულეები და პერსპექტივები საქართველოში

დავით ვეკუა,
გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი
ელ.ფოსტა: David.vekua @ yahoo.com

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია წარმოვაჩინოთ ვენჩურული კაპიტალის მოზიდვის სირთულეები და ის პერსპექტივები, რომელთა რეალიზაცია მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს საქართველოში და ხელს შეუწყობს ქვეყნის სტაბილურ ეკონომიკურ განვითარებას.ნაშრომში გაანალიზებულია ვენჩურული კაპიტალის შინაგანი ბუნება, მისი ინტელექტუალური და ფინანსური შესაძლებლობები, საინვესტიციო გარემო და საქართველოში მისი გაუმჯობესების ხელისშემშლელი პირობები. მითითებულია მიზეზები, რაც ქვეყანაში აფერხებს ინოვაციურ საქმიანობას და ხელს უშლის მის სწორ ორგანიზაციას, ართულებს მენეჯმენტს, განსაკუთრებით ინვესტიციების მოზიდვის ეტაპზე. აღნიშნულია, რომ საქართველოში ვენჩურული კაპიტალის მოზიდვის პერსპექტივას მნიშვნელოვნად ხელს უშლის ისეთი სოციალური გამოწვევების არსებობა, როგორიცაა სიღარიბე და არაკვალიფიციური სამუშაო ძალის გამოყენება. ასევე, ახალგაზრდების მიგრაციის პროცესი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სუსტი ეკონომიკის ქვეყნების სტიგმატიზაცია გარკვეული შემაფერხებელი ფაქტორია საქართველში ვენჩურული ინვესტიციის შემოდინებისათვის, რადგან, ინოვაციურ აზროვნებას არ აქვს გეოგრაფიული ჩარჩო და დღეს გლობალური ბიზნესი მსოფლიოს განიხილავს, როგორც ერთიან ფინანსურ, შრომით და სასაქონლო ბაზარს. საქართველოში ვენჩურული კაპიტალის მოზიდვის გაუმჯობესების მიმართულებით შეთავაზებულია კონკრეტული დასკვნები და რეკომენდაციები. კვლევის შედეგად ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ მომავალში, საქართველოს ეკონომიკის ზრდის პერსპექტივა ვენჩურული ინვესტიციებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული.

საკვანძო სიტყვები: ვენჩურული კაპიტალი, ვენჩურული ინვესტიცია, ინოვაციური ბიზნესი, მცირე ბიზნესი, მენეჯმენტი, ეკონომიკური პოლიტიკა.

შესავალი

საქართველოში ინვესტიციების და მათ შორის ვენჩურული კაპიტალის მოზიდვა არის ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა. ქვეყანაში სპეციფიკური ეკონომიკური და პოლიტიკური რისკების არსებობა ამცირებს ინვესტორთა დაინტერესებას ვენჩურული საქმიანობის მიმართ, რის გამოც ინვესტორები თავს იკავებენ არა მარტო ახალი ბიზნესების დაფინანსებისგან, არამედ ბიზნესის გაფართოების ან რეორგანიზაციის პროცესში მყოფ კომპანიებთან თანამშრომლობისგანაც. კონკურენტუნარიანობის დაქვეითების გამო ჩნდება საშიშროება იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკა დარჩეს მხოლოდ ადგილობრივი ბაზრის ამარა, შეფერხდეს ჩვენი ეკონომიკის ინოვაციური განვითარება და მისი ევროატლანტიკურ სივრცესთან ინტეგრაცია.

ვენჩურული კაპიტალი არის ეკონომიკური წინსვლის ერთგვარი „გენერატორი", რომელსაც ინვესტირების გზით ქვეყანაში შემოაქვს დამატებითი ფინანსური რესურსი, და ამ გზით ბიზნესს აძლევს განვითარების ახალ შესაძლებლობას. ვენჩურული კაპიტალი ფინანსური შუამავალის ფუნქციას ასრულებს ტრადიციულ საბაზრო ეკონომიკასა და ბიზნესში ინოვაციურ აზროვნებას შორის.

ვინაიდან ვენჩურული კაპიტალის შინაგანი

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

ბუნება ინტელექტუალურ შესაძლებლობებზეა დაფუძნებული, ხოლო საქმიანობის სფერო დაფუძნებულია სამეცნიერო და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, ის უნდა განვიხილოთ, როგორც განვითარების უმნიშვნელოვანესი საინვესტიციო რესურსი და ინოვაციური ეკონომიკის „კატალიზატორი."

ჩვენ ვცხოვრობთ განვითარების საოცრად დინამიურ და სიახლეებით სავსე დროში, სადაც ტექნოლოგიებისა და ინოვაციების არნახულმა წინსვლამ შეცვალა ეკომომიკური ურთიერთობების თითქმის ყველა სფერო. შეიცვალა განვითარების ვექტორები, ინვესტიციების პრიორიტეტები, გლობალური ბაზრების სტრუქტურა, კონკურენციის ფორმები და მეთოდები, მსხვილმა ბიზნესმა შეიძინა ტრანსნაციონალური ხასიათი, ეკონომიკაში გაჩნდა ახალი სოციალური იმპერატივები და სხვ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს ვენჩურული კაპიტალის ბევრი განმარტება, მაგრამ ალბათ, ყველაზე სრულად მის არსი ასე განიმარტება: ვენჩურული კაპიტალი არის კაპიტალი, რომელიც საინვესტიციო ხასიათის მიხედვით ინოვაციურია, დაფინანსების სტრუქტურის შესაბამისად დივერსიფიცირებული, იმანენტური ბუნებიდან გამომდინარე - მომეტებული რისკის მატარებელი, და მოგების მაღალი ნორმის მიღებაზე ორიენტირებული.

დავოსის მსოფლიო ეკონომკური ფორუმის დამფუძნებლის და ხელმძღვანელის, კლაუს შვაბის განცხადებით: იმ უამრავ გამოწვევათა შორის, რომელთა წინაშეც დღევანდელი მსოფლიო დგას, ალბათ ყველაზე დიდია ის, თუ როგორ განვითარდება „მეოთხე სამრეწველო რევოლუცია", რომელიც წინა საუკუნის მიწურულს დაიწყო. ახალი ტექნოლოგიებისა და მიდგომების ფარგლებში ფიზიკური, ციფრული და ბიოლოგიური სამყაროები ერთმანეთს ისე ერწყმიან, რომ ეს უთუოდ ძირფესვიანად შეცვლის კაცობრიობას[7].

დღეს მსოფლიო ეკონომიკა შედის სწრაფი განვითარების ახალ ფაზაში, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში IV ინდუსტრიულ რევოლუციას უწოდებენ. ეს პროცესი უკავშირდება ხელოვნური ინტელექტის შექმნას, რომელიც ინდივიდებს ჩაანაცვლებს მრავალ სამუშაო ადგილზე[4].

აკადემიკოსი ა. ფრანგიშვილი ვენჩურულ კაპიტალს განიხილავს, როგორც კაპიტალის დაბანდების განსაკუთრებულ ფორმას მაღალი ხარისხის რისკის მქონე ინვესტირების ობიექტებში, შემოსავლის მაღალი ნორმის სწრაფად მიღების გათვლით[9].

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსება მსოფლიოს მასშტაბით იზრდება საკმაოდ მაღალი ტემპებით. აშშ-ს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (NSF) მონაცემებით, მსოფლიოში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების მოცულობა 2015 წელს 2000 წელთან შედარებით გაორმაგდა. ქვეყნების მიხედვით ლიდერია აშშ - 496 მლრდ აშშ დოლარი, შემდგომია ჩინეთი - 408 მლრდ აშშ დოლარი და იაპონია - 170 მლრდ აშშ დოლარი. ბოლო წლებია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურების ტენდენციით ხასიათდება აღმოსავლეთ აზიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები (ჩინეთი, იაპონია, მალაიზია, სინგაპური, სამხრეთ კორეა, ტაივანი და ინდოეთი) მათი წილი მსოფლიო სამეცნიერო-კვლევით ხარჯებში 2000 წლიდან - 2015 წლისთვის 25%-დან, 40%-მდე გაიზარდა.[11]

კვლევის შედეგები: კვლევაში გამოყენებულია 2016 წლის 30 ოქტომბრის გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მიერ მომზადებული ანგარიში, სადაც მოცემულია ქვეყნების რეიტინგი მეცნიერებაზე და კვლევებზე დახარჯული თანხების მშპ-თან წილის მიხედვით: [12]

ქვეყნების დანახარჯები სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე, მშპ-თან წილის მიხედვით.

რეიტინგი	ქვეყანა	დანახარჯები (%)
1	ისრაელი	4,4
2	ფინეთი	3,8
3	სამხრეთ კორეა	3,74
4	შვედეთი	3,4
5	იაპონია	3,36
6	დანია	3,06
7	შვეიცარია	2,99
8	აშშ	2,9
9	გერმანია	2,82
10	ავსტრია	2,75
62	საქართველო	0,1

ამ რეიტინგის მიხედვით აშკარაა, რომ საქართველო მეცნიერებასა და კვლევებზე დახარჯული თანხების მიხედვით მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოსახლეობითა და ტერიტორიის სიდიდით დაახლოებით ჩვენი ზომის ქვეყნებს: ისრაელს, ფინეთსა

და დანიას. საქართველოში ასეთი ჩამორჩენის მიზეზები სიღრმისეულად გასაანალიზებელია და საჭიროებს ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას, რათა მთავრობამ, ერთის მხრივ თვითონ გამონახოს ფინანსური რესურსები სახელმწიფო ბიუჯეტში ახალი ბიზნესიდეებისა და ინოვაციების დასაფინანსებლად, და მეორეს მხრივ, საკანონმდებლო რეგულაციებისა და ნორმების ლიბერალიზაციის გზით, წაახალისოს უცხოური ვენჩურული კაპიტალის შემოდინება საქართველოში. რასაც მოყვება ეკონომიკის მდგრადი განვითარება, უცხოური ინვესტიციების ზრდა, საერთაშორისო რეიტინგებში დაწინაურება.

დღეს, ამ სფეროში ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, გარდა 90-იან წლებში დაწყებული, ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმაციისთვის დამახასიათებელი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებისა (რამაც შეაფერხა საქართველოში ინოვაციური აქტიურობა და შესაბამისად, ქვეყნაში ვენჩურული ინვესტიციების შემოდინება), არის კორპორაციული და საჯარო ფინანსური რესურსების სიმცირე, რომელიც ვლინდება ინოვაციური წინადადებების დაფინანსებისთვის საჭირო სახსრების უკმარისობასა და შეზღუდულობაში და ასევე საქართველოში იმ ინფრასტრუქტურული სფეროების განვითარებაში, რომლებიც ინოვაციური ბიზნესისთვის საინტერესო არ არის. საუბარია ტურიზმისსა და სარესტორნო ბიზნესის და აგრარული დარგების განვითარებაზე,რომლებიც რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის და ფინანსური სტაბილიზაციისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ კრეატიულობისა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების თვალსაზრისით საკმაოდ შეზღუდული და აქედან გამომდინარე, უცხოური ვენჩურული კაპიტალისათვის უინტერესო.

ინვესტიციების ნაკლებობა და მაღალი ეკონომიკური რისკები, ინოვაციურ მეწარმეობას სარისკო ბიზნესად აქცევს, ხოლო ფინანსური რესურსების სიმცირის გამო, ადგილობრივი ვენჩურული კაპიტალის ბაზარი შეზღუდულია. ვერ ფინანსდება ბევრი ძალიან საინტერესო სამეცნიერო და ექსპერიმენტული პროექტი.

გარდა ფინანსური რესურსების სიმცირისა, საქართველოში ინოვაციური მეწარმეობა თანამედროვე მენეჯმენტისა და მარკეტინგის სფეროში აწყდება ინტელექტუალურ და ორგანიზაციულ სირთულეებსაც. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საქართველოში არ არის ინოვაციური სამეწარმეო სულისკვეთება ან მონდომება. რა თქმა უნდა, ქვეყანა ფლობს გარკვეულ ინტელექტუალურ პოტენციალს, მაგრამ ხშირად საინტერესო იდეა შემდგომში ვეღარ ვითარდება, რადგან ვერ ხერხდება მისი სწორად იმპლემენტაცია, ბაზრისთვის მისი რაციონალური შეთავაზება. მენეჯმენტის სირთულეები განსაკუთრებით ინვესტიციების მოზიდვის ეტაპზე იგრძნობა, რადგან ბიზნესსუბიექტები კვალიფიციურად ვერ აყალიბებენ ინოვაციურ მიზნებს, განვითარების სტრატეგიას, სწორად არ ფორმირდება სტრატეგიის განხორციელების ეტაპები და მექანიზმები. წარმატებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ის რომ, სტრატეგია იყოს ნათელი და მკაფიო, ვენჩურულმა ინვესტორმა უნდა იცოდეს რაში დებს ინვესტიციას, რადგან ეს არის ბიზნესი, რომელიც მაღალ რისკებს შეიცავს და არის მაღალ შემოსავლებზე გათვლილი, ხოლო თუ ინვესტიცია საიმედო და დაბალრისკიანია, ვენჩურული კაპიტალის ლიკვიდობა ასეთ შემთხვევაში, ძირითადად ინვესტიციის საწყის ეტაპზე, საკმაოდ დაბალია, და ინვესტორს არ აქვს რისკების მართვის დიდი არჩევანი. ის იძულებულია რისკების მინიმიზაცია მოახდინოს მხოლოდ ინვესტირებული კომპანიის საქმიანობის კონტროლით.

ბიზნესში სწრაფად იცვლება ბაზრების სტრუქტურა, ტექნოლოგიები, ჩნდება ახალი რისკები, ბაზარზე შემოდიან ახალი კონკურენტები, ამ ფაქტორების გათვალისწინებით აუცილებელი ხდება ინოვაციური პროექტის არსებითი და საფუძვლიანი ფუნქციონალურ-ღირებულებითი ანალიზის ჩატარება, რაც კორპორაციების მენეჯმენტს და ინვესტორებს მისცემს საშუალებას, ბევრად უფრო ეფექტურად განახორციელონ მატერიალური, ფინასური და შრომითი რესურსების მართვა.

საქართველოში ვენჩურული კაპიტალის მოზიდვის პერსპექტივას მნიშვნელოვნად ხელს უშლის ისეთი სოციალური გამოწვევების არსებობა, როგორიცაა სიღარიბე და არაკვალიფიციური სამუშაო ძალის გამოყენება. ასევე საინვესტიციო გარემოს ამძიმებს ისეთი სოციალური პრობლემა, როგორიც არის სამუშაო ძალის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების მიგრაციის პროცესი. საქართველოს მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარიანობიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი არ ფლობს მნიშვნელოვან თავისუფალ ფულად აქტივებს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ვენჩურული ინვესტიციის თანადაფინანსება. ასეთი თანადაფინანსების შესაძლებლობა შეიძლება გამხდარიყო უცხოელი

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

ვენჩურული ინვესტორებისთვის საქართველოში ინოვაციური აქტიურობის ფინანსური მხარდაჭერის სერიოზული არგუმენტი.

ვენჩურული ინვესტორებისათვის, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში, კორონავირუსის პანდემია ჩამოყალიბდა, როგორც ერთ-ერთი უმწვავესი გლობალური პრობლემა, რადგან ძალზე ძნელია იმის პროგნოზირება, როგორ განვითარდება ეკონომიკური პროცესები და რა ინდიკატორები გახდება საინვესტიციო აქტიურობისთვის განმსაზღვრელი პირობა. ბევრ შეკითხვაზე პასუხი ჯერ კიდევ გასაცემია, მაგრამ ერთი რამ ცხადია, პანდემია აღმოჩნდა ის ზღვარი, საიდანაც იწყება ახალი ეკონომიკური ურთიერთობები, მათ შორის ვენჩურული საინვესტიციო პოლიტიკაც.

თითქოს დამკვიდრდა აზრი, რომ სუსტი ეკონომიკის ქვეყნებს არ უნდა ჰქონდეთ ამბიცია, აწარმოონ ინოვაციური პროდუქტი. სუსტი ეკონომიკის ქვეყნების სტიგმატიზაცია გარკვეული შემაფერხებელი ფაქტორია საქართველში ვენჩურული ინვესტიციის შემოდინებისათვის. თუმცა, ეს ასე არ უნდა იყოს, რადგან, ინოვაციურ აზროვნებას არ აქვს გეოგრაფიული ჩარჩო და დღეს გლობალური ბიზნესი მსოფლიოს განიხილავს, როგორც ერთიან ფინანსურ, შრომით და სასაქონლო ბაზარს. ინოვაციური მეწარმეები არ გაურბიან სირთულეებს და რაც მთავარია, ბიზნესში შექმნილი სირთულეების გამო არ კარგავენ პროფესიულ ღირსებას. ვფიქრობთ, სტიგმატიზაცია სრულ წინააღმდეგობაშია მსოფლიო გლობალური ეკონომიკის კონცეფციასთან, რომელიც ლიბერალური დემოკრატიის დამკვიდრების გზით ცდილობს ქვეყნების ეკონომიკები გახადოს ბევრად უფრო ინკლუზიური, ცხოვრების სოციალური მდგომარეობა კი - სამართლიანი.

დასკვნა

ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ვენჩურული ინვესტორებისთვის ისმის შეკითხვა: საქართველოში ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდისა და მასთან ინოვაციური მეწარმეობის ორგანულად დაკავშირების რა შესაძლებლობები არსებობს?

პირველ რიგში, ეს არის ინოვაციურ მეწარმეობაში ქვეყნის ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტიანობა. საჭიროა ახალ ტექნოლოგიებში ქვეყნის ბუნებრივი რესურსების უკეთ გამოყენება და მათი რაციონალური მართვა. ამ რესურსების გამოყენებით წარმოებული პროდუქტების წარმატებული მარკერინგი და ბრენდინგი იმ ბაზრებზე, სადაც არსებობს მოთხოვნილება ეკოლოგიურად სუფთა და ინოვაციურ პროდუქტზე;

მეორე - საქართველოში ვენჩურული საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება. აუცილებელია სახელმწიფომ ბევრად უფრო ეფექტურად იმუშაოს გამოყენებადი კვლევითი პროდუქციის კომერციალიზაციის თვალსაზრისით და ინოვაციური ინიციატივების ხელშეწყობის მიზნით;

მესამე - სტარტაფების დაფინანსება სპეციალური სამთავრობო პროგრამების მეშვეობით. ეს რთული გადაწყვეტილებებია, რადგან იდეების მხოლოდ მცირე ნაწილს გააჩნია რეალიზაციის პერსპექტივა, ვინაიდან ისინი, როგორც წესი, მცირე ბიზნესს უკავშირდება და ინოვაციური პროექტების წარმოების პროცესში მუდმივად განიცდიან საბრუნავი კაპიტალის დეფიციტს. სტარტაპების დაფინანსების მიზნით, გრანტების გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან უდაოდ ინოვაციური აქტიურობის თვალსაზრისით სერიოზული სტიმულია მცირე ბიზნესის ეკონომიკური აქტიურობის წასახალისებლად. თუმცა, საცდელი ნიმუშების დამზადება ან თუნდაც მცირე პარტიების რეალიზება, ინოვაციური მეწარმეობის განვითარების მიმართულებით საკმარისი არ არის. საჭიროა არა მარტო სტარტაპების, არამედ ინოვაციური ბიზნესის სერიოზული ინვესტირება და აქ ვენჩურულმა კაპიტალმა, როგორც ტრადიციულ მეწარმეობასა და ინოვაციურ ბიზნესს შორის შუამავალმა, შეიძლება შეასრულოს გადამწყვეტი როლი;

მეოთხე - იმის გამო, რომ ვენჩურული კაპიტალი ახალგაზრდა და მზარდი ბიზნესის სწრაფი და ინოვაციური განვითარებითაა დაინტერესებული, საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, ვენჩურული კაპიტალის საშუალო და მცირე ბიზნესში ინვესტირება. ეს უცხოელი ვენჩურული ინვესტორებისთვის საინტერესო უნდა იყოს, რადგან საქართველო საშუალო და მცირე ბიზნესის წახალისების მიზნით, უკანასკნელი წლებია, ატარებს პროტექციონისტულ პოლიტიკას;

მეხუთე - ვენჩურული კაპიტალის რესურსებზე წვდომობის გაუმჯობესების მიზნით, საჯარო სექტორის და მცირე ბიზნესის თანამშრომლობის ახალი კრეატიული ფორმების დანერგვა;

მეექვსე - მცირე საწარმოებში, სადაც აინტერესებთ ვენჩურული კაპიტალის მოზიდვა, ინფორმაციის ვალიდურობის და ურთიერთთანამშრომლობის გარემოს ჩამოყალიბება და ანგარიშსწორების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა;

მეშვიდე - ინოვაციური პროექტების განხორ-

ციელებისთვის საჭირო შრომის ბაზარზე სამუშაო ძალაზე მოთხოვნილების იდენტიფიცირება და პროფგანათლება;

მერვე – ვენჩურული კაპიტალით წარმოებული პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობა და საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მომავალში, საქართველოს ეკონომიკის ზრდის პერსპექტივა ვენჩურული ინვესტიციების და ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე იქნება მნიშვნელოვნად დამოკიდებული, რადგან მხოლოდ ინოვაციების იმპლემენდაცია იძლევა ქვეყნაში არსებული ინტელექტუალური რესურსის რეალიზაციის საშუალებას. ყველა სხვა შემთხვევაში საზოგადოებას ექნება, ეკონომიკური განვითარების მცდარ წარმოსახვაზე დაფუძნებული, ყალბი მოლოდინები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი "დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ", თბ., 2016;

2. საქართველოს კანონი „დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ", თბ., 2016;

3. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf ;

4 გაგნიძე ი. (2019). საუნივერსიტეტო ტექნოლოგიის ტრანსფერის ოფისების როლი საქართველოს ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებაში, „გლობალიზაცია და ბიზნესი", #8, გვ. 136-142. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.018 გვ. 136-142;

5 დიდებულიძე თ.(2019) ინოვაციების გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესის მწარმეობლურობაზე. https://openscience.ge/bitstream/1/609/1/didbulidze%20tornike.pdf;

6. ერჰარდი ლ. (2011) კეთილდღეობა ყველასათვის;

7. თარხან მოურავი გ. ტექნოპარკი, ტექნოპოლისი და ინოვაცია: ოცნებები, იმედები და ილუზიები. gfsis.org /files/my-world/18/3.pdf გვ.26 ;

8. პავლიაშვილი ს. (2009) პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში;

9. ფრანგიშვილი ა.(2012) - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2012-2016 წლებისთვის

http://gtu.ge/pdf/stus_ganvitarebis_strategiuli_gegma_2012_2016_wlebisatvis.pdf გვ 69 ;

10. ყორღანაშვილი ლ. (2018) ვენჩურული ბიზნესი, როგორც ინოვაციების დაფინანსების საშუალება. ჟურ. "ბიზნესი და კანონმდებლობა", № 18;

11. ჩუთლაშვილი ა. (2019) „ვენჩურული კაპიტალი და ინოვაციების დაფინანსება (სალექციო კურსი) გვ.116;

12. ხვედელიანი ა. (2017) სარისკო კაპიტალის აქტივიზაცია საქართველოს საბანკო სისტემაში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, გვ.42.

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

ON THE ORIGIN AND DEVELOPMENT OF ECONOMY, MATHEMATICS AND THE ART OF WRITING

Gia Kvashilava
PhD Student in Economics at GTU,
Mathematician at Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Academician of the Abkhazian National Academy of Sciences (Georgia),
Honourable Member of the Georgian Academy of Business Sciences,
Member of the European Mathematical Society,
Member of the Linguistic Society of Europe,
Member of the International Linguistics Association (USA),
Member of the Mediterranean Studies Association (USA)
Gia.Kvashilava@tsu.ge
https://TSU-ge.Academia.edu/GiaKvashilava

ABSTRACT

The analysis of archaeological material made it possible to answer the following questions: when, where, why and how was the system of economic accounting, mathematics, the art of writing and script originated and developed producing the social-economic revolution.

The work describes an accounting system used in Near East since the Neolith Age. The accounting was kept with the help of clay tokens, denoting numbers and various goods. Sometimes the clay tokens were attached to clay bullae hung on wool ropes or were put into spherical bulla-envelopes and then sealed. They were stamped on the outer surface of the clay bullae and denoted the number of tokens in the bullae.

The process of stamping with the tokens on the outer surface of the clay bullae resulted in the appearance of pictographic, linear and cuneiform scripts in 3500–2800 BC. These scripts are found on numerous clay tablets, the deciphering of which proves that writing is an immediate result of counting goods and was used for economic and administrative registration.

Keywords: system of economic accounting, clay tokens, clay bullae, origin and development of the art of writing.

ეკონომიკის, მათემატიკისა და წერის ხელოვნების ჩასახვა-განვითარების შესახებ

გია კვაშილავა
სტუ-ს ეკონომიკის დოქტორანტი, მათემატიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის (საქართველო) აკადემიკოსი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, ევროპის მათემატიკური საზოგადოების წევრი, ევროპის ლინგვისტური საზოგადოების წევრი, საერთაშორისო ლინგვისტიკური ასოციაციის (აშშ) წევრი, მედიტერანული კვლევების ასოციაციის (აშშ) წევრი
Gia.Kvashilava@tsu.ge; https://TSU-ge.Academia.edu/GiaKvashilava

აბსტრაქტი

ძვ.წ. IX–I ათასწლეულებით დათარიღებული არქეოლოგიური მასალის შესწავლის შედეგად, შრომაში პასუხი გაცემულია შემდეგ კითხვებზე: სად, როდის, რატომ და როგორ ჩაისახა და განვითარდა ეკონომიკური აღრიცხვის სისტემა, მათემატიკა, წერის ხელოვნება და დამწერლობა, რამაც გამოიწვია სოციალურ-ეკონომიკური რევოლუცია.

შრომაში განხილულია ეკონომიკური აღრიცხვის სისტემა, რომელიც ნეოლითის ხანიდან გავრცელებული იყო ახლო აღმოსავლეთში. აღრიცხვა ხორციელდებოდა თიხის ფიგურა-სიმბოლოების, საანგარიშო კოჭების მეშვეობით, რომლებიც რიცხვებსა და სხვადასხვა ტიპის საქონელს აღნიშნავდა. გარკვეულ პე-

რიოდში ფიგურა-სიმბოლოები თიხის გუნდაზე მატყლის ბაწარზე ასხმული მაგრდებოდა ან ბურთისებური ყულაბების შიგნით იყრებოდა და ილუქებოდა. ზოგ შემთხვევაში ისინი თიხის ყულაბების გარეთა ზედაპირზე იბეჭდებოდა, რაც ყულაბებში მოთავსებული კოჭების რაოდენობას აღრიცხავდა.

თიხის ყულაბების გარეთა ზედაპირზე ფიგურა-სიმბოლოების ბეჭდვის პროცესმა ჩამოაყალიბა ნახატ-ნიშნიანი, ხაზოვანი და ლურსმული დამწერლობები, რომლებიც ძვ.წ. 3500–2800 წლებში ჩნდება. ამ დამწერლობებითაა შესრულებული უამრავი თიხის ფირფიტა, რომელთა გაშიფრვით დასტურდება, რომ წერა საქონლის, ანუ შრომის პროდუქტის დათვლის პირდაპირი შედეგია და გამოიყენებოდა სამეურნეო-ადმინისტრაციული აღრიცხვა-ანგარიშგების შესაქმნელად.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური აღრიცხვის სისტემა, თიხის ფიგურა-სიმბოლოები, თიხის ბურთისებური ყულაბები, წერის ხელოვნების ჩასახვა და განვითარება.

შესავალი

ეკონომიკის, მათემატიკის, წერის ხელოვნებისა და დამწერლობის ერთდროულად ჩასახვა-განვითარება დასტურდება ძვ.წ. 3500–2340 წლებით დათარიღებული 3709 ცალი თიხის ფირფიტით, რომლებიც 1928–1976 წლებში აღმოჩნდა შუმერულ ქალაქ ურუქში, ეანას კომპლექსის, ღვთაება ანისა და ქალღვთაება ინანას ტაძრების არქეოლოგიურ ადგილას. ურუქის არქეოლოგიური ადგილი, რომელიც დაახლოებით არის 250 ჰა, მდებარეობს შუამდინარეთში, ერაყის რესპუბლიკის სამხრეთ პროვინციაში, ქალაქ სამავასთან ახლოს, მდინარე ევფრატიდან აღმოსავლეთით, 35 კმ-ის დაშორებით (იხ. სურ. 1). ურუქი, რომელსაც უწოდებენ „პირველ ქალაქს მსოფლიო ისტორიაში“, დაარსდა დაახლოებით ძვ.წ. IV ათასწლეულში. ის წერილობით ძეგლებში ცნობილია როგორც შუმერული „უნუგ“-ი, აქადური „ურუქ“-ი, ებრაული „ერექ“-ი / „ერეხ“-ი, ბერძნული „ორექ“-ი და არაბული „ალ-ვარქა“. ვარაუდობენ, რომ სიტყვა „ერაყ“-ი მიღებულია „ერეყ“-ი („ერექ“-ი, „ერეხ“-ი) ფორმიდან (Mark 2011). შუმერები თავიანთ ქვეყანას „ქიენგი“-ს / „ქიენგირა“-ს უწოდებდნენ და თავიანთ ენას – „ემეგირ“-ს / „ემეგი“-ს. აქადელი სემიტები წერდნენ „შუმერი“-ს / „შუმერუ“-ს, ძველი აღთქმის წიგნების ჩამწერები – „შინყარ“-ს, „სენნაარ“-ს.

სურ. 1. ახლო აღმოსავლეთი

1929–1930 წლებში ურუქის ტაძრის გათხრებისას, გერმანელმა არქეოლოგმა, იულიუს იორდენმა აღმოაჩინა 1,25÷3,25 სმ სიგრძის თიხის ფიგურა-სიმბოლოები. ამ პატარა სამგანზომილებიანი ფიგურა-სიმბოლოების საშუალებით აბსტრაქტულად გამოისახებოდა გარკვეული ობიექტები, მაგ., „შინაური ფრინ-

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

ველი“, „თევზი“, „ლომი“, „ძაღლი“, „ძროხა“, „ხარი“, „ვირი“, „ღორი“, „თხა“, „ცხვარი“, „ცხვრის რძე“, „კრავი“, „მატყლი“, „ქსოვილი“, „პური“, „მარცვლეული“ („ქერი“, „ხორბალი“), „ზეთი“, „თაფლი“, „ლუდი“, „ჭურჭელი“ ან სხვა რამე. ფიგურა-სიმბოლოები არის სხვადასხვა ფორმის გეომეტრიული სხეულები, – „სამკუთხედი“, „ოთხკუთხედი“, „დისკო“, „ბირთვი“, „ნახევარბირთვი“, „ცილინდრი“, „ტეტრაედრი“, „ოვოიდი“, „კონუსი“, „ბიკონუსი“, „პარაბოლოიდი“, „ჰიპერბოლოიდი“, „პირამიდა“ და სხვა, რომელთა შორის ზოგს ხაზები და წერტილები აღენიშნება (იხ. სურ. 2).

გია კვაშილავა, 2008–2020

სურ. 2. თიხის ფიგურა-სიმბოლოები, ურუქი, ერაყი, ძვ.წ. 3500–3300 წწ. ახლო აღმოსავლეთის მუზეუმი, ბერლინი, გერმანია (Jordan 1931:47, Abb. 41; 48)

1958 წელს ამერიკელმა არქეოლოგმა, ვივიან ბრომან-მორალესმა თავის სამაგისტრო შრომაში წარმოადგინა მასალა თიხის ფიგურა-სიმბოლოების, მაგ., „კონუსის“, „ტეტრაედრისა“ და „მინიატურული ჭურჭლის“ შესახებ, რომლებიც აღმოჩენილი იქნა ერაყში, ქალაქ ქირქუქის აღმოსავლეთით მდებარე ჯარმოში, ნეოლითური ხანის ნასოფლარის არქეოლოგიურ ადგილას (Broman Morales 1983:387, 388, 390, 396). აქ ნანახი იქნა სულ 2022 ცალი განსხვავებული ფორმის თიხის ფიგურა-სიმბოლო (Schmandt-Besserat 1996:179). ამავე ხანის 114 ცალი თიხის ფიგურა-სიმბოლო აგრეთვე გამოვლინდა თეფე სარაბში, ირანში (Schmandt-Besserat 1996:140). ისინი უმეტესად ნაპოვნია თიხის ბურთისებურ, ღრუიან ყულაბებში, რომელთა დიამეტრი 2,5÷6,9 სმ-ია.

შემდგომში თხუთმეტი ქვეყნის ოცდაათ მუზეუმსა და აგრეთვე კერძო კოლექციებში შეგროვდა ძვირფასი არქეოლოგიური ძეგლები: 8162 ცალი თიხის ფიგურა-სიმბოლო და 235 ცალი თიხის ყულაბა. ამგვარი სამგანზომილებიანი ფიგურა-სიმბოლოები და ყულაბები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების, – ირანის, ერაყის, სირიის, თურქეთის, იორდანიის, ისრაელისა და პალესტინის 116 არქეოლოგიურ ადგილას აღმოჩნდა, რომლებიც ძვ.წ. IX–III ათასწლეულებით დათარიღებულია. მსგავსი ფიგურა-სიმბოლოები გათხრების შედეგად აგრეთვე გამოვლინდა ჩინეთის, ევროპის, აფრიკისა და მესოამერიკის რეგიონებში (Schmandt-Besserat 2012; Schmandt-Besserat 1978; CA 2008; Budja 1998; Morter 1994; Manzanilla 2009:30). „მეცნიერებისათვის მათი დანიშნულება დიდი ხნის განმავლობაში გაურკვეველი რჩებოდა და ისინი თავდაპირველად რაღაც უმნიშვნელო საკულტო საგნებად მიიჩნეოდა“ (გამყრელიძე და სხვ. 2008:503).

1970–2020 წლებში ამ არქეოლოგიური მასალების სისტემური შესწავლის შედეგად, ფრანგ-ამერიკელმა, ხელოვნების ისტორიკოსმა, დენიზ შმანდტ-ბესერამ უახლესი მეცნიერული კონცეფცია შეიმუშავა და გამოაქვეყნა თავისი ფუნდამენტური შრომები, რომლებშიც სავსებით დამაჯერებლად და დასაბუთებულადაა გადმოცემული საკვლევი საკითხები, მაგ., ეკონომიკური ტრანსაქციების, ეკონომიკური აღრიცხვისა

და ანგარიშსწორების სპეციალური სისტემების, მათემატიკის, წერისა და დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების შესახებ (Schmandt-Besserat 1996:xi, xii, 37, 39, 81, 98, 101, 102, 111, 119–125). მისი კვლევის მიხედვით, მცირე ზომის თიხის ფიგურა-სიმბოლოები და ბურთისებური ყულაბები გამოიყენებოდა აუცილებელი ეკონომიკური, ადმინისტრაციული, სოციალური, რელიგიური, სატაძრო და სასახლის საქმიანობების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, საფეიქრო და სახელოსნო ნაწარმის აღრიცხვისათვის (Schmandt-Besserat 1996:1, 7, 30, 31, 44, 45, 53, 57, 83, 102, 105, 106, 108, 110, 115, 116, 123, 124). საქონლის, ანუ გასაცვლელი პროდუქტის თითოეული კატეგორიის დასათვლელად საჭირო იყო სხვადასხვა ფორმის თიხის ფიგურა-სიმბოლოების გამოყენება. ეს სამგანზომილებიანი ფიგურა-სიმბოლოები იყო საანგარიშო კოჭები, რომელთა დათვლით საქონლის რაოდენობა დგინდებოდა. მიწათმოქმედთა ადრეული საზოგადოებები, „ფერმერები“ მარცვლეულს ანგარიშობდნენ კონუსისა და ბირთვის ფორმის თიხის ფიგურა-სიმბოლოების გამოყენებით. „ერთი კონუსი“, რომელიც „მცირე რაოდენობის მარცვლეულს ქერს“ გამოხატავდა, რიცხვს „ერთს“ აღნიშნავდა. „ერთი ბირთვი“, რომელიც „დიდი რაოდენობის მარცვლეულს ქერს“ გამოსახავდა და უდრიდა „ათ ცალ კონუსს“, რიცხვს „ათს“ აღნიშნავდა და ა.შ. (იხ. სურ. 3). შინაური



სურ. 3. თიხის ფიგურა-სიმბოლოები (MS 3120, MS 3122), ძვ.წ. 3700–3500 წწ. სკეიენის კოლექცია, ოსლო, ნორვეგია (SC 2020)

ცხოველები აღირიცხებოდა ცილინდრისა და დისკოს ფორმის ფიგურა-სიმბოლოების მეშვეობით. „ერთი ცილინდრი“ გამოხატავდა „ერთ ცხოველს“. „ათი ცალი ცილინდრი“, რომელიც უდრიდა „ერთ დისკოს“, გამოსახავდა „ათ ცხოველს“ და ა.შ. (იხ. სურ. 6). ერთი ოვოიდის ფორმის ფიგურა-სიმბოლო აღნიშნავდა „ერთ ქილა ზეთს“, „ორი ცალი ოვოიდი“ – „ორ ქილა ზეთს“, „სამი ცალი ოვოიდი“ – „სამ ქილა ზეთს“ და ა.შ. ზემოაღწერილი თვლის სისტემის მიხედვით ჩანს, რომ თიხის ფიგურა-სიმბოლოში შერწყმული იყო აღნიშნული, აბსტრაქტული საქონელი და მისი რაოდენობის გამომხატველი რიცხვი.

ასე რომ, ამ ფიგურა-სიმბოლოების, ანუ საანგარიშო კოჭების რაოდენობა, დამატება ან გამოკლება შესაბამისი საქონლის რიცხვს აჩვენებდა. ამ აღრიცხვის ვიზუალურმა კოდურმა სისტემამ კომუნიკაციების, კორესპონდენციების, მონაცემების დამუშავების, ინფორმაციის გადაცემისა და შენახვის ფორმები გააუმჯობესა, რაც აუცილებელი იყო ოპტიმალური, საუკეთესო გადაწყვეტილების მისაღებად. როგორც დ. შმანდტ-ბესერა ამბობს, თიხის საანგარიშო კოჭები „იყო ნეოლითის ფენომენის შემადგენელი ნაწილი, რამაც ე.წ. აგრიკულტურული რევოლუცია“ გამოიწვია (Schmandt-Besserat 1992, I:42, x).

ძვ.წ. IV ათასწლეულიდან შუამდინარეთში მიწათმოქმედთა და მესაქონლეთა ადრეულმა საზოგადოებებმა თანდათანობით გაამარტივეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, პროდუქტების (მაგ., მარცვლეულის, საქონლის ხორცის, რძის, რძის ნაწარმის, ზეთისა და სხვა), მიწის ფართობებისა და შრომადღეების სააღრიცხვო სისტემები (მაგ., თვლის სამოცობითი სისტემები, თვლის ორსამოცობითი სისტემები და სხვა). ამ პერიოდის არქეოლოგიური მასალის დამუშავებისას გამოიყოფა შემდეგი ორი საფეხური:

I. შრომის პროდუქტების აღრიცხვა თიხის ფიგურა-სიმბოლოების საშუალებით;

II. შრომის პროდუქტების აღრიცხვა თიხის ფირფიტებზე ნახატ-ნიშნების გამოსახვის საშუალებით.

პირველ საფეხურზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და სხვა სახის საგანთა დასათვლელად სათანადო ფორმის თიხის ფიგურა-სიმბოლოები გამოიყენებოდა. ზოგ შემთხვევაში ფიგურა-სიმბოლოები იხვრიტებოდა, რათა მატყლის ბაწარზედ ასხმული თიხის გუნდაზე მიემაგრებინათ (იხ. სურ. 4). ისინი ხშირად იყრებოდა თიხის ბურთისებურ, ღრუიან ყულაბაში, კოჭების სათავსში, რომელიც იხურებოდა და ილუქებოდა (იხ. სურ. 5). დამღადასმული და დახურული ყულაბები, რომლებიც ურუქელმა „მოანგარიშეებმა“ გამოიგონეს, შემდგომ უნდა გახსნილიყო, რათა მასში მოცემული ფიგურა-სიმბოლოების რაოდენობა შე-

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

ემოწმებინათ. თუ ყულაბა ნოტიო, გამოუმშრალი თიხისგან იყო დამზადებული, მაშინ მის გარეთა ზედაპირზე სამგანზომილებიანი ფიგურა-სიმბოლოების მაგრად მიჭერით აღიბეჭდებოდა შესაბამისი გეომეტრიული გამოსახულებები – სამგანზომილებიანი ჩაზნექილი ფიგურები, რაც გადმოსცემდა იმას, თუ რა რაოდენობის ფიგურა-სიმბოლო იყო მოთავსებული ყულაბაში (იხ. სურ. 6). ეს სამგანზომილებიანი ჩაზნექილი ფიგურები შესაბამის საქონელს, ანუ შრომის პროდუქტსა და მის რაოდენობას აღრიცხავდა, რაც იყო წინგადადგმული ნაბიჯი წერის ხელოვნების გაჩენის მიმართულებით.

მეორე საფეხურზე სამგანზომილებიანი ფიგურა-სიმბოლოების თიხის ყულაბებში ჩაყრა და შენახვა უმეტესწილად შეწყდა. სამაგიეროდ დაიწყო ნედლი თიხის გუნდებისა და ყულაბების გაბრტყელება და სათანადო ფორმის ფიგურა-სიმბოლოების ნოტიო თიხის ფირფიტის უკვე სწორ ზედაპირზე დაბეჭდვა, რითაც გამოისახებოდა შესაბამისი სამგანზომილებიანი ჩაზნექილი ფიგურები, რომლებიც აღრიცხავდა მიღებული ან გაცემული სხვადასხვა ტიპის საქონლის რაოდენობას. მაგ., კონუსისა და ბირთვის ფორმის თიხის ფიგურა-სიმბოლოებს, რომელთა გამოყენებით მარცვლეული ითვლებოდა, ნელ-ნელა ჩაენაცვლა თიხის ფირფიტებზე დაბეჭდილი შესაბამისი სამგანზომილებიანი ჩაზნექილი ფიგურები: „სოლი“ და „წრე“, რომლებსაც იგივე მნიშვნელობა მიენიჭა, რასაც „კონუსი“ და „ბირთვი“ აღნიშნავდა (იხ. სურ. 7).

ასე რომ, თანდათანობით წინ წამოიწია თიხის ფირფიტების დამზადებისა და ბეჭდვის ხელობები, რომლებიც გაუმჯობესდა და გავრცელდა ძველი შუამდინარეთის გარკვეულ ადგილებში.

ძვ.წ. 3500–3100 წლებში ურუქში გაფართოვდა სასოფლო-სამეურნეო, სამელიორაციო და სამშენებლო საქმიანობები, დაწინაურდა ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგია და საფეიქრო ნაწარმის წარმოება, შეიქმნა ხელოვნე-

გია კვაშილავა, 2008–2020

სურ. 4. დამღადასმული თიხის გუნდა (MS 4523) და თიხის ფიგურა-სიმბოლოები, ძვ.წ. 3500–3200 წწ. სირია (?) სკეიენის კოლექცია, ოსლო, ნორვეგია (SC 2020)



გია კვაშილავა, 2008–2020

სურ. 5. თიხის ბურთისებური ყულაბა და თიხის ფიგურა-სიმბოლო (MS 4638), უმა (თელ ჯოხა), ერაყი, ძვ.წ. 3700–3500 წწ. სკეიენის კოლექცია, ოსლო, ნორვეგია (SC 2020; CDLI 2020)



გია კვაშილავა, 2008–2020

სურ. 6. თიხის ბურთისებური ყულაბა და მასზე გამოსახული ჩაზნექილი ფიგურები, თიხის ფიგურა-სიმბოლოები (Sb 01940), სუზა, ირანი, ძვ.წ. 3700–3500 წწ. ლუვრის მუზეუმი, პარიზი, საფრანგეთი (CDLI 2020)

ბის ნიმუშები. წარმოების რაციონალიზაციამ, შრომის ინტენსიფიკაციამ და კულტურულმა განვითარებამ გააჩინა პოლიტიკურ-ეკონომიკური, რელიგიური, საგანმანათლებლო და სოციალური ორგანიზაციები. ურბანული ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისთვის დაიწყო ინსტიტუციური სისტემებისა და ცენტრალური ორგანიზაციების გაუმჯობესება, სამუშაოთა შესრულების, დაგეგმვის, ვაჭრობისა და დაბეგვრის კონტროლის გაძლიერება, საქონლის შეგროვებისა და განაწილების, მიღებისა და გატანის, შემოსავლებისა

სურ. 7. თიხის ფირფიტა (MW0188/113) და მასზე გამოსახული ჩაზნექილი ფიგურები, ძვ.წ. 3500–3350 წწ. (?) კერძო კოლექცია, ევროპა (CDLI 2020)

და ხარჯების, გადასახადებისა და შესაწირავების აღრიცხვა, არქიტექტურული ცენტრების, ტაძრების, სასახლეების, საზოგადოებრივი შენობებისა და მიწის რეგისტრაციის, ფართობისა და აგების ღირებულების გამოთვლა და სხვა. ამ პერიოდში „მოანგარიშეებმა“ გაამარტივეს თიხის ფირფიტებზე დაბეჭდვა ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციისთვის. ზოგიერთი ფიგურა-სიმბოლოს გამოყენება შეწყვიტეს, მაგრამ მარცვლეულის რაოდენობის გამომხატველი სამგანზომილებიანი ჩაზნექილი ფიგურები – „სოლი“ და „წრე“ თიხის ფირფიტებზე ამ და მომდევნო პერიოდებშიც დასტურდება. მაგ., „თხუთმეტი ჭურჭელი მარცვლეული“ გამოისახეობდა როგორც „ერთი ბირთვისა“ და „ხუთი ცალი კონუსის“ შესაბამისი სამგანზომილებიანი ჩაზნექილი ფიგურების – „ერთი წრისა“ და „ხუთი ცალი სოლის“ სახით (იხ. სურ. 8).

დაახლოებით ძვ.წ. 3500 წლიდან „მოანგარიშეებმა“ თიხის რბილ ფირფიტებზე რამდენიმე ფიგურა-სიმბოლოს დაბჯენა-დაბეჭდვის ნაცვლად ნელ-ნელა დაიწყეს ლერწმის სტილოსის, წაწვეტებული წკირის გამოყენება. გეომეტრიული პრინციპის გამოყენებით, წკირის მეშვეობით თიხის ფირფიტებზე მათ გამოსახეს სამგანზომილებიანი ჩაზნექილი ფიგურების შესაბამისი ორგანზომილებიანი, ბრტყელი ფიგურები,

სურ. 8. თიხის ფირფიტა (OIMA21310/Kh05338) და მასზე გამოსახული ჩაზნექილი ფიგურები, თუთუბი, ერაყი, ძვ.წ. 3500–3350 წწ. ჩიკაგოს უნივერსიტეტი, აშშ (CDLI 2020)

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

ანუ პიქტოგრამები, ნახატ-ნიშნები, რომლებიც აღნიშნავდა „მარცვლეულს“, „შინაურ ცხოველებსა“ და „ფრინველებს“, „ზეთს“, „ქსოვილსა“ და სხვა სახის საგანს. ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი წერისა და დამწერლობის ნიშნების ჩასახვის მიმართულებით (Schmandt-Besserat 1996:54).

ძვ.წ. 3500–3200 წლებიდან იწყება საქონლისა და მისი რაოდენობის გამომხატველი რიცხვის შერწყმული ნახატ-ნიშნების განცალკევება და თითოეული რიცხვის აღმნიშვნელი ნახატ-ნიშნების გაჩენა. თვლის სამოცობით სისტემაში აბსტრაქტული რიცხვები გამოიხატა როგორც ორგანზომილებიანი, ბრტყელი ფიგურების, – „სოლისა“ და „წრის“ და მათი გარკვეული კომბინაციების სახით, რამაც რაოდენობის მხრივ მნიშვნელოვნად შეამცირა საქონლის გამომსახველი ნახატ-ნიშნები, რომლებიც თიხის ზედაპირზე აღიბეჭდებოდა. ამ ბრტყელმა ფიგურებმა, რომლებიც ადრე აღნიშნავდა „ერთ ჭურჭელ მარცვლეულსა“ და „ათ ჭურჭელ მარცვლეულს“, შესაბამისად შეიძინა მეორე მნიშვნელობაც, კერძოდ, „ერთი“ და „ათი“ რიცხვებისა (იხ. სურ. 9). „ეს არის უკვე რიცხვის როგორც დამოუკიდებელი, საგნისაგან [გამოყოფილი] კატეგორიის ჩამოყალიბება და მისი სათანადოდ გამოხატვა“ (გამყრელიძე და სხვ. 2008:503).

სურ. 9. თვლის სამოცობითი სისტემის რიცხვები (CDLI 2020)

გია კვაშილავა, 2008–2020

მრავალი თიხის ფირფიტის მიხედვით დასტურდება, რომ ურუქის ტაძრის სამეურნეო ანგარიშების აღმრიცხველები დათვლილი საქონლისა და მისი რაოდენობის გამომხატველი რიცხვის აღმნიშვნელ ნახატ-ნიშნებს გვერდიგვერდ გამოსახვდნენ. მაგ., „ერთი ქსოვილი“ გადმოიცემოდა როგორც „ერთი სოლისა“ (ჩაზნექილი ფიგურა) და „ორქორდიანი წრის“ (ნახატ-ნიშანი) სახით (იხ. სურ. 10). „36 ცალი ჭურჭლის“ ჩანიშვნა ხდებოდა მხოლოდ ათი ფიგურის საშუალებით, კერძოდ, „სამი წრის“, „ექვსი სოლისა“ და „ერთი ჭურჭლის“ გამოსახულებათა მიმდევრობის სახით (იხ. სურ. 11). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რიცხვი 36-ის აღმნიშვნელი ჩაზნექილი ფიგურების, „წრისა“ და „სოლის“ გამოყენებამ ფაქტობრივად დაასრულა „ჭურჭლის“ ნახატ-ნიშნის 36-ჯერ გამეორებით გამოსახვა თიხის ფირფიტებზე. ეს ტექნიკური სიახლე თიხის ფირფიტის ზედაპირის მოხმარების მნიშვნელოვან ეკონომიას იძლეოდა.

სურ.10. „... ერთი ქსოვილი, ერთი ნერბი, ერთი ვერძი“, თიხის ფირფიტის წარწერა (VAT14674/W09656,w), ურუქი, ერაყი, ძვ.წ. 3350–3200 წწ. ახლო აღმოსავლეთის მუზეუმი, ბერლინი, გერმანია (CDLI 2020)

გია კვაშილავა, 2008–2020



სურ. 11. „36 ცალი ჭურჭლი “; თიხის ფირფიტის წარწერა (VAT 14906 / W 09311,c), ურუქი, ერაყი, ძვ.წ. 3350–3200 წწ. ახლო აღმოსავლეთის მუზეუმი, ბერლინი, გერმანია (CDLI 2020)

ძვ.წ. 3400–3000 წლებში შუამდინარეთის ნახატ-ნიშნიანი წერითი სისტემა მეზობელ რეგიონებშიც გავრცელდა. მაგ., ამ პერიოდში ჩნდება ეგვიპტური იეროგლიფები და პროტო-ელამური ნიშნები (იხ. სურ. 12).

დაახლოებით ძვ.წ. 3000 წლიდან თიხის რბილ ფირფიტაზე სტილოსით გამოყვანილი ნახატი და ხაზოვანი ნიშნები ნელ-ნელა გარდაიქმნა „ლურსმნის“ / „სოლის“ მსგავს ნიშნებად, რომლებსაც ფონეტიკური მნიშვნელობები მიენიჭა (იხ. სურ. 13). ამ წერით სისტემას ეწოდა „ლურსმული / სოლისებური დამწერლობა“, რომლის ნიშნებით შესრულებული თიხის ფირფიტების წარწერები „ემეგირულ“ – შუმერულ ენაზე დეშიფრატორებმა ამოიკითხეს.



სურ. 12. დამწერლობის ნიშნების განვითარების სქემა დროის მიხედვით

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)



სურ. 13. თიხის ფიგურა-სიმბოლოების შესაბამისი ნახატ-ნიშნების ლურსმნის მსგავს ნიშნებად გარდაქმნა (CDLI 2020)

გია კვაშილავა, 2008–2020

არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ლურსმული დამწერლობა მოქმედებდა დაახლოებით ძვ.წ. 2900 წლიდან ძვ.წ. 63 წლამდე. მას იყენებდნენ: შუმერები, ელამელები, ხურიტები, აქადელები (ასურელ-ბაბილონელები), ხეთები, ურარტუელები, ქანანელები, ძველი სპარსელები და სხვა ხალხი. ლიტერატურის მიხედვით (CDLI 2020), ევროპის, ამერიკის, კანადის, ერაყის, ირანის, სირიის, თურქეთის, რუსეთისა და სხვა ქვეყნის მუზეუმებში, უნივერსიტეტებში, ბიბლიოთეკებსა და აგრეთვე კერძო კოლექციებში დღევანდლამდე კატალოგიზირებულია ლურსმული დამწერლობით შესრულებული 263 659 ცალი თიხის ფირფიტა.

შუამდინარეთში „გადამწერთა სკოლებში“ ლურსმული დამწერლობის ნიშნებით თიხის ფირფიტებზე ჩაიწერა და შემოინახა, მაგ., ნატურალური რიცხვების გამრავლების ტაბულები თვლის სამოცობით სისტემაში (იხ. სურ. 14), „პითაგორას თეორემა“ (იხ. სურ. 15), ტრიგონომეტრიულ ფუნქციათა ცხრილი (იხ. სურ. 16–19), მიწისა და საქონლის აღრიცხვის, მიღების, განაწილებისა და გაცვლის, საირიგაციო გადასახადის, ბალანსის, გამოსასყიდი ფულის, პროცენტიანი სესხისა და ვალის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიებისა და საკვები რაციონის შესახებ ცნობები და სხვა.

სურ. 14. ლურსმული დამწერლობით წარმოდგენილი (5,15) რიცხვის კვადრატი თვლის სამოცობით სისტემაში, თიხის ფირფიტა (CBS 07265), ნიფური, ერაყი, ძვ.წ. 1900–1600 წწ., პენსილვანიის უნივერსიტეტის არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის მუზეუმი, ფილადელფია, აშშ (CDLI 2020; Robson 2000:24)

გია კვაშილავა, 2008–2020





$$1,24,51,10 \cdot 30 = 0,42,25,35$$

$$1,24,51,10 = 1,41421(296) \approx \sqrt{2}$$

$$0,42,25,35 = 0,707106(481) \approx \frac{1}{\sqrt{2}}$$

სურ. 15. ლურსმული დამწერლობით შესრულებული „პითაგორას თეორემა“ თვლის სამოცობით სისტემაში, თიხის ფირფიტის A მხარე (YBC 07289), ძვ.წ. 1900–1600 წწ., იელის უნივერსიტეტის ბაბილონური კოლექცია, ნიუ-ჰეივენი, კონექტიკუტი, აშშ (CDLI 2020; Aaboe 1998:27)

გია კვაშილავა, 2008–2020

სურ. 16. ლურსმული დამწერლობით შესრულებული $\cos c^2\theta$ ტრიგონომეტრიული ფუნქციის ცხრილი თვლის სამოცობით სისტემაში, თიხის ფირფიტა (CULC 460, პლიმპტონის №322), ლარსა (?), ერაყი, ძვ.წ. 1900–1600 წწ., იშვიათი წიგნებისა და ხელნაწერთა ბიბლიოთეკა, კოლუმბიის უნივერსიტეტი, ნიუ-იორკი, აშშ (CDLI 2020)

გია კვაშილავა, 2008–2020

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)



გია კვაშილავა, 2008–2020

სურ. 17. ლურსმული დამწერლობით შესრულებული cosc²θ ტრიგონომეტრიული ფუნქციის ცხრილი თვლის სამოცობით სისტემაში, თიხის ფირფიტის (CULC 460, პლიმპტონის №322) მიხედვით (Robson 2008:111)

[*ta-ki*]-*il-ti ṣi-li-ip-tim* [*ša* 1 *in*]-*na-as-sà-ḫu-ma* SAG *i-il-lu-ú*	ÍB.SI$_8$ SAG	ÍB.SI$_8$ *ṣi-li-ip-tim*	MU.BI.IM
[1 59] 15	1 59	2 49	KI 1
[1 56 56] 58 14 50 6 15	56 7	3 12 1	KI 2
[1 55 7] 41 15 33 45	1 16 41	1 50 49	KI 3
1 [53] 10 29 32 52 16	3 31 49	5 9 1	KI 4
1 48 54 1 40	1 5	1 37	KI [5]
1 47 6 41 40	5 19	[8] 1	[KI 6]
1 43 11 56 28 26 40	38 11	59 1	KI 7
1 41 33 45 14 3 45	13 19	20 49	KI 8
1 38 33 36 36	9 1	12 49	KI 9
1 35 10 2 28 27 24 26 40	1 22 41	2 16 1	KI 10
1 33 45	45	1 15	KI 11
1 29 21 54 2 15	27 59	48 49	KI 12
1 27 3 45	7 12 1	4 49	KI 13
1 25 48 51 35 6 40	29 31	53 49	KI 14
1 23 13 46 40	56	53	KI [15]

შეცდომების გასწორება			
		~~3~~ ~~12~~ ~~1~~ *1 *20 *25	KI 2
	~~9~~ 1 *8 1		KI 9
	~~7~~ ~~12~~ ~~1~~ *2 *41		KI 13
		~~53~~ *1 *46	KI [15]

გია კვაშილავა, 2008–2020

სურ. 18. cosc²θ ტრიგონომეტრიული ფუნქციის ცხრილი თვლის სამოცობით სისტემაში, თიხის ფირფიტის (CULC 460, პლიმპტონის №322) ლურსმული წარწერის მიხედვით (შდრ. Neugebauer and Sachs 1945:38)

$\operatorname{cosc}^2\theta = \frac{d^2}{b^2} = \frac{d^2}{d^2 - a^2}$	მართკუთხედის გვერდი a	მართკუთხედის დიაგონალი d	№
[1,983402(7)]	119	169	მიწა 1
[1,9491585520886…]	3367	*4825	მიწა 2
[1,918802126736(1)]	4601	6649	მიწა 3
[1,8862479067215…]	12709	18541	მიწა 4
1,81500771604938…	65	97	მიწა [5]
1,78519290123456…	319	[481]	[მიწა 6]
1,71998367626886…	2291	3541	მიწა 7
1,692709418402(7)	799	1249	მიწა 8
1,642669(4)	*481	769	მიწა 9
1,58612256611034…	4961	8161	მიწა 10
1,5625	45	75	მიწა 11
1,4894168402(7)	1679	2929	მიწა 12
1,45001736(1)	*161	289	მიწა 13
1,43023882030178…	1771	3229	მიწა 14
1,38716049382716…	56	*106	მიწა [15]



სურ. 19. $\operatorname{cosc}^2\theta$ ტრიგონომეტრიული ფუნქციის ცხრილი თვლის ათობით სისტემაში, თიხის ფირფიტის (CULC 460, პლიმპტონის №322) ლურსმული წარწერის მიხედვით

ვია კვაშილავა, 2008–2020

დასკვნა

ეკონომიკური აღრიცხვისა და წერითი სისტემების გამართვა ადამიანის გენიალური მიღწევაა, რომლის ჩამოყალიბებას შუამდინარეთში ნეოლითის ხანის დაწყებიდან დაახლეობით 5000 წელი დასჭირდა.

დ. შმანდტ-ბესერას კვლევის მიხედვით ნათელია, რომ წერა, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენი, კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის იმ სახეობიდან მომდინარეობს, რომელიც თავდაპირველად გაჩნდა მიწათმოქმედთა ადრეულ საზოგადოებაში ეკონომიკური საქმიანობის, მაგ., ჭარბი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო საქონლის დათვლისა და აღრიცხვის საჭიროების გამო.

ძვ.წ. 3500–2800 წლებში ურუქელი „მოანგარიშეების“ წრეებში წერის ხელოვნებისა და დამწერლობის გაჩენამ დაასრულა სიტყვიერი შეტყობინებებისა და ზეპირი არითმეტიკული მოქმედებების ხშირი სარგებლობა. ამ დროიდან მოყოლებული დაიწყო მათემატიკური მეთოდების გამოყენება და დამუშავება, ინფორმაციის მოძიება, ჩაწერა და ანალიზი პრობლემის შესახებ, პრობლემისთვის შესაძლო გეგმის შედგენა და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რამაც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური რევოლუცია გამოიწვია და ცხოვრების დონე საგრძნობლად აამაღლა.

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე და სხვ. 2008: გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

2. Aaboe 1998: Aaboe, A., *Episodes from the Early History of Mathematics*, The Mathematical Association of America.

3. Broman Morales 1983: Broman Morales, V., Jarmo Figurines and Other Clay Objects, *Prehistoric Archaeology Along the Zagros Flanks,* L. S. Braidwood et al., Eds., The Oriental Institute Publications, Vol. 105, Chicago: University of Chicago Press, pp. 369–423.

4. Budja 1998: Budja, M., Clay Tokens – Accounting before Writing in Eurasia, *Documenta Praehistorica*, Vol. XXV, pp. 219–235.

5. CA 2008: The Neolithic Site at Shuangdun, Bengbu, *Chinese Archaeology*, Vol. 8, Issue 1, Anhui Provincial Institute of Cultural Relics and Archaeology, Anhui Bengbu Municipal Museum, De Gruyter, pp. 55–68.

6. CDLI 2020: Cuneiform Digital Library Initiative, https://cdli.ucla.edu

7. Jordan 1931: Jordan, J., *Zweiter vorläufiger Bericht über die der Notgemeinschaft der deutschen Wissenschaft in Uruk unternommenen Ausgrabungen,* aus den Abhandlungen der Preussischen Akademie der Wissenschaften, Jahrgang 1930, Philosophisch-historische Klasse, NR.4, Berlin: Verlag der Akademie der Wissenschaften, pp. 3−55.

8. Manzanilla 2009: Manzanilla, L. R., Corporate Life in Apartment and Barrio Compounds at Teotihuacan, Central Mesxico, Craft Specialization, Hierarchy, and Ethnicity, *Domestic Life in Prehispanic Capitals, A Study of Specialization, Hierarchy, and Ethnicity*, Vol. VII, Ed. by L. R. Manzanilla and C. Chapdelaine, Memoirs of the Museum of Anthropology, Ann Arbor: University of Michigan, pp. 21–42.

9. Mark 2011: Mark, J. J., Uruk, https://www.ancient.eu/uruk

10. Neugebauer and Sachs 1945: Neugebauer O. and Sachs A. (Ed.), *Mathematical Cuneiform Texts*, with a Chapter by A. Goetze, New Haven, Conn.: American Oriental Society and the American Schools of Oriental Research.

11. Robson 2000: Robson, E., Mathematical Cuneiform Tablets in Philadelphia, Part 1: Problems and Calculations, *SCIAMVS*, Vol.1, pp. 11–48.

12. Robson 2008: Robson, E., *Mathematics in Ancient Iraq: A Social History*, Princeton University Press.

13. SC 2020: The Schoyen Collection, https://www.schoyencollection.com

14. Schmandt-Besserat 1978: Schmandt-Besserat, D., An Early Recording System in Egypt and the Ancient Near East, *Immortal Egypt*, Ed.by Denise Schmandt-Besserat, Malibu: Undena Publications, pp. 5–12.

15. Schmandt-Besserat 1992, I: Schmandt-Besserat, D., *Before Writing, Vol. I: From Counting to Cuneiform*, Austin: University of Texas Press.

16. Schmandt-Besserat 1996: Schmandt-Besserat D., *How Writing Came About*, Austin: University of Texas Press.

17. Schmandt-Besserat 2012: Schmandt-Besserat, D., Tokens in China, Europe and Africa – The significance, https://sites.utexas.edu/dsb/files/2014/04/scripta12proofs.pdf

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

TOURISM AND PANDEMIC – CORONAVIRUS (COVID-19)

AVTANDIL OKROTSVARIDZE
Asoc.professor of Caucasus International University,
E-mail: Avtandil.okrotsvaridze@ciu.edu.ge

ABSTRACT

The article briefly discusses the coronavirus (COVID-19), the area where the pandemic spread, and the number of infected and dead people. It analyzes how much the tourist flows and incomes have decreased in 2020 compared to 2019, gives recommendations and measures on what should be done before the introduction of the vaccine in Georgia and how to meet the new flows of prepared incoming tourists. Finally, we can conclude that it is a pandemic **(COVID-19)** neither the first nor the last, because if you look at history, Pandemics raged around the world, such as: "Flower and Tuberculosis Pandemic", "Cholera pandemic", "Asian flu" "Avian flu pandemic, "Swine flu pandemic" etc." Therefore, we must prepare the population of Georgia psychologically and as our ancestors defeated the above pandemics, let us also meet ready and learn to live and work with the new pandemic with the people of the world.

Keywords: Tourism and pandemic, Coronavirus (COVID-19)

ტურიზმი და პანდემია - კორონავირუსი (COVID-19)

ავთანდილ ოქროცვარიძე,
კავკასიის საერთაშორის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
ელ.ფოსტა: Avtandil.okrotsvaridze@ciu.edu.ge

ანოტაცია

კორონავირუსი (COVID-19) 2019 წლის დეკემბერში გაჩნდა ჩინეთის ქალაქ უხანში, შემდეგ კი გავრცელდა ჩინეთის სხვადასხვა პროვინციაში. 2021 წლის 11 თებერვლის მდგომარეობით კორონავირუსი მსოფლიოს 190 ქვეყანაში ფიქსირდება. ვირუსის შედეგად დაინფიცირებულთა რიცხვი 107 მილიონს აღემატება, ხოლო ვირუსის შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა კი - 2.5 მილიონს. კორონავირუსის (COVID-19) პირველი შემთხვევა საქართველოში 2020 წლის 26 თებერვალს დადასტურდა, 4 მაისის მდგომარეობით კი ქვეყანაში იყო 600-მდე დადასტურებული შემთხვევა. 2021 წლის 11 თებერვლის მდგომარეობით სულ კორონავირუსის 264 158 დადასტურებული შემთხვევაა, მ. შ. გარდაცვლილია 3321 ადამიანი. როგორც ზემოთ მოყვანილი ციფრები გვიჩვენებს 2020-21 წ.წ. პრობლემას, მსოფლიო ქვეყნების მოსახლეობისათვის წარმოადგენს კორონავირუსი (COVID-19), აქედან გამომდინარე იძულებული ვართ, შევეგუოთ და ვისწავლოთ მასთან ცხოვრება.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი და პანდემია, კორონავირუსი (COVID-19)

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

შესავალი

კორონავირუსის გავრცელებამ სრულიად შეცვალა მსოფლიოში არსებული მდგომარეობა და მათ შორის გამონაკლისი არც ტურიზმის სექტორია. გამომდინარე იქიდან, რომ ბევრი ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) საზღვრები ჩაკეტილია, მოგზაურობის მსურველებს უბრალოდ, ფიზიკურად არ აქვთ სხვა ქვეყანაში გადაადგილების საშუალება. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ მოგზაურობა ამ პერიოდში უბრალოდ, არაგონივრული საქციელია, რადგან ამით კორონავირუსული ინფექციის გავრცელების რისკები საგრძნობლად მატულობს. ამ ორი მიზეზის გამო, ტურიზმის სექტორი ბოლო პერიოდში საკმაოდ რთულ სიტუაციაშია და ამაზე ისიც მეტყველებს, რომ საქართველოში 2020 წელს საერთაშორისო მოგზაურობისგან მიღებული შემოსავალი 81%-ით შემცირდა და დაახლოებით 2 მილიარდ 800 მილიონი ლარით იზარალა, რაც სავალალო მაჩვენებელად უნდა ჩაითვალოს. მსოფლიო ეკონომიკაზე COVID-19 გარკვეულ ნეგატიურ გავლენას ახდენს. თუმცა, კითხვები COVID-19-ის ზეგავლენის მასშტაბსა და ხარისხზე ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია. თუ რა ზეგავლენას იქონიებს COVID-19 მსოფლიო ეკონომიკაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ვირუსის გავრცელების ტენდენციებზე (რამდენად შორს და რა სისწრაფით გავრცელდება ვირუსი), ვაქცინის შექმნის ვადებზე, ცალკეული ქვეყნების უნარსა და სურვილზე იმოქმედონ ეფექტურად.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კვლევები და ანგარიშები პანდემიის გავლენას გლობალურ ეკონომიკაზე არაერთგვაროვნად აფასებენ. გაეროს მიერ შემოთავაზებული უკანასკნელი ანალიზით, COVID-19-ის შემდგომ გლობალური ეკონომიკის ზრდა მინიმუმ 2,5%-მდე შემცირდება, 2020 წელს პანდემიით გამოწვეული ზარალი კი დაახლოებით ტრილიონ დოლარს მიაღწევს. უფრო ცუდ შემთხვევაში ეს რიცხვი შეიძლება გაორმაგდეს. ყველაზე დიდი ზიანი კი ნავთობის და სხვა საქონლის ექსპორტიორ ქვეყნებს მიადგება. მოსალოდნელია ასეთი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპის მინიმუმ 1%-იანი შემცირება. ეუთოს ანგარიშის მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკის ზრდა 2,4%-მდე შემცირდება წინასწარ ნავარაუდევი 2,9%-დან, რაც ძირითადად, მსოფლიო ვაჭრობის შემცირებით იქნება განპირობებული. „რაბო ბანკის ცოდნის ცენტრის“ ანაგარიში მოსალოდნელ შედეგებს კიდევ უფრო ნეგატიურად აფასებს და გლობალური ეკონომიკის ზრდის შემცირებას 1,6%-მდე ელოდება (უარეს შემთხვევაში კი 0,2%-მდე) [7]. მნიშვნელოვან ფინანსურ ზიანს უნდა ელოდონ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებიც. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემების მიხედვით, 2019 წელს საქართველოში 9 მლნ საერთაშორისო ვიზიტი განხორციელდა. ყველაზე მეტი სტუმარი საქართველოს აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან და თურქეთიდან ეწვია. ასევე, მაღალია ვიზიტების რაოდენობა ისრაელიდან, უკრაინიდან, ირანიდან და ყაზახეთიდან. 2019 წლის მონაცემებით ტურიზმის სექტორიდან შემოსავალმა 3 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 11,5 %-ს შეადგენდა. 2019 წელთან შედარებით, იანვრიდან მარტის ჩათვლით, საქართველოში უცხოელი ტურისტების შემოსვლის დინამიკა ასეთი იყო:



დიაგრამა-1

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, წლევანდელი წლის იანვარში გასულ წელთან შედარებით 19,8%-იანი ზრდა შეინიშნებოდა საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების თვალსაზრისით. თებერვალში ორივე წლისთვის იდენტური მაჩვენებელი დაფიქსირდა, 2020 წლის მარტის თვიდან 62,3%-ით იკლო ვიზიტების რაოდენობამ, ხოლო აპრილში მთელი 95,5%-ით შემცირდა საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები და დღემდის გრძელდება. მართალია, ასეთი დიდი ცვლილება COVID-19-ის პანდემიით არის გამოწვეული, რაც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ გლობალურად, მსოფლიო მაშტაბით აისახა ტურიზმის სექტორზე. ეს მონაცემები იმაზე მეტყველებს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ტურიზმს, საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის, ე. ი. რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის ტურიზმის სფეროს ამოქმედებას და რა დიდი, რთული გამოწვევების წინაშე დააყენა ტურიზმის სექტორი კორონავირუსის პანდემიამ. თუმცა, ტურიზმის ამოქმედებისას აუცილებლივ გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც საქართველოს სახელმწიფო სტრატეგია. ასევე, სხვა სახელმწიფოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც, რადგან ამ ამოცანის შესრულება განსაკუთრებით რთულდება იმ ქვეყნების კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, საიდანაც ტურისტების ყველაზე დიდი ნაკადი შემოდიოდა გასულ წლებში (იხ. ცხრილი1): **[3]**

2020 წლის იანვარში საქართველოში 633,201

საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტი შედგა. ზრდა წინა წლის იანვართან შედარებით +19,8%-ია. საერთაშორისო ვიზიტორთა ვიზიტების რაოდენობამ 523,689 შეადგინა, რაც 86,471-ით მეტია 2019 წლის მაჩვენებელზე (ზრდა +19,8%-ია). ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ კი 363,614 შეადგინა, რაც 57,675-ით მეტია 2019 წლის იანვართან შედარებით. (ზრდა +18,9%).

2020 წლის იანვარის დეტალური სტატისტიკური მონაცემები ასეთია: ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტი აზერბაიჯანიდან (+34,9%), სომხეთიდან (+17,5%), რუსეთიდან (+1,1%) და თურქეთიდან (+16,6%) შედგა. **პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნებიდან.** საქართველოში საერთაშორისო ვიზიტების ზრდის კუთხით გამოირჩეოდნენ: იტალია (+133,1%), პოლონეთი (+82,9%), საფრანგეთი (+46,8%), ლიეტუვა (+43,7%) და სხვ. **2020 წლის იანვარში განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან:** ისრაელი (+57,3%), საუდის არაბეთი (+49,8%), ყაზახეთი (+44,8%), ქუვეითი (+44,6%) და სხვ. წინასწარი მონაცემებით, 2020 წლის იანვრის თვის მდგომარეობით, შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველოში შეადგენს 193 მლნ დოლარს (ზრდა +17,6%), რაც 29 მლნ-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

რაც შეეხება ახალი კორონავირუსის შედეგად გამოწვეულ ზეგავლენას, ვირუსმა გავლენა უკვე მოახდინა ეკონომიკასა და ტურიზმის დარგზე მთელ მსოფლიოში. ახალი კორონავირუსის შედეგად განსაკუთრებით გართულდა მდგომარეობა თებერვლის ბოლოდან, რაც ნეგატიურად აისახება საერთაშორისო ტურისტულ და საავიაციო ბაზრებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის მონაცემებით, კორონავირუსის სწრაფი გავრცელების გამო საერთაშორისო ავიაციის დანაკლისმა ორ თვეში უკვე შეადგინა 4,9 %. წლიურმა დანაკლისმა კი შესაძლოა 13 %-ს მიაღწიოს, რაც ჯამში საავიაციო სექტორისთვის 28 მილიარდამდე დოლარის შემოსავლის შემცირებას გულისხმობს.

საერთაშორისო ობიექტური ტენდენციებიდან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ თუ ასე გაგრძელდა პანდემიის გავრცელება, მსოფლიო მოსახლეობა აღმოჩნდება მაღალი გამოწვევების წინაშე, როგორც საქართველოს, ასევე მთელი მსოფლიოს ტურიზმისა და ავიაციის ინდუსტრიაც. მართალია საქართველოს მთავრობამ თავიდან მთელი რიგი ეფექტური ღონისძიებები განახორციელა ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, როგორიცაა: სხვადასხვა სასაზღვრო გამშვებ-პუნქტებში, აეროპორტებში, საბაჟო-ტერმინალებსა და ა.შ. მკაცრად მოწმდებოდა ქვეყანაში შემოსული როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის თითოეული მოქალაქე. მიმდინარეობდა მასობრივი სადეზინფექციო სამუშაოები, როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში, ასევე სასწავლო დაწესებულებებსა და თავშეყრის ადგილებში. მაგრამ, მეორე ეტაპზე, ჩვენი მთავრობა მოუმზადებელი შეხვდა და მათმა არასწორმა გათვლებმა გამოიწვია ის მდგომარეობა რაც ამჟამად ხდება ქვეყანაში, კერძოდ ვერ უზრუნველყვეს საავადმყოფებმა დაავადებულთა მიღება; არ აღმოაჩნდათ ჟანგბადის აპარატები საკმარისი რაოდენობით, რამაც გაზარდა ადამიანთა სიკვდილიანობა და რაც მთავარია სწორად არ იქნა მიმართული ის დახმარებები, რომელიც დონორმა სახელმწიფოებმა ჩვენს ქვეყანას გაუწიეს. ამიტომ

	ქვეყანა	2019: იანვარი	2020: იანვარი	ცვლილება	ცვლილება %
1	აზერბაიჯანი	92,341	124,534	32,193	34.9%
2	სომხეთი	77,968	91,580	13,612	17.5%
3	რუსეთი	85,922	86,884	962	1.1%
4	თურქეთი	64,349	75,012	10,663	16.6%
5	საქართველო (არარეზიდენტი)	44,541	50,522	5,981	13.4%
6	უკრაინა	10,453	12,799	2,346	22.4%
7	ისრაელი	7,217	11,351	4,134	57.3%
8	ირანი	8,424	9,467	1,043	12.4%
9	ყაზახეთი	3,157	4,570	1,413	44.8%
10	ინდოეთი	2,830	3,647	817	28.9%

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

ჩვენმა ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ მომზადებული შევხვდეთ შემოსულ ტურისტთა ახალ ნაკადებს, უპირველეს ყოვლისა:

- უნდა მოხდეს სახელწიფოს მიერ ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა სუბსიდირება;
- სესხების გადავადება;
- ქონების გადასახადისაგან განთავისუფლება;
- სასტუმროების, ტურისტული კომპანიებისა და გიდების მხარდაჭერა.

გარდა ამისა, წინა პლანზე უნდა წამოიწიოს ტურისტებისათვის შედარებით უსაფრთხო მიმართულებების წინ წამოწევა, როგორიცაა მთის კურორტები, გამაჯანსაღებელი და სამკურნალო ტურიზმი, დაცული ტერიტორიები, ეკო და აგრო ტურიზმი და ღვინის ტურიზმი. ე.ი. საქართველოში ჩამოსული ტურისტისთვის ყველა ზემოთ აღნიშნული შესაძლებლობა ძალიან მიმზიდველად უნდა ჩანდეს.

ამასთან ერთად, კორონავირუსის გავრცელებასთან ერთად, ბევრმა ოჯახმა ქალაქიდან სოფელს მიაშურა. ამან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში უფრო მეტი ადამიანის ჩართვას შეუწყო ხელი, რაც დადებით სიმპტომად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ეს ხელს შეუწყობს სოფლად აგროტურიზმის განვითარებას.

ბოლო რამდენიმე წელია საგრძნობლად იზრდება აგროტურიზმის წილი ქვეყნის შიდა მეურნეობიდან მიღებულ პროდუქციის მოცულობაში, რაც ეროვნული ეკონომიკის ზრდაში უნდა გამოიხატოს და მიიზიდოს, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე საერთაშორისო მოგზაურებიც.

შეიძლება ასევე გამოიყოს გამაჯანსაღებელი ცენტრები, გასტრონომიული ტურიზმი და სხვ., სადაც შეიძლება მოიზიდონ, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ტურისტები, როგორც აღნიშნავს USAID ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ხელმძღვანელი, მარკ მაკორდი.

ასევე საუბრობს აგრო და ეკო ტურიზმის პერსპექტივაზე USAID/Zrda პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე, ქეთევან ჭუმბურიძე, თუმცა, იმასაც დასძენს, რომ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ აგრო ტურისტულმა ობიექტებმა ელემენტარული სტანდარტები დააკმაყოფილონ და ტურისტებს მრავალფეროვანი სერვისები შესთავაზონ. მართალია, ტარდება და იქმნება ტურიზმის სექტორში არსებული კრიზისის დასაძლევად ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა: საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის ალიანსი, სადაც გაერთიანდა 14 ასოციაცია ტურიზმის სხვადასხვა სექტორიდან, რომლებმაც შეიმუშავეს ხედვა ეკონომიკური შედეგების დასაძლევად. ეს ხედვა ალიანსში შემავალი თითეული სექტორის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს აერთიანებს და მათი ყველაზე პესიმისტური გათვლებით, ტურიზმის სექტორი სრულფასოვნად ამუშავდება 2021 წლის მეორე კვარტალიდან.

ახალი პროექტით „იმუშავე საქართველოდან“ საქართველოში ჩამოსვლის და დისტანციურად მუშაობის სურვილი უკვე 40-მდე ქვეყნის 200-ზე მეტმა მოქალაქემ გამოხატა და პროექტში მონაწილეობისათვის რეგისტრაცია გაიარა.“იმუშავე საქართველოდან“ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ახალი პროექტია, რომელიც საქართველოში დისტანციურად მუშაობის მსურველ უცხო ქვეყნის მაღალანაზღაურებად მოქალაქეებს საქართველოში უმასპინძლებს. 95 ქვეყნის დისტანციურად მომუშავე სხვადასხვა გლობალური კომპანიის თანამშრომლებს, საქართველოს მთავრობა სთავაზობს, მინიმუმ 180 დღის განმავლობაში დისტანციურად შეასრულონ სამუშაო. ჩამოსვლის მსურველები წინასწარ, https://stopcov.ge/-ზე ავ-

სებენ სპეციალურ ფორმებს და დოკუმენტურად ადასტურებენ ქვეყანაში შემოსვლისთვის აუცილებელ პირობებს[1]. გარდა ამისა, მათ საკუთარი სახსრებით სრულად უნდა უზრუნველყონ 2 კვირიანი კარანტინის გავლა და ტესტირება. (შესავსები ფორმის ბმული: https://registration.gov.ge/pub/form/20/ydrv71/) [2].

დასკვნა

ბოლოს, შეიძლება დავასკვნათ, რომ პანდემია კოვიდ-19 არც პირველია და არც უკანასკნელი, რადგან თუ გადავხედავთ ისტორიას მსოფლიოში მძვინვარებდა ისეთი პანდემიები, როგორიც იყო:

1. შავი ჭირისა და ტუბერკულოზის პანდემია. ერთ-ერთი ყველაზე გამანადგურებელი პანდემია იყო შავი ჭირი, რომელმაც XIV საუკუნეში დაახლოებით 75-200 მილიონი ადამიანი იმსხვერპლა.

2. ქოლერის პანდემია. XIX საუკუნეში რესეთის იმპერიას ქოლერის ხუთმა პანდემიამ გადაურა, ყველაზე მასშტაბურმა მეხუთე პანდემიამ, რომელიც 90-იან წლებში დაიწყო, რუსეთის 70 გუბერნია მოიცვა. ჯამში დაავადდა 505 ათასი და გარდაიცვალა 207 ადამიანი. ამ დროის ქართული გაზეთები, განსაკუთრებით „ივერია“, სავსეა ცნობებით „ხოლერის შესახებ“

3. პანდემია „ესპანურა“. გრიპის სასიკვდილო ეპიდემია 1918 წელს დაიწყო. ეს იყო მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე დიდი პანდემია. მას „ესპანურა“ შეარქვეს.

4. „აზიური გრიპი“. „ესპანურას“ შემდეგ, გრიპის ყველაზე მასშტაბიანი პანდემია გახლდათ 1957 წელს - „აზიური გრიპი“, რომლის დროსაც 25 მილიონი ადამიანი დაავადდა და 2 მილიონი გარდაიცვალა.

5. „ჰონკ-კონკის გრიპი“ - 1969 წელს - 1 მილიონი დაღუპულით.

6. „რუსული გრიპი“- 1976-1978 წლები - მილიონობით დაავადებული და გარდაცვლილით.

7. ღორის გრიპის ეპიდემია. 2009 წელს დაიწყო მექსიკის სამ რეგიონში ერთდროულად, სეზონური გრიპის კლინიკური ნიშნების გამოვლენით, რომელიც სწრაფად გავრცელდა ადამიანთა შორის. დადასტურდა, რომ ახალი მწვავე ვირუსული ინფექციის გამომწვევია A ტიპის გრიპის H1N1 შტამი[1]. ღორის გრიპის ინფექციის პირველი ლოკალური აფეთქება გამოვლინდა მარტის თვეში[2]. მალე დაავადების შემთხვევები დაფიქსირდა მექსიკის მრავალ რეგიონში და აშშ-ში. ვირუსული ინფექციის შემთხვევები აღიწერა ესპანეთში, დიდი ბრიტანეთში, ახალ ზელნდიაში და ისრაელში და სავარაუდოდ ინფიცირებულთა რიცხვმა 4000-ს მიაღწია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მდგომარეობა შეაფასა, როგორც პანდემის „მე-5 ფაზა“: 100 მილიონი დაავადებული და ასი ათასამდე გარდაცვლილი. ღორის გრიპის მეორე ტალღა 2015 წელს განმეორდა, როდესაც დაღუპულთა რიცხვი გაუთანაბრდა 2009 წლის მაჩვენებელს.

8. „ფრინველის გრიპი“ - ავადმყოფობა პირველად აღწერა იტალიაში პერონჩიტომ 1880წ. რუსეთში ფრინველის კლასიკური ჭირის ვირუსი დაადგინეს 1902 წელს. ავადმყოფობა შეისწავლეს და აღწერეს მ. ტარტაკოვსკიმ, ვ. სიურინმა, ნ. ოსიძემ, ა. საფონოვმა, გ.ივანოვმა და სხვ.

ამიტომ, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, საქართველოს მოსახლეობა ფსიქოლოგიურად უნდა მოემზადოს და როგორც ჩვენმა წინა თაობებმა ზემოაღნიშნული პანდემიები გადაიტანა და დაამარცხა, ასევე შეხვდეს მზად და მსოფლიოსთან ერთად შეეგუოს და ისწავლოს ახალ პანდემიასთან ცხოვრება და მოღვაწეობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტი“, თბ., 2020 წ.

2. „ინფორმაცია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“, თბ., 2020 წ.

3. https://registration.gov.ge/pub/form/20/ydrv71/);

4. https://stopcov.ge/;

5.“The Economic Impact of the COVID-19 Outbreak on Developing Asia”, Asian Development Bank, 6 მარტი 2020;

6. https://bit.ly/2UpeGe9 2 “The Coronavirus Shock: a Story of Another Global Crisis Foretold and What Policymakers Should Be Doing about It.” UNCTAD, 9 მარტი 2020;

7. https://bit.ly/2WwcW5O 3 “Coronavirus: The world economy at risk” OECD Economic Outlook, 2 მარტი 2020;

8. https://doi.org/10.1787/7969896b-en 4 Erken Hugo, Menno Middeldorp, Raphie Hayat, and Kan Ji. “Global Economic Outlook: COVID-19 Has Taken a Hold of the Global Economy,” Rabobank, 12 მარტი 2020;

9. https://bit.ly/3a7J17U;

10. WHO – Authoritative source of information about global health issues;

11. Past pandemics that ravaged Europe;

12. CDC : Influenza Pandemic Phases;

13. WHO changes swine flu name to ‘H1N1 influenza’, 257 confirmed cases HT Media Limited;

14. Biosurveillance Swine Flu in Mexico- Timeline of Events;

15. World Health Organization Swine influenza;

16. World Health Organization Current WHO phase of pandemic alert.

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

EU POLICY IN THE SOUTH CAUCASUS REGION AND GEORGIA'S PARTICIPATION IN THE EUROPEAN "NEIGHBORHOOD POLICY" AND THE "EASTERN PARTNERSHIP" PROJECTS



Ekaterine Lomia
Ph.D. Candidate in Political Science
Caucasus International University
E-mail: eka_lomia@yahoo.com

Tariel Lomia
Ph.D Candidate In Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
E-mail: tariel.lomia@tsu.ge

ABSTRACT

The EU has been interested in the South Caucasus region since the second half of the 1990s. Bilateral relations deepened in the early 2000s, when the EU appointed its Special Representative for the South Caucasus to achieve a long-term strategy in a geopolitically important region, reaffirming its readiness to cooperate with all the countries of the region. The EU has approved a multimillion-dollar financial, humanitarian and technical assistance package under various projects (TACIS, ENP, EAP, PCA) to support the European and democratic transformation of Georgia, Armenia, and Azerbaijan. With regard to the South Caucasus region, special mention should be made of the EU-initiated Neighborhood Policy (initiated in 2004) and the Eastern Partnership (initiated in 2013). The main objective of the projects was to maintain peace and stability in the EU's "neighborhood".

Keywords: EU, Georgia, South Caucasus, "European Neighborhood Policy", "Eastern Partnership".

ევროკავშირის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონში და საქართველოს მონაწილეობა „ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა" და „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ფარგლებში

ეკატერინე ლომია
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ელ. ფოსტა: ekaterine.lomia@ciu.edu.ge

ტარიელ ლომია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის დოქტორანტი
ელ. ფოსტა: tariel.lomia@tsu.ge

ანოტაცია

სამხრეთ კავკასიის რეგიონით ევროკავშირი 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან ინტერესდება. 2000-იანი წლების დასაწყისში ორმხრივი ურთიერთობები ღრმავდება, როდესაც გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან რეგიონში გრძელვადიანი სტრატეგიის მისაღწევად, ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიაში თავისი სპეციალური წარმომადგენელი დანიშნა და ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა რეგიონის ქვეყნებთან პარტნიორობისა და თანამშრომლობისთვის მზაობა. ევროკავშირმა, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ევროპული და დემოკრატიული ტრანსფორმაციის მხარდასაჭერად სხვადასხვა პროექტის ფარგლებში (TACIS, ENP, EAP, PCA) მრავალმილიონიანი ფინანსური, ჰუმანიტარული და ტექნიკური დამხარების პაკეტი დაამტკიცა. სამხრეთ კავკასიის რეგიონთან მიმართებით, განსაკუთრებული აღნიშ-

ვნის ღირსია ევროკავშირის მიერ ინიცირებული „სამეზობლო პოლიტიკისა“ (2004 წ.) და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ (2013 წ.) პროგრამები, რომელთა უმთავრეს ამოცანას ევროკავშირის „სამეზობლოში“ მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება წარმოადგენდა.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, საქართველო, სამხრეთ კავკასია, “ევროპული სამეზობლო პოლიტიკა”, “აღმოსავლეთ პარტნიორობა”.

შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამივე ქვეყანა, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, მათი პოლიტიკური ორიენტაციითა და მისწრაფებებით, რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, ქვეყნებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს ევროკავშირთან მჭიდრო, მყარი ურთიერთობების ჩამოსაყალიბების გზაზე. 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ამავე ქვეყნების პირველი პირები და მაღალჩინოსნები, სხვადასხვა მაღალი ტრიბუნიდან (ეუთოს სამიტი, ამერიკულ-თურქული საბჭო, შავი ზღვისა და ბალტიისპირეთის თანამშრომლობის სამიტი და ა.შ.) ღიად აცხადებდნენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტეგრაციის თაობაზე. ინიციატორებს შორის იყვნენ საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, საქართველოს ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, სომხეთის პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი და სხვ. [4].

2000-იან წლებში გადაწყდა კიდეც „კავკასიის სტაბილურობის პაქტის“ შექმნა, რომლის უპირველეს მიზანს „კავკასიაში ეთნიკური კონფლიქტების აღმოფხვრა, რეგიონული თანამშრომლობის განვითარება, ორგანიზებულ დანაშაულთან ერთობლივი ბრძოლა“ და სხვა აქტუალური პრობლემების დაძლევა წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, პაქტის წარმატებით განხორციელება რეგიონში არა მარტო გრძელვადიან მშვიდობასა და სტაბილურობას უზრუნველყოფდა, არამედ სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა, განსაკუთრებით კი საქართველო, საინტერესო და მიმზიდველი ხდებოდა უცხოელი ინვესტორებისთვის კაპიტალდაბანდებისა თუ ტურიზმის განვითარების კუთხით [14,გვ.47-48; 16, გვ.47-48]. თუმცა, სამხრეთ კავკასიის ერთიან რეგიონად ჩამოყალიბება ძალიან რთული საკითხი აღმოჩნდა. საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის რადიკალურად განსხვავებული ენა, რელიგია, პოლიტიკური კულტურა, დემოკრატიულობის არაერთგვაროვანი დონე, და უპირველეს ყოვლისა, განსხვავებული საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, ერთგვარ ხელისშემშლელ ფაქტორად იქცა და ნათლად გამოხატა ზემოაღნიშნული გეგმის უტოპიურობა [4, გვ. 78-80].

ამასთან, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სამხრეთ კავკასიური ქვეყნების „ეროვნული იდენტობის“ არარსებობა, რომელმაც კიდევ ერთი გამოწვევა წარმოშვა აღნიშნული კუთხით. თუ საქართველო, ისტორიულად, ევროპული კულტურის ნაწილად განიხილება, რა თქმა უნდა, იმავე არ ითქმის სომხეთსა და აზერბაიჯანზე, რომლებსაც განვითარების აბსოლუტურად განსხვავებული ისტორია და პრიორიტეტები აქვთ.

„ევროპული სამეზობლო პოლიტიკა“ და საქართველო

ევროპული „სამეზობლო პოლიტიკის“ უმთავრეს მიზანს სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონში დემოკრატიის გაძლიერება, შიდა კონსოლიდაცია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა და ე.წ. „გაყინული კონფლიქტების“ მშვიდობიანად მოგვარება წარმოადგენდა. ეს უკანასკნელი კიდევ უფრო აქტუალური გახდა საქართველოსა და უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიისა და კრემლის იმპერიალისტური ამბიციების ღიად დემონტრაციის შემდგომი პერიოდიდან, როდესაც დასავლეთთან სტრატეგიული უპირატესობის მოპოვებისა და პოსტსაბჭოთა სივრცეში დომინანტური პოზიციის შენარჩუნების მიზნით, რუსეთის ფედერაციამ მეზობელი ქვეყნების, საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული, ტერიტორიების უკანონო ოკუპაცია მოახდინა. მოგვიანებით კი, საქართველოსა და უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა. ცხადია, რუსეთის რევიზიონისტულმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოების გარემოში.

ევროკავშირის „სამეზობლო პოლიტიკის“ ინიცირებიდან სამი წლის შემდეგ, 2007 წლის აპრილიდან სამიზნე ქვეყნებთან რაციონალური თანამშრომლობისა და ურთიერთობის გაღრმავების მიზნით, „სამეზობლო პოლიტიკის“ პროგრამის ბენეფიციარი სახელმწიფოები ჩაერთვნენ ევროკავშირის ახალ ინიციატივაში „შავი ზღვის სინერგია“. ევროკავშირსა და სხვა რეგიონული მოთამაშეების დაახლოების მიზნით, პროგრამაში რუსეთი და თურქეთიც გაწევრიანდნენ [11, გვ. 11]. შავი ზღვის რეგიონს კი, რომელშიც ევროკავშირი არა მარტო უშუალოდ შავი ზღვის ტერიტორიას, არამედ მის მეზობელ ქვეყნებსაც მოიაზრებს, ევროკავშირისთვის ყოველთვის ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, ვინაიდან

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

„ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოება სულ უფრო დამოკიდებული ხდება მილსადენის პროექტების წარმატებით განხორციელებაზე, რომლებიც სამხრეთ კავკასიაზე, უკრაინაზე, თურქეთსა და ევროკავშირის წევრ ზღვისპირა სახელმწიფოებზე გადის. რეგიონს ასევე უკავშირდება ევროპა-აზიას შორის ახალი სატრანსპორტო მარშრუტების განვითარების გეგმებიც. თავის მხრივ, ფართო რეგიონი მზარდ ბაზარს ქმნის 350 მილიონზე მეტი მოსახლეობით და ბუნებრივად წარმოადგენს კომერციული ინტერესების საგანს“ [2; 3].

ევროკავშირთან ინტეგრაციის კუთხით, გასაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ძალისხმევა, რომელიც სომხეთისა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, შეუპოვარად ისწრაფვის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ და წარმატებით ახორციელებს იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ რეფორმებს, რომლებიც ევროკავშირში გაწევრიანებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. საქართველო, როგორც ევროპის ნაწილი, ცდილობს მჭიდრო ურთიერთობები დაამყაროს ევროპის ქვეყნებთან, რომელიც განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს გლობალიზაციის ეპოქაში [8; 9; 10]. ხოლო ევროპულ ბაზარზე წვდომა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებისთვის [15; 27; 28]. მართალია, საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმები ევროკავშირთან თანამშრომლობის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ აღნიშნული არ გახლავთ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების რეალური გარანტი, ვინაიდან ევროკავშირში საბოლოო ინტეგრაცია საკმაოდ ხანგრძლივი, რთული და დროისმომცველი პროცესია.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები ახალ ფაზაში შედის 1994 წლიდან. თუკი მანამდე, ევროგაერთიანება საქართველოს, როგორც მთლიანი რეგიონის, სამხრეთ კავკასიის ნაწილად განიხილავდა და მისი დამოკიდებულება ქვეყნის მიმართ მხოლოდ სამხრეთ კავკასიის პრიზმაში განიხილებოდა, ევროკავშირის პოლიტიკა საქართველოს, როგორც ცალკეული ქვეყნის მიმართ ღრმავდება „პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით“, რომელსაც 1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში მოეწერა ხელი. შეთანხმება 10 წლის ვადით დაიდო და ძალაში შევიდა 1999 წლის 1 ივლისს. დასაწყისშივე, ევროკავშირის უმთავრეს მიზანსა და ამოცანას საქართველოსთან მიმართებით წარმოადგენდა: ქვეყნებს შორის მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობების დამყარება და პოლიტიკური დიალოგის ხელშეწყობა; დემოკრატიული პრინციპების, კანონის უზენაესობისა, და ადამიანის უფლებების გამტკიცება; სტაბილური ეკონომიკის განვითარება, მხარეებს შორის ვაჭრობის, ინვესტირების ხელშეწყობა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა; ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის ფინანსური, სოციალური, სამეცნიერო-კვლევითი, ტექნოლოგიური და კულტურული თანამშრომლობა [6].

ევროკავშირსა და საქართველოს შორის „ახლო თანამშრომლობის“ საწყის ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ ევროკავშირის მეხუთე გაფართოება, რომლის მიზანი საბჭოთა რეჟიმისგან გათავისუფლებული აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება იყო. დასავლეთევროპული ცხოვრების დონისა და სტანდარტის დანერგვის მიზნით, ბალტისპირეთის, ცენტრალური ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის მთელი რიგი სახელმწიფოები (ლიეტუვა, ლატვია ესტონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, პოლონეთი, მალტა და კვიპროსი) ევროკავშირის რიგებს შეუერთდნენ. გაფართოების მეხუთე ტალღის შემდეგ, მოსაზღვრე ტერიტორიის ქვეყნებში დემოკრატიული ინსტიტუტების მკვეთრი დეფიციტის ან (და) არარსებობის გამო ევროკავშირი ახალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. ევროკავშირის უსაფრთხოების, სტაბილურობისა და კეთილდღეობის შენარჩუნების მიზნით პოლიტიკურ და სამეცნიერო ელიტებში დებატები წარმოიშვა ახალ მეზობლებთან გაფართოების შემდგომი ტალღის აუცილებლობაზე [5]. ამასთან, თავისუფალ სამყაროს უდიდეს საფრთხეს უქმნიდა ერთ-ერთი ყველაზე დამანგრეველი მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში-ტერორიზმი, რომელიც დასავლეთისთვის ურთულეს გამოწვევად იქცა [18].

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ გეოპოლიტიკურ ჭრილში, ევროკავშირის „სამეზობლო პოლიტიკა“ გახლდათ ორგანიზაციის მცდელობა, ერთ განზომილებაში მოექცია ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოები. მეცნიერთა დიდი ნაწილი დღესაც დავობს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად რელევანტური იყო ევროკავშირის აღნიშნული გადაწყვეტილება 2004 წელს და მიიჩნევს, რომ რეგიონებს შორის რადიკალური განსხვავებისა და პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული კავშირების თითქმის არარსებობის გამო, ევროკავშირს უფრო დიფერენცირებული და პრაგმატული პოლიტიკა უნდა გაეტარებინა, რომელიც თითოეული რეგიონისთვის განხვავებულ მიზნებს, ამოცანებსა და მეთოდებს დაეყრდნობოდა. აღნიშნულ პათოსს იზიარებდა გერმანია, რომელმაც ევროსაბჭოს ე.წ. „ესპ პლუს“ ინიციატივა შესთავაზა. ფორმატი მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი

ქვეყნების უფრო მეტ ეკონომიკურ დაახლოებას, მათ შორის მზარდ კომერციულ და ბიზნეს კავშირებს. თუმცა, ამ მოსაზრებას უარყოფითი რეზონანსი მოჰყვა ევროკავშირის ანალიტიკურ წრეებში და იგი, ფაქტობრივად, ვერ განხორციელდა.

2003 წლიდან ევროკავშირი საქართველოში აქტიური როლის თამაშს იწყებს, რაც, მეცნიერთა დიდი ნაწილის მოსაზრებით, განპირობებულია „ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოში განხორციელებული დემოკრატიული ცვლილებებით. იმავე წელს, ევროკავშირმა რეგიონში სპეციალური წარმომადგენელი გაგზავნა, რომლის უმთავრეს ამოცანას, მოახლოებული „სამეზობლო პოლიტიკის" ფარგლებში, რეგიონის დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობა და კონფლიქტების მშვიდობიან დარეგულირებაში წვლილის შეტანა წარმოადგენდა. 2004 წლის 14 ივნისს, თითქმის ორწლიანი მოლაპარაკებების შედეგად, საქართველო აქტიურად ჩაერთო „სამეზობლო პოლიტიკაში". 2006 წლის 14 ნოემბერს კი, ბრიუსელის მოლაპარაკებების შემდეგ, ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებსა, და მეორე მხრივ, ევროკომისიას შორის ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირს შორის ხელშეკრულებას ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ. ოფიციალურად იქნა მიღებული ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის საქართველოს სამოქმედო გეგმა, რომელშიც ევროკომისია აფასებს სამიზნე ქვეყნის მიერ მიღწეულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ წარმატებას [1].

საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (ENP) „ევროკავშირის სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის ძირითად მექანიზმს წარმოადგენს. სამეზობლო პოლიტიკის მიზანია, ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთდაახლოების პროცესის მხარდაჭერა... უსაფრთხოების ერთგვარი რკალის შექმნა, რომელიც ადამიანის უფლებების, დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ევროკავშირის სამეზობლოში სტაბილურობისა და კეთილდღეობის გავრცელებით, ერთიანი და თავისუფალი ევროპის იდეას განხორციელებას დაეფუძნება". „ევროპული სამეზობლო" ხმელთაშუაზღვის აუზის 16 ქვეყანას აერთიანებს, ეს ქვეყნებია: ალჟირი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ეგვიპტე, იორდანია, ისრაელი, ლიბანი, ლიბია, მოლდოვა, მაროკო, პალესტინა, საქართველო, სირია, სომხეთი, ტუნისი და უკრაინა [1].

2008 წელს ევროკომისიის მიერ შემუშავებული და გამოცემული დოკუმენტი - „ძლიერი ევროპის სამეზობლო პოლიტიკა", დეტალურად განსაზღვრავს იმ ძირითად კრიტერიუმებს, თუ როგორ უნდა გაძლიერდეს ევროპის „სამეზობლო პოლიტიკა" გრძელვადიან პერსპექტივაში. დოკუმენტის თანახმად, აღნიშნულის უმთავრეს პირობას საქართველოსა და ევროკავშირს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის (მათ შორის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, სამეცნიერო-კვლევითი, გარემოს დაცვის და სხვ.) გაღრმავება, მეტი ეკონომიკური ინტეგრაცია, საქართველოს მოქალაქეებისთვის „შენგენის ზონაში" მოკლევადიანი ვიზიტებისა და გრძელვადიანი ვიზების გაცემის გამარტივება წარმოადგენდა [22, გვ. 511-512]. 2007 წელს, ევროკავშირის მიერ ინიცირებული „შავი ზღვის სინერგიის" დოკუმენტი კი კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ევროგაერთიანება საქართველოსა და ზოგადად, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების განმტკიცებას.

სკეპტიკოსთა დიდი ნაწილის თვალსაზრისით, ევროკავშირის „სამეზობლო პოლიტიკა" საბოლოოდ ვერ ჩამოყალიბდა ქმედით მექანიზმად, იმ სახით, რა სახითაც იგი თავდაპირველად შეიქმნა ევროკომისიის მიერ. პროექტის უმთავრეს ამოცანას სამიზნე ქვეყნებში მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევა წარმოადგენდა, რომლის ერთგვარ წინაპირობად სამიზნე ქვეყნების დემოკრატიული განვითარება მოაიზრებოდა. თუმცა, ევროკავშირი, ფაქტობრივად, უძლური აღმოჩნდა საგარეო საფრთხისა და კონფლიქტების თავიდან აცილების კუთხით, ვინაიდან მასში მესამე ძალა, რუსეთის ფედერაცია, იყო ჩართული. ცხადია, სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მოგვარებაში რუსეთი მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა, რომელიც, პირდაპირ თუ ირიბად, ეწინააღმდეგებოდა რეგიონში ევროკავშირის ინტერესებს. ეს ევროკავშირის მხრიდან „სამეზობლო პოლიტიკაში" წარმოდგენილ ქვეყნებში არა მარტო დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასა და შიდა, ადგილობრივ დონეზე განხორციელებულ რეფორმებს, არამედ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უდიდეს ძალისხმევასა და საერთო ხედვას მოითხოვდა (საგარეო საფრთხის დაბალანსების კუთხით).

ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობა" და საქართველო

„სამეზობლო პოლიტიკასთან" დაკავშირებულმა გამოწვევებმა ევროკავშირი აიძულა სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის თანამშრომლობის ახალი ფორმატი შეემუშავებინა, რომელიც „სამეზობლო პოლიტიკისგან" განსხვავებით, უფ-

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

რო ქმედითი, ეფექტიანი და მრავალფუნქციური აღმოჩნდებოდა გრძელვადიან პერსპექტივაში. სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის ევროკავშირმა შეიმუშავა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფორმატი, რომელმაც, რასაკვირველია, საქართველოც მოიცვა.

ევროკომისიის მიერ გამოცხადებული ინფორმაციის თანახმად, „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ უნივერსალურ პოლიტიკურ ინიციატივას წარმოადგენს, რომელიც რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის აღმოსავლელი მეზობლების კეთილდღეობასა და სტაბილურ განვითარებას. ფაქტობრივად, ეს არის, განახლებული „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა“, შედეგზე ორიენტირებული მიზნებითა და ამოცანებით. ამრიგად, ახალი ფორმატი საქართველოსა და ევროკავშირის წევრს სახელმწიფოებს შორის მზარდ თანამშრომლობას ითვალისწინებს, როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატში.

2015 წელს ლატვიის დედაქალაქ რიგაში გამართული „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის გადაწყვეტილებით, ერთი მხრივ ევროკავშირსა, და მეორე მხრივ, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ექვს ქვეყანას შორის თანამშრომლობა ოთხ პრიორიტეტულ სფეროს დაეფუძნა. ესენია: ეკონომიკური განვითარება და ბაზრის შესაძლებლობები; ინსტიტუტების გაძლიერება და კარგი მმართველობა; გარემოსა და კლიმატის ცვლილებები; კავშირების გაღრმავება, ენერგოეფექტურობა, მობილობა და ხალხთა შორის კონტაქტები. მხარეები, ასევე, შეთანხმდნენ თანამშრომლობას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: გენდერული თანასწორობა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვ. 2009 წლის პრაღის სამიტზე, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ექვსი პარტნიორი ქვეყანა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, უკრაინა) შეთანხმდა 2020 წლისთვის დასახული მიზნებისა და ამოცანების წარმატებით შესრულებაზე. ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შექმნას [20, გვ.39]. მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ სწორედ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში შესთავაზა ევროკავშირმა პარტნიორ ქვეყნებს სავიზო რეჟიმის გამარტივება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება და ასოცირების ხელშეკრულების დადება [12].

რუსეთის სამხედრო აგრესიამ საქართველოში 2008 წლის აგვისტოში საქართველოსა და დასავლეთს შორის ურთიერთობა ახალ, უმაღლეს ნიშნულზე აიყვანა [25, გვ.123]. ევროკავშირმა რუსეთის შეკავების მიზნით, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ იმ ქვეყნებთან, რომლებიც კრემლის „მსხვერპლთა სიაში“ შედიოდნენ, გადაწყვეტილება მიიღო ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებასთან დაკავშირებით [26]. 2008 წლის ივნის-ივლისის თვეებში არაერთი ევროკომისარი აღნიშნავდა, რომ ორგანიზაცია ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე იდგა, როგორებიცაა ფინანსური კრიზისი და გლობალური დათბობა, მაგრამ აღნიშნული ნარატივი ერთმნიშვნელოვნად შეიცვალა იმავე წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომი პერიოდიდან, როდესაც ევროკავშირის საგარეო ურთიერთობების გენერალურმა დირექტორმა ენეკო ლანდაბურემ მკაფიოდ განაცხადა, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული აგრესიული პოლიტიკა აიძულებს ევროგაერთიანებას ახალი ქმედითი ნაბიჯების გადადგმისა და მის პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაძლიერებისკენ. ეს იყო მნიშვნელოვანი გზავნილი მოსკოვისთვის, რომ ევროკავშირი მყარად იდგა მეზობელ ქვეყნებში უსაფრთხოებისა და მშვიდობის განმტკიცების გზაზე და აქტიურად თანამშრომლობდა იმ ქვეყნებთან, რომლებიც რუსეთის ფედერაციის მიერ ჯერ კიდევ თავისი გავლენის სფეროდ მიიჩნეოდა [30]. მეორე მხრივ, რუსეთის ქმედებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დიდი მოთამაშეები XXI საუკუნეშიც არ ერიდებიან ძალის დემონტრირებას, მათი საგარეო პოლიტიკური ინტერესების განხორციელების გზაზე [23].

რასაკვირველია, „აღმოსავლეთ პარტნიორობა“, განსაკუთრებულ აქცენტირებას აკეთებს შავი ზღვის რეგიონზე, ვინაიდან მასში გაერთიანებული ექვსი სახელმწიფოდან ხუთი, უშუალოდ შავი ზღვის რეგიონის ქვეყანას მიეკუთვნება, შავ ზღვას კი განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება, რადგან იგი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კარიბჭეს და საგარეო ურთიერთობების ასპექტში ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელ უძველეს ბუნებრივ არტერიას წარმოადგენს. ამრიგად, გასაკვირი არ არის შავი ზღვის რეგიონში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და გავლენის ზრდა. ვინაიდან აღნიშნული ფორმატი თანამშრომლობის უფრო მრავალფუნქციურ და მრავალმხრივ პლატფორმებს მოიცავს, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ ქმნის აღმოსავლეთ ევროპულ სახელმწიფოებთან ორმხრივი და რეგიონული თანამშრომლობის უფრო მაღალი დონისა და ამბიციის ჩარჩოს, ვიდრე ნებისმიერი სხვა ინიციატივა [2].

„ევროპის სამეზობლო პოლიტიკისგან“ განსხვავებით, აღმოსავლეთ პარტნიორობამ ევროკავშირს საშუალება მისცა, გარკვეული დიფერენციაცია მოეხდინა სამხრეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთისა და

შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოებს შორის. აღნიშნული რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინებით, მათთვის მორგებული პოლიტიკის ფარგლებში ემოქმედა. თუმცა, აღმოსავლეთ პარტნიორობა არ გავრცელდა რუსეთზე, ორი უმთავრესი ფაქტორის გათვალისწინებით: ჯერ კიდევ 2003 წელს, ევროკავშირის სურვილის მიუხედავად, რუსეთი არ ჩაერთო ორგანიზაციის „სამეზობლო პოლიტიკის" ინიციატივაში. რუსეთის მიერ შემდგომში განხორციელებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგად, საერთაშორისო საზოგადოებამ თვალნათლივ დაინახა ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტიტებისა და განვითარების მკვეთრი რეგრესი, ადამიანის უფლებათა დარღვევა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების სრული უგულებელყოფა. ყოველივე ზემოაღნიშნული მკაცრად ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის მიზნებსა და ამოცანებს გრძელვადიან პერსპექტივაში, აქედან გამომდინარე, გამორიცხავდა ბრიუსელსა და მოსკოვს შორის თანამშრომლობის ყოველგვარ ფორმატს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ევროკავშირის როლი საქართველოს კონფლიქტების მოგვარების საკითხში, რომელიც ბრიუსელმა ჯერ კიდევ „სამეზობლო პოლიტიკის" ფარგლებში შეიმუშავა. ინიციატივის უმთავრესი დანიშნულება აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებაა, რომელშიც უმთავრეს ხელისშემშლელ ფაქტორს რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს. ევროკავშირი მკაცრად გმობს რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებით და გამუდმებით მოუწოდებს მოსკოვს, პატივი სცეს სუვერენული ქვეყნის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. საქართველოსთან თანამშრომლობის გაღრმავების პირველი დღეებიდან, ევროკავშირი აქტიურად უჭერს მხარს საქართველოში გრძელვადიანი მშვიდობის მშენებლობას და საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკას.

ევროკავშირს (აშშ-ის, გაეროსა და ეუთოსთან ერთად) განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დასრულებასა და ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი ხელშეკრულების გაფორმებაში, რომელიც ევროპული გაერთიანების იმდროინდელი თავმჯდომარე ქვეყნის, საფრანგეთისა და ქვეყნის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის უშუალო ძალისხმევით განხორციელდა. სარკოზის მიხედვით, საერთაშორისო საზოგადოებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის გარანტირება სურდა. შეთანხმება სამხედრო მოქმედებების დაუყოვლებლივ შეწყვეტას და ჰუმანიტარული დახმარების თავისუფალი უზრუნველყოფის მიწოდებას ითვალისწინებდა. ევროკავშირის მედიატორობით მოლაპარაკებები მიმდინარეობდა არა მარტო რუსეთსა და საქართველოს, არამედ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის წარმომადგელობას შორის. ომის დასრულების შემდეგ კი, ევროკავშირმა საქართველოს, ფინანსური დახმარების სახით, 650 მილიონ დოლარამდე გამოუყო და ისევ აქტიურად განაგრძო ქვეყნის მხარდაჭერა მრავალი მიმართულებით.

2008 წლის შემდგომ, რუსეთმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა და საქართველოს სუვერენული ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია მოახდინა [22; 29]. ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში საქართველოში მუშაობა დაიწყო „ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ" (EUMM European Union Monitoring Mission), რომლის ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ მისიის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, ესენია: რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საომარი მოქმედებების განახლების თავიდან აცილება; კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღდგენა; რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ადმინისტრაციული საზღვრების ორივე მხარეზე მცხოვრები ადამიანების ნორმალური საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა; ოკუპირებული რეგიონების გამყოფ ხაზზე დახმარებისა და მონიტორინგის განხორციელება. შექმნის დღიდან, ევროკავშირის სადამკვირველო მისია 24 საათის განმავლობაში ახორციელებს პატრულირებას და ცხადია, განსაკუთრებულ ყურადღებას კონფლიქტური რეგიონების ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებს უთმობს [13]. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოს ოთხ რეგიონშია წარმოდგენილი: თბილისში, მცხეთაში, გორსა და ზუგდიდში, სადაც ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების 200-მდე სადამკვირვებლო ახორციელებს მონიტორინგს. სადამკვირვებლო მისიის ერთ-ერთ მიზანია დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და შეატყობინოს შესაბამის უწყებებს რეგიონში მიმდინარე ნებისმიერი კრიზისული სიტუაციის თაობაზე და აღკვეთოს რუსი მესაზღვრეების მიერ ქართველი მოქალაქეების გატაცების ფაქტები [13]. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია ევროკავშირის აქტიური და ეფექტიანი ჩართულობა არჩილ ტატუნაშვილის, ირაკლი კვარაცხელიას, ვაჟა გაფრინდაშვილის საქმეებში, რომელმაც ფართო საზოგადოებაში დიდი რეზონანსი გამოიწვია.

გარდა ამისა, ევროკავშირთან არის დაკავში-

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

რებული 2008 წელს „საქართველოში კრიზისის საკითხებზე სპეციალური წარმომადგენლის“ პოსტის შემოღება, რომელსაც გამოჩენილი ფრანგი დიპლომატი პიერ მორელი ჩაუდგა სათავეში. დღეს აღნიშნულ უწყებას ტოვიო კლაარი ხელმძღვანელობს, რომელმაც 2020 წლის 21 თებერვალს ერთ-ერთ მის ინტერვიუში კიდევ ერთხელ გააჟღერა, რომ „საქართველო რჩება ევროკავშირის მთავარ პარტნიორად აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში“ [31].

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ აშშ-ის, ევროკავშირის, ეუთოსა და გაეროს ინიციატივით შეიქმნა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი (GID), რომელიც საქართველოს, რუსეთის, აფხაზეთისა და ოსეთის წარმომადგენლებს აერთიანებს და წელიწადში მოლაპარაკებების ოთხ რაუნდს მოიცავს. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები ორ ფუნდამენტურ საკითხზე არის ორიენტირებული, ესენია უსაფრთხოება და ჰუმანიტარული დახმარება, კერძოდ კი, აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ (ცხინვალი) რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის უსაფრთხოების მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებისა და მათ უფლებებთან დაკავშირებული საკითხები. შეხვედრებზე ინტენსიურად განიხილება ისეთი აქტუალური თემები, როგორებიცაა: რუსეთის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ხელშეკრულების სისტემატური რღვევა; მცოცავი ანექსია; ოკუპირებულ რეგიონებში უკანონო მილიტარიზაცია და სამხედრო წვრთნები; დესტრუქცია, პროვოკაცია და დეზინფორმაცია, რომელსაც რუსული მხარე გამუდმებით იყენებს ოკუპირებულ რეგიონებში და სხვ. [7]. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობები ახალ ფაზაში შევიდა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების დადებიდან, რომლის ერთ-ერთი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება (DCFTA). აღნიშნულით ევროკავშირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველო ევროპის სანდო და საიმედო პარტნიორია სამხრეთ კავკასიაში და იმსახურებს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციით მიღებულ სარგებელს. ასოცირების შესახებ შეთანხმების უმთავრეს პრიორიტეტს საქართველოს ეკონომიკური განვითარება (სამუშაო ადგილების შექმნა, მცირე და საშუალო საწარმოები, სოფლის მეურნეობის მოდერნიზება და ა.შ.) და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება წარმოადგენს. ცალკე აღნიშვნის ღირსია ვიზალიბერალიცია, რომელიც ძალაში 2017 წლის 28 მარტს შევიდა და საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში თავისუფლად გადაადგილების უფლება მიეცათ. თავის, მხრივ, საქართველოც პოზიტიურ ეკონომიკურ ზრდასა და სტრუქტურულ ცვლილებებს უჩვენებს ეკონომიკის არაერთ სექტორში [19].

ცალკე აღნიშვნის ღირსია, კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის გლობალური გავრცელების შემდგომი გამოწვევები, რომელმაც მსოფლიო მნიშვნელოვნად შეცვალა [21, გვ. 73]. ევროკავშირმა მყისიერი რეაგირება მოახდინა კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული გლობალური კრიზისის საპასუხოდ, „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ და საქართველოს, უკრაინის, ბელარუსის, მოლდოვის, სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის, პანდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად, ფინანსური დამხარების სახით, 980 მილიონ ევრომდე გამოყო. მათ შორის, კონკრეტულად საქართველოსთვის, 183 მილიონ ევროზე მეტი დახმარება გამოიყო, რომელიც ჯანდაცვის სექტორისა და გადაუდებელი საჭიროებების, სამოქალაქო საზოგადოებისა და დაუცველი ჯგუფების, მცირე და საშუალო ბიზნესის, მცირე საწარმოების მხარდაჭერასა და ქვეყნის სწრაფ სოციალურ-ეკონომიკურ აღდგენას ითვალისწინებდა [12; 17].

დასკვნა

ამრიგად, „ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა“ და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ უმთავრეს მიზანსა და ამოცანას პოსტსაბჭოთა სივრცეში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარება, დემოკრატიის გაძლიერება, ქვეყნების ეკონომიკური განვითარება და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება წარმოადგენდა. ევროკავშირმა განსაკუთრებით გააძლიერა დიპლომატიური წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში 2000-იანი წლების დასაწყისიდან, რუსეთის ფედერაციის მიერ იმპერიალისტური ამბიციების რეალიზების მცდელობის საპასუხოდ. აღნიშნული მოვლენების ერთგვარი აპოგეა გახლდათ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება, რომელსაც ევროპული გაერთიანება დღემდე მკაცრად გმობს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, საქართველოში ევროკავშირის ელჩის, კარლ ჰარცელის ძალისხმევა ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერის კუთხით. ჰარცელმა, საქართველოში აშშ-ის ელჩ კელი დეგნანთან ერთად, ფასილიტატორის როლი შეასრულა დაპირისპირებულ პოლიტიკურ სუბიექტებს 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განვითარებულ მოვ-

ლენებში, როდესაც საპარლამენტო ოპოზიციის გარკვეულმა ნაწილმა პოლიტიკური პროცესები პარლამენტიდან ქუჩაში გადაიტანა და საზოგადოების პოლარიზაცია გამოიწვია. ევროკავშირმა მხარი დაუჭირა პლურალისტურ, მრავალპარტიულ და კონკურენტულ საკანონმდებლო ორგანოს საქართველოში, დაგმო ქუჩის პროტესტი და მხარეებს კონსტრუქციული დიალოგისკენ მოუწოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აკობია ე., „საქართველო ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის რადარზე: ინსტრუმენტები და ინტერესები“. ევროკავშირი და საქართველო: მიმდინარე საკითხები და მომავლის პერსპექტივები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ცენტრი. თბ. - 2009, გვ.22. იხ. ბმულზე https://www.gfsis.org/media/download/geplac/European-Union-and-Georgia.pdf

2. გოგოლაშვილი კ. „ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოება“. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრი. თბ. - 2018, იხ. ბმულზე https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2651.pdf

3. კაკაბაძე დ., „შავი ზღვის სინერგია - ევროკავშირის ახალი ინიციატივა“. რადიო თავისუფლება. თბ. - 2007, იხ. ბმულზე https://www.radiotavisupleba.ge/a/1552023.html

4. კაპანაძე ს. „ევროკავშირის პოლიტიკა“. სოციალურ მეცნიერებათა სერია. თბ-2006, გვ. 78-79. იხ. ბმულზე http://old.ucss.ge/publication/001%20Evrokavshiris%20Politika.pdf

5. საქართველო და ევროკავშირი. საინფორმაციო ცენტრი. თბ.-2020. იხ. ბმულზე http://old.infocenter.gov.ge/euinfo-expansion-eu/

6. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. „შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“. თბ. - 1996, იხ. ბმულზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/1212956?publication

7. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები. 2019, იხ. ბმულზე https://smr.gov.ge/ge/page/26/jenevis-saertashoriso-molaparakebebi

8. Bedianashvili, Givi. “Benchmarking as a research method for obtaining system knowledge of the state institutional development.” Information Models and Analyses, 2017: 84-89.

9. Bedianashvili , Givi . “Knowledge economy, entrepreneurial activity and culture factor in modern conditions of globalization: challenges for Georgia.” Globalization & Business, 2018 (5): 32-37.

10. Bedianashvili, Givi. “Culture as a Factor of Knowledge Economics with Paradigmatic Changes in Systemic Institutional Context.” Globalization & Business, 2018 (6): 58-66.

11. Celikpala M. „Security in the Black Sea Region: Policy Report II“. The Commission on the Black Sea, 2010, გვ. 11

12. Eastern Partnership. „Facts and figures about EU-Georgia relations“. 2020, იხილეთ ბმულზე https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/eap_factsheet_georgia.pdf

13. EUMM “European Union Monitoring Mission”, 2020, იხილეთ ბმულზე https://eumm.eu/en/about_eumm/mandate

14. Karchava, L. and Kutaladze, E., 2020. Tourism as one of the priority directions in Georgia/ტურიზმი როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება საქართველოში. The New Economist, 15(2, 2020), pp.1-1.

15. Gubeladze, D. and Pavliashvili, S., 2020. LINEAR ECONOMY AND CIRCULAR ECONOMY-CURRENT STATE ASSESSMENT AND FUTURE VISION. International Journal of Innovative Technologies in Economy, (5 (32)

16. Karchava, L., 2014. Again about the investment environment in Georgia Or what kind of investor do we need?/ისევ საინვესტიციო გარემოს შესახებ საქართველოში ანუ როგორი ინვესტორი გვჭირდება?. The New Economist, 9(3, 2014), pp.1-1.

17. Karchava, L., 2018. Theoretical basics of business communication and Its connection with other sciences/ბიზნესკომუნიკაციების თეორიული საფუძვლები და მისი კავშირი სხვა მეცნიერებებთან. The New Economist, 13(3, 2018), pp.1-1.

18. Kiknadze, Tamara. “Terrorism as a social reality.” NATO SECURITY THROUGH SCIENCE SERIES E HUMAN AND SOCIETAL DYNAMICS, 2007.

19. Kolosok, Svitlana , and Iuliia Myroshnychenko. “Structural change and business cycle dynamics in transition economies.” Journal of Applied Economic Sciences 10.1 Vol. X., no. ISSUE 1(31) (2015): 128-142.

20. Lomia, T. and Lomia, E., 2020. ECONOMIC AND POLITICAL SUPPORT OF THE EUROPEAN UNION TO GEORGIA: RETROSPECTIVE ANALYSIS OF THE EU-GEORGIA RELATIONS. International Journal Vallis Aurea, 6(1), pp.35-43.

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

21. Lomia, T., 2021. „Impact of the COVID-19 on the environment: Challenges and Difficulties“, COVID-19-ის გავლენა გარემოზე: გამოწვევები და სირთულეები. The New Economist, 15(3), pp.1-1.

22. Lomia, T., 2015. The role of international environmental protection policy in Georgia. In Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2015 (p. 513).

23. Maisaia, Vakhtang , and Salome Kareli. “Three Seas’area Pan-Regional Security Provisions And Its Geopolitical Consequences–Security Dilemma Vs. Security Deadlock.” Ante Portas, 2019: 63.

24. Maisaia, Vakhtang , and Eteri Khanjaliashvili. “Georgia’s Security Environment And Combating Terrorism-New Challenges And Threat In 21st Century.” Security Science Journal, 2020: 113-121.

25. Nikoleishvili, L, and T Kiknadze. “Peculiarities Of The Phenomenon Of Political Leadership In Post-Soviet Georgia.” International Journal of Innovative Technologies in Social Science, 2020.

26. Parliament UK. “After Georgia. The EU and Russia”. Follow-Up Report - European Union Committee Contents. Parliamentary business. 2009. იხილეთ ბმულზე https://publications.parliament.uk/pa/ld200809/ldselect/ldeucom/26/2604.htm

27. Pavliashvili, S., 2011. THE WORLD ECONOMIC CRISIS AND GEORGIA. The Caucasus & Globalization, 5(3-4), pp.54-62.

28. Gubeladze, D. and Pavliashvili, S., 2020. LINEAR ECONOMY AND CIRCULAR ECONOMY-CURRENT STATE ASSESSMENT AND FUTURE VISION. International Journal of Innovative Technologies in Economy, (5 (32)

29. Tskhovrebadze, Tamta. “Transnational Security of South Caucasus.” Journal of Social Sciences, 2015: 40-49.

30. Tskhovrebadze, Tamta. “Glimpse of Security Architecture of Post-Soviet Space: The Soviet Legacy.” Journal of Social Sciences, 2016: 60-69.

31. Клаар., Т. “Интервью: Тойво Клаар, специальный представитель ЕС по вопросам кризиса в Грузии”. Civil. Ge. Суббота , 12 Декабрь 2020, იხილეთ ბმულზე https://civil.ge/ru/archives/339369

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

THE MODERN VISION OF AGRITOURISM

LALI OKROTSVARIDZE,
Asoc.Professor of Caucasus International University,
E-Mail: lalioqro@mail.ru

ABSTRACT

The current situation in the world has shown us how important the development of agriculture is for Georgia. We must also keep in mind that it is a pretentious and unpredictable field, as it depends on environmental conditions from beginning to end.

The ongoing processes in recent times have even broken the heart of the peasant man, as their labor has not only not been properly appreciated, but has even remained a loser. Here, at this time, tourism was our savior. He, in fact, turned the peasant's heart to the ground, a ray of light illuminating the path to prosperity for the villagers.

A spark of hope ignited in their hearts again, giving them an incentive to take care of the land and lead agriculture. Yes, we mean agro-tourism, as far as its development implies rural development. Thus, in this article we have.

Keywords: Agritourism, directions of agritourism.

აგროტურიზმის თანამედროვე ხედვა

ლალი ოქროცვარიძე,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
ელ.ფოსტა: lalioqro@mail.ru

ანოტაცია

არსებულმა მდგომარეობამ დაგვანახა, რამდენად მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოსთვის. მაგრამ ისიც ძალიან კარგად ვიცით, ეს რამდენად პრეტენზიული და არაპროგნოზირებადი დარგია, თავიდან ბოლომდე გარემო პირობებზე გათვლილი და დამოკიდებული. ბოლო პერიოდში მიმდინარე პროცესებმა გლეხკაცს გულიც კი გაუტეხა, რადგან მისი შრომა არა მარტო არ დაფასდა სათანადოდ, არამედ ხელმოცარულიც კი დარჩა. და აი მხსნელად მოგვევლინა ტურიზმი. მან ფაქტიურად მშრომელს გული მოუბრუნა მიწაზე, კარმიდამოზე. სინათლის სხივმა გაუნათა კეთილდღეობისაკენ მიმავალი გზა სოფლად მაცხოვრებლებს, იმედის ნაპერწკალი კვლავ გააღვივა მათ გულებში, სტიმული მისცა მიწის მოვლისა და სოფლის მეურნეობის გაძღოლისა.

დიახ, სწორედ აგროტურიზმი გვაქვს მხედველობაში, რამდენადაც, როდესაც ვსაუბრობთ მის განვითრებაზე ქვეცნობიერად ვგულისხმობთ სოფლის განვითარება-აღორძინებას.

საკვანძო სიტყვები: აგროტურიზმი, აგროტურიზმის ტენდენციები.

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

შესავალი

სამყარო იმდენად საინტერესოდ არის მოწყობილი, გაფიქრებინებს, რომ ტყუილად არაფერი არ ხდება, ყველაფერს თავისი მიზეზი და ახსნა აქვს. მით უმეტეს, პანდემიის პირობებში, როდესაც ადამიანს ფიქრისთვის საკმაოდ ბევრი დრო აქვს. აზრები ცოტა შორს მიდის. ამ მდგომარეობამ დაგვანახა, რომ ქვეყნებმა, სადაც ტურიზმის ეკონომიკური გავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო, სერიოზულად იგრძნეს პანდემიის მიერ გამოწვეული ზარალი. ამდენად, აქტუალური გახდა საკითხი - რა უნდა მოიმოქმედოს იმ ქვეყანამ, რომლის არსებობა ფაქტობრივად ტურიზმზეა გათვლილი?

ჩვენ ვიცით სახელმწიფოები, სადაც ტურიზმს დამატებითი შემოსავლები მოაქვს. მათ მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ისეთ მაღალ დონეზე აქვთ განვითარებული, რომ დამხმარე ტურიზმი სფეროს სახით ფორმირდება. მაგრამ არიან დაბალგანვითარებული სახელმწიფოები, სადაც ტურიზმი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. დიახ, დღეს მათთვის პანდემია დამღუპველია. ხვალ რა იქნება, კიდევ რა დარტყმას უნდა ელოდეს... ამაზე ფიქრიც კი შემზარავია...

მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ამუშავდეს ალტერნატიული გზა, ასეთი მძიმე შემთხვევებისათვის. ანუ სახელმწიფომ უნდა დაიწყოს ფიქრი ახალი შემოსავლების მიღების გზების ძიებაზე. დიახ, მოუწევთ მათ თავიდან გადახედონ საკუთარ შესაძლებლობებს.

გზა კი ყოველთვის არის. მთავარია ვინ და როგორ დაინახავს მას. ჩვენი აზრით, ეს საკმაოდ საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი მომენტია თითოეული ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნისათვის. თუმცა სახელმწიფოები, რომლებიც მიჩვეულნი არიან ტურიზმიდან მაღალი ეკონომიკური შემოსავლების მიღებას, არც ისინი დარჩებიან პასიურად.

ამ ყველაფერზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები: რომლის მიხედვითაც მომზადებული კვლევები და ანგარიშები პანდემიის გავლენაზე, გლობალურ ეკონომიკაზე, არაერთგვაროვნია. აზიის განვითარების ბანკის მიხედვით: „პანდემია 77$ (0.08% მშპ) მილიარდიდან 347$ მილიარდამდე (0.4% მშპ) ზიანს მიაყენებს მსოფლიო ეკონომიკას. ძირითადად, ეკონომიკური ზეგავლენა ქვეყნებზე შემდეგი ლოგიკით განვითარდება: მთავარ ეკონომიკურ დარტყმებს მიიღებენ ის ქვეყნები, რომლებშიც COVID-19-ის გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები იქნება, შემდეგ ის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკებიც ყველაზე მეტად არის დამოკიდებული ტურიზმზე, ნავთობისა და სხვა საქონლის ექსპორტზე, ამის შემდგომ კი ნეგატიური ზეგავლენა მათი პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკებშიც გადაიღვრება.“[10] უნდა აღვნიშნოთ, რომ არც საქართველო დარჩა ამ მოვლენების მიღმა. რადგან უკვე ვიმკით COVID-19-ით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებს, ჩაიკეტა რა საზღვრები მოგზაურობის შიშის გამო.

ანუ დადგა დრო მობილიზების და მანევრირების. თუ დავძაბავთ გონებას, გავიხსენებთ, რომ ბოლო პერიოდში დიდი გამოწვევა მიიღო ტურიზმის ისეთმა მიმართულებებმა, როგორიცაა აგროტურიზი, ეკოტურიზმი, სოფლის ტურიზმი, საოჯახო ტურიზმი და ა. შ. თითოეულმა მათგანმა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე. რადგან ეს მიმართულებები აკმაყოფილებდა არა მარტო ტურისტის მოთხოვნილებებს შესაბამისი თვალსაზრისით, არამედ ისინი განსაკუთრეულ დახმარებას უწევდნენ ქვეყანას, რეგიონს, რაიონს და ა.შ. გამომდინარე იქიდან, რომ ნაკლებად ზიანდებოდა გარემო და ამასთანავე დაინტერესება იზრდებოდა სოფლის მოსახლეობაში მატერიალური თვალსაზრისითაც, რაც უბიძგებდა მათ სოფლის მეურნეობის აღორძინებისაკენ. ძალიან სამწუხარო იყო, როდესაც ვხედავდით დაცარიელებულ სოფლებს და დაუმუშავებელ ნოყიერ მიწებს, მაშინ როცა ფაქტობრივად ქვეყნის ეკონომიკა განადგურების გზაზე იდგა. აღსანიშნავია, რომ აგროტურიზმს, რომელიც XX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის კონტინენტზე ჩამოყალიბდა, თან ახლდა მთელი რიგი თავისებურებანი, რომელიც დამახასიათებელი იყო მხოლოდ ერთი კონკრეტული ქვეყნისათვის. ამ პერიოდისთვის საფრანგეთში უკვე არსებობდა დაახლოებით 35 ათასი ფერმა, მინი-სასტუმროებით და სასტუმროებით. შემდეგ ინგლისი ლიდერობდა: ბრიტანელ ფერმერებს შეეძლოთ მოსახლეობისთვის თითქმის 120 ათასი ადგილის შეთავაზება. თუმცა, მალევე, გარკვეული პრობლემების გამო, აგროტურიზმმა შემცირება დაიწყო. გერმანიაშიც, სულ რაღაც ათიოდე წლის წინ, უკვე არსებობდა 20 ათასი ფერმა

სასტუმროებით. სოფლის ტურიზმის მოდამ ასევე დაიპყრო ჰოლანდია, ირლანდია, პორტუგალია.

ჩვენთვის ეს არის ტურიზმის სრულიად ახალი, ჯერ კიდევ გამოუკვლეველი მიმართულება. მისი სპეციფიკის გასაგებად საჭიროა შევისწავლოთ ამ სფეროში წარმატებული ქვეყნების გამოცდილება.

XXI საუკუნის მიჯნაზე ამ მიმართულებით გამოიკვეთა ლიდერი ქვეყნები, რომელთა შორისაა იტალია, შვეიცარია, ხორვატია, კვიპროსი, საბერძნეთი და სხვ. ასევე წარმატებით ვითარდება აგროტურიზმი გერმანიაში, ავსტრიაში, ესპანეთში, კანადაში, დომინიკის რესპუბლიკაში, კუბაში და ა. შ.

აპენინის ნახევარკუნძულზე დღეს 10 ათასზე მეტი ფერმაა მცირე სასტუმროებით. ისინი მილიონობით დამსვენებლებს მასპინძლობდნენ და ძირითადი კლიენტები იყვნენ არა წყვილები, არამედ შვილიანი ოჯახები. ერთ-ერთი იტალიური ჟურნალის მონაცემებით, იტალიაში აგროტურიზმის წლიური ბრუნვა 700 მილიარდ ლირას დიდი ხანია გასცდა. შვეიცარიაში კი არსებული ასობით ფერმა დამსვენებლებს სათავაზობს ზღაპრულ და დაუვიწყარ მომსახურებას და სოფლად აქტიურ დასვენებას. არ უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ ბავშვების განწყობა ამ ტიპის დასვენებისადმი. მათ უყვართ შინაური ცხოველების ცქერა, მათთან თამაში (შესაძლებლობის ფარგლებში), ბოსტნეულის, ხილის, კენკრის კრეფა. ესპანეთის ასოციაციამ ცოტა ხნის წინ, ბავშვთა არდადეგებზე სოფლად საპილოტე პროექტიც კი წარმოადგინა, რომელიც მოიცავდა 90 ფერმერულ სახლს 8-დან 13 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. სოფელში დასვენება მშობლებს ძალიან იაფი უჯდებოდათ: დღეში 10 – დან 20 დოლარამდე.

აგროტურიზმი მრავალი სოფლის მეურნეობის საწარმოს შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. ძალიან მნიშვნელოვანია სწორად დავინახოთ სოფლის ტურიზმის უპირატესობა საკურორტო ტურიზმთან მიმართებაში, ის არა მხოლოდ იაფია, არამედ იგი ადგილობრივ მოსახლეობას ეხმარება ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში, რაც დღეს, ხვალ და საერთოდ ძალზე მნიშვნელოვანი მიდგომაა სოფელთან მიმართებაში. სოფლის მეურნეობის ტურიზმი აგვარებს ფერმერების პრობლემებს პროდუქციის რეალიზაციის მხრივ, იზიდავს დამატებით ინვესტიციებს სოფელში. ამიტომ, ეს ყველასთვის სასარგებლოა - როგორც სოფლის მოსახლეობისთვის, ასევე ქალაქის მოსახლეობისთვისაც. ძალიან საინტერესოა არსებული პრაქტიკების და გამოცდილებების გაზიარება, გათვალისწინება. მაგალითად საფრანგეთში, დიოპიდან 40 კილომეტრის დაშორებით, ზოოთერაპიის დარგის ექიმმა და მკვლევარმა, ვერონიკა ბაროიზმა დაარსა "ბავშვთა ევროპული მეურნეობა". სადაც კონტინენტის ქვეყნებიდან ექვსიდან თორმეტ წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეები ჩამოდიან დასასვენებლად. მოსწავლეების დღე იწყება და ივსება ცხოველებზე ზრუნვით. სოფლის ჰაერი და ზოოთერაპია ბავშვებზე სასიკეთოდ მოქმედებს: ისინი უფრო კეთილგანწყობილები ხდებიან და პასუხისმგებლობით ეკიდებიან არსებულ გარემოს. განსაკუთრებით რთული მოზარდებისათვის მთელი წლის განმავლობაში ტარდება გაკვეთილები - ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებში.

პოლონეთის სახელმწიფო ასევე დაინტერესებულია სოფლის ტურიზმის განვითარებით. ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ პოლონეთის მომავალ გეგმებს საფრთხეს უქმნის მკაცრი კონკურენცია, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე „ადგილობრივი გლეხი" თუ გაუძლებს. მათი აზრით, აგროტურიზმს შეუძლია დაეხმაროს მათ შენარჩუნებაში. ფერმერს შეუძლია მიიღოს სესხი 30 ათას დოლარამდე, როგორც ჩვეულებრივი, ისე შეღავათიანი გარკვეული პირობებით. პოლონელები მიიჩნევენ, რომ პოპულარიზაციისთვის, ეს მცირე თანხაც საკმარისია.

ყველა ქვეყანას თავისი მიდგომა აქვს აგროტურიზმთან მიმართებაში. ისინი განსხვავდებიან ფერმერების მიერ წარმოებული პროდუქციით. მაგალითად საბერძნეთი, საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი, ცნობილია როგორც მეღვინეობის ხელოვნებით, ასევე ამაყობენ ნამდვილად მდიდრული სამზარეულოთი. ფინეთი საშუალებას აძლევს თევზაობის მოყვარულებს ისარგებლონ თევზაობის პროცესით და ეს ქვეყანა ასევე ხელს უწყობს გარე საქმიანობას. პოლონეთი და სლოვაკეთი დამსვენებლებს საშუალებას აძლევენ გაეცნონ ამ ხალხების კულტურასა და ტრადიციებს. ფერმერები ასევე უზრუნველყოფენ ხორცისა და რძის პროდუქტებთან მუშაობას. აქ შეიძლება დატკბეთ ალპური მთების წარმოუდგენლად ლამაზი პეიზაჟებით, მაგალითად, ავსტრიაში მოგზაურობით.

ტაივანში იმართება ლექციები, რომლებიც საშუალებას აძლევს ადამიანს ეზიაროს ადგილობრივ

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

კულტურას და მის საიდუმლოებებს. აქ მრავალი დასასვენებელი ფერმაა, სადაც შესაძლებელია გაეცნოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების პროცესს, დააგემოვნოთ ადგილობრივ ფერმაში მოყვანილი პროდუქტებისაგან მომზადებული კერძები. დიდი შესაძლებლობაა მოინახულოთ უკიდეგანოდ გადაჭიმული ბრინჯის და ჩაის პლანტაციები.

ზაფხულისა და მზის სამეფო - ასე უწოდებენ ჰავაის. ჰავაის, რომელსაც ამ სიკეთესთან ერთად მრავალი ღირსებები გააჩნია. თუ არა ჰავაი, სად დააგემოვნებთ და სად შეხვდებით ასეთ ფართო ასორტიმენტის ეგზოტიკურ ხილს, როგორიცაა ლიჩი, დურიანი, რამბუტანი, ლეღვი, ანდა სად ნახავთ ამდენ ტროპიკულ მცენარეს ერთად, რომელთა ნაყოფის არომატით არის გაჟღენთილი არემარე. მრავლადაა ორქიდეა, მაკადამიის კაკალი, კაკაო, ყავა, პაპაია, მანგო, ჯეკფრუტი, ვანილი, ჯანჯაფილის ფესვი და ა. შ.

ტროპიკული ქვეყანაა ფილიპინებიც, აქ მხოლოდ რამდენიმე ათეული აგროტურისტული ადგილია. ასევეა დაცული ტერიტორიები, რომლებიც შედგება მარწყვის და ორგანული ბოსტნეულის ფერმებისაგან, ანანასის და ყავის პლანტაციებისაგან. მაგრამ მიუხედავად სიმცირისა, ყოველწლიურად ტარდება ღონისძიებები, იმართება ბაზრობები, რომლებიც ათობით ათას ტურისტს იზიდავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფილიპინების აგროტურიზმის უმეტესი ნაწილი გამოცხადებულია მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლად.

გაინტერესებთ რანჩოებში ცხოვრება? ეწვიეთ და მოინახულეთ კალიფორნიის მცირე საოჯახო მეურნეობები, სადაც საკმაოდ კარგად არის განვითარებული მეცხოველეობა, ეს ადგილი გამოირჩევა აქ მოყვანილი კულტურების მრავალფეროვნებით. ადგილობრივი ფერმერები სერიოზულად ეკიდებიან თავიანთ საქმიანობას და შეიმუშავებენ სტრატეგიებს, რაც მათ შემდგომ წინსვლას უზრუნველყოფს. მათ ამისათვის საგანმანათლებლო პროგრამებიც კი შეუმუშავეს კალიფორნიის უნივერსიტეტში. სადაც მათ შეუძლიათ სასარგებლო რჩევების და საჭირო ცოდნის მიღება.

ვუყურებთ რა მსოფლიოს, ვხვდებით, რომ საკმაოდ დიდ კონკურენციასთან გვაქვს საქმე. ძალიან ძნელია მოხიბლო ტურისტი ისეთი ტიტანების გვერდით, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებია. ტყუილად არ მოვიყვანეთ ზემოთ ხსენებული მაგალითები. ჩვენ რას ვაკეთებთ ჩვენი მოსახლეობისთვის, გლეხისთვის, ფერმერისთვის, ბიზნესმენისთვის, რომლებიც სოფლის აყვავებას ემსახურებიან.

ტურიზმის ეს სახე საქართველოში განვითარების საწყის ეტაპზეა. ამას ხელს უწყობს ქვეყნის მრავალფეროვანი ტრადიციები, მდიდარი კულტურული და აგრარული მემკვიდრეობა, სოფლის ყოფა-ცხოვრება, ადგილობრივი პროდუქტები, სამზარეულო. ყოველი რეგიონი გამორჩეულია საკუთარი უნიკალური ბუნებრივი საფარით, რელიეფით, თვით მოსახლეობით, მათი ადათ-წესებით, სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოების თავისებურებებით. ამ მხრივ კი განსაკუთრებით მაღალმთიანი რეგიონებია დიდი პოტენციალის მატარებელი.

იმდენად, რამდენადაც აგროტურისტული ობიექტის სტატუსი არ არის ოფიციალურად განსაზღვრული, ინფორმაციაც ობიექტების რაოდენობის შესახებ მწირია და ნაკლებად ხელმისაწვდომი. თუმცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, 16 ფერმერული მეურნეობა სთავაზობს ტურისტებს აგროტურისტულ მომსახურებას. მაგალითისთვის კახეთის მხარე ტურისტებს სთავაზობს რთველში მონაწილეობის მიღებას, საწნეხელში ყურძნის ჩაწურვას, ჩურჩხელების საკუთარი ხელით ამოვლებას, ყველის ამოყვანასა და სხვ. არის იმედები, რომ საქართველოს მასშტაბით კიდევ 130 საწარმო არის დაინტერესებული მსგავსი აგროტურიზმისთვის დამახასითებელი სერვისების შეთავაზებით. მაგრამ როდესაც ამ საკითხებს ვეხებით, უნდა გავიხსენოთ, რამდენად რთული მდგომარეობაა საქართველოში ინფრასტრუქტურის, უსაფრთხოების, შესაფერისი კადრებით დასაქმების თვალსაზრისით.

დასკვნა

როგორც ვხედავთ მსოფლიო საკმაოდ დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ანუ ცხოვრება არ ჩერდება ერთ ადგილზე, მიდის წინ, მიუხედავად არსებული პრობლემებისა, საზოგადოების, კაცობრიობის განვითარებას, პროგრესს ხელს ვერ უშლის ვერც მცირე და ვერც დიდი, მასიური პრობლემები. საკითხი დგება სხვა კუთხით. ადამიანები ხედავენ

ნელ-ნელა საკუთარ დანაშაულს და შეცდომებს. და დღის წესრიგში დგება მომდევნო საკითხი: როგორ გავაგრძელოთ ცხოვრება დანაკარგის, დანახარჯის და ზიანის მიყენების გარეშე. როგორ ვიცხოვროთ, რომ ზიანი არ მივაყენოთ პირველ რიგში გარე არსებულ სამყაროს და მერე თავისათავად საკუთარ თავსაც. ანუ როგორ გავხადოთ სამყარო მდგრადი, როგორ გავხადოთ ტურიზმი მდგრადი, როგორი უნდა იყოს ჩვენი შემდგომი ნაბიჯები. თუნდაც აგროტურიზმის მიმართულებით. როგორ მივაჩვიოთ გლეხი იმ აზრს, რომ თუ მან სწრაფად გააცნობიერა სოფლის მეურნეობის ტურიზმის მომგებიანობა და შესძლო ფულის ჩადება მასში. ისიც კარგად უნდა აღიქვას, რომ ახლა მისი ამოცანაა არამარტო ტურისტის მოზიდვა, არამედ ყველა მეურნეობის მფლობელის მთავარი მოთხოვნაა საერთაშორისო სანიტარული და ჰიგიენური სტანდარტების მკაცრი დაცვა, სტუმრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და თავისთავად განუმეორებლობა, გამორჩეულობა და განსაკუთრებულობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ოქროცვარიძე ა, ოქროცვარიძე ლ., ვადაჩკორია მ., ,,ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“, თბ. 2011წ.

2. მაისურაძე დ., ვერბეცკი ი., ხუციშვილი თ. ეკოლოგიური ტურიზმის საფუძვლები. თბ., 2009.

3. სამადაშვილი ც., დობორჯგინიძე ხ. აგროტურიზმის განვითარების შესაძლებლობა კახეთში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ბათუმი, 2010.

4. ჩავლეიშვილი მ. აგროტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში. „ეკონომიკა და ბიზნესი", თბ., 2010.

5. მეტრეველი მ., ტურიზმისა და სტუმარ-მასპინძლობის საფუძვლები, თბ. 2009 წ.

6. არაბული კ., ტურიზმის სახეები და ქართული ტურიზმის განვითარების შესაძლო პერსპექტივები, „საქართველოს ეკონომიკა“, 2008.

7. მარგველაშვილი მ., ,,ტურიზმი და სიღარიბის დაძლევა'', ჟურ. „სოციალური ეკონომიკა“, 6, 2007.

8. შუბლაძე ვ., „საქართველო და ტურიზმი'', თბ., 1999.

9. https://www.startuperi.ge/ka/agro-loan

10. გალდავა მ., მოლაშვილი ნ. და ჯემალ ცინცაბაძე ჯ., აგროტურიზმი საქართველოში, თბ. 2020.

11.Http://rest.kuda.ua/ და ტურისტული გაზეთის (RTG) No10 (97) მასალების საფუძველზე.

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

SMALL BUSINESS CHALLENGES IN GEORGIA IN THE CONDITIONS OF THE COVID-19 PANDEMIC



Natia Terterashvili
TSU Doctoral student
in the Faculty of Economics and Business
Tel.: 551-11-11-32
E-mail: natia.terterashvili467@eab.tsu.edu.ge

ABSTRACT

Paper analyzes the effects of the COVID-19 pandemic on the Georgian economy, in particular, small business. Based on the analysis of state regulation instruments, parallels with the pandemic have been drawn.

The paper is mainly based on the database of the National Statistics Office of Georgia and the Revenue Service.

The article examines the impact of the pandemic on small businesses: based on changes in employment and turnover rates. The paper also discusses the role and importance of government decision-making in small business during the COVI Crisis.

The effectiveness of the policy pursued by the state is examined with the help of a survey of small entrepreneurial individuals; The study assesses the extent of the impact faced by individuals with small business status during a pandemic. It also identifies the challenges they will face after a pandemic.

The paper summarizes the main findings, identifies all the challenges the market are facing and also provides relevant recommendations for market participants.

Key words: COVID-19, Pandemic, Small business, Crisis, State regulations, entrepreneurial individuals.

მცირე ბიზნესის გამოწვევები საქართველოში COVID-19 პანდემიის პირობებში

ნათია ტერტერაშვილი
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი
ტელ.: 551-11-11-32; ელ.ფოსტა:natia.terterashvili467@eab.tsu.edu.ge

ანოტაცია

ნაშრომში გაანალიზებულია COVID-19 პანდემიის ეფექტები საქართველოს ეკონომიკაზე, კერძოდ, მცირე ბიზნესზე. სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების ანალიზის საფუძველზე, გავლებულია პარალელები პანდემიასთან.

ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზას.

სტატიაში გამოკვლეულია პანდემიის გავლენა მცირე ბიზნესზე: დასაქმებისა და ბრუნვის მოცულობის მაჩვენებლების ცვლილებებზე დაყრდნობით. ასევე, განხილულია სამთავრობო გადაწყვეტილების როლი და მნიშვნელობა მცირე ბიზნესში კოვიდ-კრიზისის პირობებში.

სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის ქმედითუნარიანობა გამოკვლეულია მცირე მეწარმე ფიზიკური პირების ანკეტირების დახმარებით; კვლევის შედეგად შეფასებულია ზეგავლენის მასშტაბები, რომლებსაც მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირები აწყდებიან პანდემიის დროს. ასევე, განსაზღვრულია ის გამოწვევები, რომლის წინაშეც ისინი დადგებიან პანდემიის შემდეგ.

სტატიაში დასკვნის სახით ჩამოყალიბებულია ძირითადი მიგნებები, გამოვლენილია გამოწვევები, რომლის წინაშეც დგას ბაზარი, და ასევე, გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები მასში მონაწილე მხარეებისთვის.

საკვანძო სიტყვები: COVID-19, პანდემია, მცირე ბიზნესი, კრიზისი, სახელმწიფო რეგულაციები, მეწარმე ფიზიკური პირები.

შესავალი

სამეწარმეო სექტორი ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, თუმცა თანამედროვე სამყაროში მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზრდილია. კვლევების თანახმად, ამ სექტორში მშპ-ს ყველაზე დიდი ნაწილი იწარმოება და სამეწარმეო სექტორის განვითარება პირდაპირ პროპორციულია ინოვაციების დანერგვის, დასაქმების, ბრუნვის მოცულობის, გამოშვების რაოდენობისა და სხვა მასთან დაკავშირებული მაჩვენებლების ზრდასთან.

აღნიშნულიდან გამოდინარე, აუცილებელია იმ პრობლემებისა და საფრთხეების დღის წესრიგში დაყენება და განხილვა, რომელსაც ვაწყდებით დღეს, პანდემიის გავრცელების შედეგად. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ახალი ვირუსი, სახელწოდებით COVID-19 პანდემიად გამოაცხადა. ვირუსმა სწრაფად მოიცვა 200-ზე მეტი ქვეყანა და გლობალურ გამოწვევად იქცა.

ევროპაში პანდემიის გავლენის შესახებ ბოლოდროინდელმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობათა სახეებიდან, სამიდან მინიმუმ ორი, პანდემიის გამო იმყოფება რისკის ქვეშ (67%) ხოლო მიკროსაწარმოთა შემთხვევაში ეს მაჩვენებელი უდრის 30%-ს, ავსტრალიაში კი ეს რიცხვი, მცირე და საშუალო ბიზნესში საწარმოების - 68%-ს შეადგენს. **[1, McCann F., Myers S. გვ. 12].**

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ბოლო კვლევის მიხედვით შეერთებულ შტატებში, 2020 წლის აპრილში დაკარგული 20 მილიონი სამუშაო ადგილიდან, 11 მილიონი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებზე მოდის. ახალ ზელანდიაში მცირე ბიზნესში სამუშაო ადგილების 4% -იანი შემცირება მოხდა 2020 წლის მარტში და აპრილში **[2].**

გერმანიის კვლევითმა ინსტიტუტმა IFM შეიმუშავა ორი სცენარი მცირე და საშუალო საწარმოებზე კრიზისის გავლენის შესაფასებლად. იმ სცენარში, სადაც „ლოქდაუნი“ 2-2,5 თვეს გრძელდება, ეს მცირე და საშუალო ბიზნესის უმეტესობისთვის კრიზისს არ გამოიწვევს და არ მოახდენს საწარმოთა ლიკვიდაციას, თუმცა საცალო, კულტურულ და დასვენების ინდუსტრიებზე გავლენა შეიძლება დიდი იყოს. იმ შემთხვევაში, თუ „ლოქდაუნი“ გაგრძელდება ექვს თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, მცირე და საშუალო ბიზნესის, განსაკუთრებით მიკრო საწარმოებში, სამუშაოების მნიშვნელოვანი დანაკარგებია მოსალოდნელი, მათი პროგნოზით 850 000 – დან 1,6 მილიონამდეა შეფასებული ეს დანაკარგები **[3].**

2020 წლის 1 მარტის მდგომარეობით საქართველოში აღწერილია სულ 290 129 შემთხვევა, საიდანაც სამწუხაროდ, 3 900 გარდაცვლილია, ხოლო 278 385 -გამოჯანმრთელებული **[5].** ქვეყანაში დღემდე მოქმედებს გარკვეული შეზღუდვები. დახურული საწარმოები, დაკარგული სამუშაო ადგილები, შემცირებული საწარმოთა ბრუნვა, გაუფასურებული ეროვნული ვალუტა და სხვა მაკროეკონომიკური კრიზისები მძიმე ეკონომიკურ სურათს ხატავს და აღნიშნული საკითხი მოითხოვს ღრმა კვლევას.

მცირე მეწარმეობის სტრუქტურა და დინამიკა COVID-19 პანდემიის პირობებში

საქართველოში მიმდინარე პროცესების გასაანალიზებლად განვიხილოთ იმ რაოდენობრივი მაჩვენებლების დინამიკა, რომლის საშუალებითაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური განსაზღვრავს ბიზნესის კლასიფიკაციას **[6].**

დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილება საწარმოთა ზომების მიხედვით საქართველოში, დიაგრამა 1-ის დახმარებით გავაანალიზოთ.

პანდემიამდე, 2019 წელს, დასაქმებულთა 64% მოდიოდა მცირე და საშუალო ბიზნესზე და 36% - მსხვილ ბიზნესზე. როგორც გრაფიკიდან ჩანს, ბოლო 10 წლის მანძილზე დასაქამების მაჩვენებლები იზრდებოდა 2020 წლამდე ყველა პუნქტში (როგორც მცირე და საშუალო, ისე მსხვილ ბიზნესებში), ხოლო 2020 წელს ფიქსირდება პირველი მკვეთრი კლება დასაქმებულთა რაოდენობაში. თამამად შეგვიძლია ეს დიდი კლება მსოფლიოში მიმდინარე პროცესებსა და პანდემიის გავლენას დავუკავშიროთ. 2020 წლის მეორე კვარტლიდან ქვეყანაში ამოქმედდა სრული "ლოქდაუნი", დაიკეტა უამრავი საწარმო და მათგან გამოთავისუფლებული კადრების რიცხვი დღითიდღე უფრო იზრდებოდა, დიაგრამა 1-ზე მეორე კვარტალში ყველაზე დიდი ვარდნით არის გამოხატული მრუდი. დასაქმების მაჩვენებლების ანალიზიდან ჩანს, რომ განსაკუთრებული ზიანი მიადგა მცირე და საშუალო საწარმოებს, მსხვილ საწარმოებთან შედარებით.

ცალკე განვიხილოთ მცირე საწარმოებში დასახმებულთა რიცხოვნობის ცვლილება წლების და 2020 წლის კვარტლების მიხედვით გრაფიკზე გამოსახული მრუდის დახმარებით.

ბოლო ოთხი კვარტლის მონაცემების ანალი-

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

დიაგრამა 1. დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით



	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020 I	2020 II	2020 III	2020 IV
სულ	388	360	361	349	387	397	503	534	550	592	626	666	708	734	756	684	631	645	641
მათ შორის: მსხვილი	135	114	116	123	129	131	153	169	178	186	198	217	233	243	265	273	261	261	264
მათ შორის: საშუალო	94 3	99 5	109	104	106	104	118	118	125	126	137	142	145	160	152	141	142	146	146
მათ შორის: მცირე	147	146	135	121	151	161	231	246	246	279	290	306	329	330	339	269	228	237	230

შენიშვნა: აგებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე [6].

გრაფიკი 1. დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილება მცირე საწარმოებში (2010-2020წწ)



შენიშვნა: აგებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე [6].

ზისას ვნახავთ, რომ სამთავრობო შეზღუდვებმა დიდი დაღი დაასვა მცირე ბიზნეს. ყველაზე უფრო კრიზისულ პერიოდში - მეორე კვარტალში, წინა წლის მაჩვენებლთნ შედარებით მცირე ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირებულია თითქმის 33%-ით. იქიდან გამომდინარე, რომ მატება არ გვაქვს არცერთ პუქტში დასაქმების კუთხით (არც საშუალო და არც მსხვილი ბიზნესში), შესაბამისად შეგვიძლია არ გავითვალისწინოთ დასქამებულთა მობილობის შესაძლებლობა და ვთქვათ, რომ 2020 წელს პანდემიის შედეგად მცირე ბიზნესიდან გამოთავისუფლებული კადრების რიცხვი შეადგენდა

100 000 კაცზე მეტს. ჩვენი დემოგრაფიის პირობებში ვფიქრობთ, ეს მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანს. ჩვენი აზრით აუცილებელია, რომ სახელმწიფოს მხრიდან გადაიდგას რიგი მხარდამჭერი ნაბიჯები, რათა მოხდეს ამ სექტორის დიდი დოზით დახმარება.

2021 წლის ანტიკრიზისული გეგმის მიხედვით, მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა რიცხოვნობის შესანარჩუნებლად მთავრობამ დამსაქმებლებს მისცა შემდეგი სტიმული:

• 1500 ლარამდე ხელფასის მქონე პირები 750 ლარამდე თანხის საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდნენბენეფიციართა რაოდენობა შეადგენდა: 33 ათას კომპანიას და 425 ათას დასაქმებულს. **ბიუჯეტიკი 260 მლნ ლარი** იყო.

• მთავრობამ გამოყო **1200 ლარიანი დახმარება სამსახურდაკარგული პირებისთვის.** ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა - 125 000 პირი. **ბიუჯეტი - 150 მლნ ლარი [4].**

საწარმოთა წლიური ბრუნვის მოცულობის დინამიკა განვიხილოთ, ცხრილი 1-ის საშუალებით.

ცხრილი 1. ბრუნვის მოცულობა საწარმოთა ზომის მიხედვით (1999-2020წწ)

		სულ	მათ შორის:		
			მსხვილი	საშუალო	მცირე
		მლნ. ლარი			
		1	2	3	4
2015	…	56,984.8	24,671.6	13,294.6	19,018.7
2016	…	64,081.8	28,256.3	14,039.1	21,786.4
2017	…	71,740.1	32,201.1	16,568.3	22,970.7
2018	…	86,625.1	42,902.7	18,543.2	25,179.1
2019	…	109,024.3	60,504.6	21,065.5	27,454.2
2020	I	26,015.2	15,597.9	4,336.3	6,081.0
	II	22,314.7	13,117.2	3,975.7	5,221.9
	III	29,226.3	16,687.4	5,181.4	7,357.6
	IV	32,046.6	19,520.3	5,475.8	7,050.5
		109,602,800.0	64,922.8	18,969.2	25,711.0

შენიშვნა: აგებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე [6].

2020 წელს ბრუნვის მოცულობამ ბიზნეს სექტორში შეადგინა 109603,8 მლნ ლარს, საიდანაც მცირე ბიზნესის ბრუნვა შეადგენდა 25711,0, საშუალო 18969,2 და მსხვილი ბიზნესი კი 649228.

ცხრილი 1-ის მიხედვით 2019 წელს მცირე და საშუალო საწარმოების წილმა ბიზნესის სექტორის ბრუნვაში შეადგინა დაახლოებით 44,5%, ხოლო მსხვილი ბიზნესის წილმა კი 55,5%. 2020 წელს მსხვილი ბიზნესის ბრუნვის მოცულობის წილი იყო 55%, მცირე და საშუალო 45%. ცხრილიდან ვხედავთ, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში, მთლიანი ბრუნვის მოცულობა ზრდადი იყო ყოველ წელს წინა წელთან შედარებით, მართ შორის 2020 წელსაც, მაგრამ 2020 წელს მთლიანი ბრუნვის მოცულობის ზრდა გვქონდა მხოლოდ მსხილი საწარმოების ბრუნვის მოცულობის ზრდის ხარჯზე. შესაბამისად თუ ავაგებთ ზრდის ტემპების მრუდებს დავინახავთ რამდენად დიდია მრუდის ვარდნა და რეალურად რამხელა შემცირებაა ამ კუთხითაც.

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

გრაფიკი 2. საწარმოთა ბრუნვის მოცულობის ზრდის ტემპი(%) 2000-2020 წწ-ში



შენიშვნა: აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველძე [6].

მრუდის ვარდნა საკმაოდ დიდია 2020 წელს, რაც კვლავ შეზღუდვების და პანდემიის გავრცელების გავრცელების პირდაპირი შედეგია.

გრაფიკი 3. მცირესაწარმოთა ბრუნვის მოცულობის ზრდის ტემპი 2000-2020 წწ.



შენიშვნა: აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველძე [6] .

რაც შეეხება მცირე საწარმოების ბრუნვის მოცულობის ზრდის ტემპს, ბოლო 10 წლის მანძილზე მრუდი დადებითი მნიშვნელობებით ხასიათდება 2020 წლამდე. გრაფიკი 3-ზე წარმოდგენილია მცირე საწარმოთა ბრუნვის მოცულობის ზრდის ტემპი, რომელიც გვიჩვენებს 6%-იან შემცირებას 2020 წელს.

ჩვენ შეგვიძლია გავაანალიზოთ 2020 წლის მონაცემები კვარტლების მიხედვით, რომელიც გვიჩვენებს სამთავრობო შეზღუდვების ზეგავლენის ზომას, მცირე ბიზნესის განვითარებაზე (იხ. გრაფიკი 4).

მე-4 გრაფიკზე ზრდის ტემპი, მეორე კვარტალში პირველ კვარტალთან შედარებით დაეცა 14,13 %-ით, რაც დაკავშირებულია მარტის თვვეში მთავრობის მიერ გამოცემულ საგანგებო მდგომარეობასთან. ხოლო შემდგომ კვარტალში, როდესაც მოიხსნა შეზღუდვები, საწარმოებმა განაახლეს მუშაობა დაიწყო ეკონომიკის სწრაფი გამოჯანსაღება მივიღეთ ზრდის ტემპის 40,90%-იანი მაჩვენებელი. აქედან გამომდინარე, შეგვიაძლია დავასკვნათ, თუ რაოდენ დიდია გავლენა ეკონომიკაზე, რომელიც მოყვება შეზრუდვების შემოღებას.

გრაფიკი 4. მცირე საწარმოთა ბრუნვის მოცულობის ზრდის ტემპი 2020 წლის კვარტლებში



შენიშვნა: აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე[6].

COVID-19 პანდემიის გავლენა მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე

რა ზეგავლენას ახდენს ახალი კორონა ვირუსის გავრცელება საქართველოში მიკრო და მცირე ბიზნესის სატატუსის მქონე ფიზიკური პირების საქმიანობაზე და რა გამოწვევის წინაშე დგანან ისინი, საჭიროებს კვლევას.

კითხვარი, რომელიც შევიმუშავეთ, ემსახურება მცირე და მიკრო ბიზნეს სტატუსის მქონე ფიზიკური პირების გამოკითხვას. **კვლევის მიზანია** შევაფასოთ ზეგავლენის ის მასშტაბები, რომლებსაც აწყდებიან მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირები პანდემიის დროს. ასევე, განვსაზღვროთ ის გამოწვევები, რომლის წინაშეც ისინი დადგებიან პანდემიის შემდეგ.

კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია ინტერნეტ გამოკითხვა, რომელიც განხორციელდა Drive.google.com პროგრამის და სოციალური ქსელების დახმარებით, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე. შესაბამისად, თითოეული ადამიანი კითხვებზე პასუხს სცემს გულახდილად და მასზე ზეგავლენის მოხდენა გამორიცხულია.

საკვლევი პოპულაცია და შერჩევის მოცულობა განისაზღვრა შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით. დღევანდელი მონაცემთა ბაზის მიხედვით რეგისტრირებულია 120 000 მცირე და მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი **[7].**

განისაზღვრა საკვლევი პოპულაციიდან მინიმალური შერჩევის ზომა, რომელიც ზემოაღნიშნული საკვლევი პოპულაციიდან მინიმუმი შერჩევის ზომა არის 384 შემთხვევა, 95% ნდობის დონის და +/- 5% ნდობის ინტერვალის მიხედვით, რაც აღიარებულია ბიზნეს სფეროში მოღვაწე მკვლევარების მიერ. შერჩევის მეთოდიად გამოყენებულია მარტივი შემთხვევითი შერჩევა, რაც საშუალებას გვაძლევს კვლევის შედეგების გენერირება მოვახდინოთ მთლიანად მცირე და მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე.

კითხვა 1-ის პასუხებიდან გამომდინარე, კვლევაში მონაწილეობა მიიღეს როგორც მცირე (1 წელზე ნაკლები), ისე დიდი გამოცდილების მქონე მეწარმე ფიზუკურმა პირებმა.

ხოლო, მე-2 კითხვიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ საქმიანობის სახეებიდან გამოკითხულთა უმეტესობა (31,4%) წარმოადგენდა საბითუმო და საცალო ვაჭრობის სფეროში დასაქმებულ მეწარმე პირებს. ხოლო შემდეგ მოდის სასტუმროები და რესტორნები (23,5%), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (13,7%) და სხვა სახის მოსახურება (17,6%) .

კითხვა 3 და კითხვა 4-ის შედეგების მიხედვით, განისაზღვრა, რომ კვევაში მონაწილეობა თითქმის ერთნაირი რაოდენობით მიიღეს მიკრო და მცირე ბიზნესის წარმოდგენლებმა.

რაც შეეხება შემდეგ კითხვებს და გამოკითხულთა პასუხებს, განვიხილოთ თანმიმდევრობით:

კითხვაზე (კითხვა 5) - „როგორ აისახა პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები თქვენს საქმია-

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

ნობაზე?" - გამოკითხულ მეწარმთა უმრავლესობა - 51% აცხადებს, რომ შეუმცირდათ საქმიანობის მაშტაბები, 17,6% ამბობს, რომ შეძლო საქმინობის მასშტაბების მეტნაკებად შენარჩუნება დისტანციურ რეჟიმზე გადასვლით, გამოკითხულთა 15,7%-ს კი მოუწია საქმიანობის დროებით შეჩერება. მხოლოდ 7,8% აცხადებს, რომ თავისი საქმიანობდან გამომდინარე გაზარდა საქმიანობის მასშტაბები. როგორც ვხედავთ, საერთო სურათი საკმაოდ მძიმეა და გამოკითხულთა უმრავლესობა საუბრობს საქმიანობის მსშტაბების შემცირებზე.

რაც შეეხება სხვადასხვა ფაქტორების გავლენის შეფასებას მათ საქმიანობაზე შემდეგი მნიშვნელობით დალაგდა:

1. ლარის მკვეთრი გაუფასურება;
2. დაწესებული შეზღუდვებით დანახარჯების ზრდა;
3. დაწესებული შეზღუდვებით მოთხოვნის შემცირება;
4. დაწესებული შეზღუდვებით გამოწვეული შეფერხებები მიწოდების ჯაჭვში;
5. ვადაგადაცილებული ვალდებულებებით გამოწვეული პრობლემები.

კითხვა 6. შეაფასეთ ჩამოთვლილი ფაქტორების ზეგავლენა თქვენი საქმიანობის შედეგებზე



შენიშვნა: გრაფიკის მნიშვნელობები გამოთვლილია საშუალო შეწონილის მეთოდით.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლარის გაუფასურება თითქმის ერთნაირად მტკივნეული აღმოჩდა ყველა მცირე მეწარმესთვის.

კითხვა 7. პანდემიის პირობებში მიმართეთ თუ არა ფინანსურ ინსტიტუტებს პრობლემის მოსაგვარებლად?

მე-7 კითხვიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოკითხულ მეწარმეთა 27,5%-მა მიმართა ფინანსურ ინსტიტუტებს პრობლემის



მოსაგვარებლად, მათგან 11,8%-ს უარი ეთქვა ფინანსური რესურსის გამოყოფაზე, 7,8%-მა მოიპოვა ფინანსური დახმარება ხოლო დანარჩენ 7,9% ჯერ კდევ ელოდება პასუხს ფინანსური ინსტიტუტისგან.

გამოკითხულთა 70,6%-ს არ უსარგებლია მთავრობის მიერ შეთავაზებული მხარდამჭერი პროგრამით.

კითხვა 8. ისარგებლეთ თუ არა მთავრობის მიერ შემუშავებული მხარდაჭერის პროგრამით?

რადგან აქედან 27,5%-სთვის მიზეზი იყო ბიუროკრატიული ბარიერები, ხოლო 43,1% აცხადებს, რომ პროგრამა არ შეხებია მის ბიზნესს, მთავრობის მიერ შემუშავებული პროგრამით ისარგებლა ჩვენი გამოკითულთა მხოლოდ 29,4%-მა.



ხოლო 9-ე კითხვაზე პასუხების ანალიზი გვიჩვენებს, რომ იმ 29,4%-დან, ვინც მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამაში, 39% სრულიად უკმაყოფილოა, 17% ნაწილობრივ უკმაყოფილო და მხოლოდ სახელმწიფო პროგრამაში ჩართულთა 8 პროცენტი აფასებს მთავრობის ქმედებას სრულიად დამაკმაყოფილებლად.

კითხვა 10. თქვენი აზრით მიმდინარე COVID-19 პანდემიის დასრულების შემდეგ, შეძლებს თუ არა თქვენი ბიზნესის რაოდენობრივი მაჩვენებლები დაუბრუნდეს ძველ ნიშნულს?

ბოლო მე-10 კითხვის პასუხების მიხედვით,



შეგვიძლია შევაჯამოთ მცირე და მიკრო მეწარმეების მოლოდინები, კვლევაში მონაწილეთა 43,1% ფიქრობს, რომ პანდემიის დასრულების შემდეგ რაოდენობრივი მაჩვენებლების საწყის ნიშნულამდე დაბრუნებას დიდი დრო დასჭრდება, 35,3% კი ოპტიმისტურ პროგნოზს გვთავაზობს და ფიქრობს, რომ ბაზარი სწრაფად შეძლებს გამოჯანსაღებას და ძველ მაჩვენებლებს დაუბრუდება.

დასკვნა

პანდემიამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია მცირე ბიზნესის ფუნქციონირების მაჩვებლებზე, როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში. მდგომარეობა ყველგან გაუარესდა.

საქართველოში:

• მცირე საწარმოებში დასაქმებულმა 100 000-ზე მეტმა ადამიანმა დაკარგა სამუშაო ადგილი 2020 წლის მარტსა და აპრილში;

• მცირე საწარმოთა ბრუნვის მოცულობის ზრდის ტემპში შემცირება იყო 6%;

• არსებითი იყო სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სახელმწიფო პროგრამები, რამაც სტიმული მისცა დამსაქმებლებს შეენარჩუნებინა კადრები.

თითქმის ყველა მეცნიერი უმუშევრობის პრობლემის მოგვარების ერთადერთ გზად მიჩნევს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. ჩვენი აზრით აუცილებელია, რომ სახელმწიფოს მხრიდან გადაიდგას რიგი მხარდამჭერი ნაბიჯები, რათა მოხდეს ამ სექტორის დიდი დოზით დახმარება. მართალია, 2021 წლის ანტიკრიზისული გეგმით, მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა რიცხოვნობის შესანარჩუნებლად მთავრობამ მისცა სტიმული დამსაქმებლებს, რომ შეენარჩუნებინათ კადრები, მაგრამ კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ეს არ იყო საკმარისი.

ჩვენი რეკომენდაციით, სახელმწიფომ უშუალოდ მცირე ბიზნესზე მიმართულ პროგრამებთან ერთად უნდა იზრუნოს ზოგადი მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაზე. კერძოდ, ლარის გაუფასურების შეჩერება, დაწესებული შეძღუდვებით გამოწვეული მოთხოვნის შემცირება. დაწესებული შეზღუდვებით გამოწვეული ჩავარდნები მიწოდების ჯაჭვში დიდი დარტყმას აყენებს მცირე და მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირების სამეწარმეო საქმიანობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. McCann F., Myers S. , "COVID-19 and the transmission of shocks through domestic supply chains", Central Bank of Ireland, April 2020, N3, pg. 11-12.

2. https://www.oecd.org/coronavirus/policy-responses/coronavirus-covid-19-sme-policy-responses-04440101/ ბოლო გადამოწმების თარიღი - 01/03/2021

3. (OECD) - https://www.oecd.org/coronavirus/policy-responses/coronavirus-covid-19-sme-policy-responses-04440101/?fbclid=IwAR3lEnClqQM5SRFdm-YlUNv-g0nflVkwfxvLM9NFIRqA8Ql0_LKZwBeNvAE - ბოლო გადამოწმების თარიღი - 01/03/2021

4. http://gov.ge/print.php?gg=1&sec_id=288&info_id=77894&lang_id=GEO -ბოლო გადამოწმების თარიღი - 01/03/2021

5. https://stopcov.ge/-ბოლო გადამოწმების თარიღი - 01/03/2021

6. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva - ბოლო გადამოწმების თარიღი -01/03/2021

7. http://rs.ge/ - ბოლო გადამოწმების თარიღი - 09.02.2021

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

THE ROLE OF WOMEN'S ORGANIZATIONS IN THE REGULATION OF THE GEORGIAN – ABKHAZIAN CONFLICT

Ketevan Jojishvili
Student of Political Science (PhD)
Caucasus International University
E-mail: ketijojishvili9@gmail.com
T. +995 598 189 111

ABSTRACT

The dissolution of the Soviet Union led to a confrontation between society and the difficult reality. On the one hand, they tried to reconcile post-Soviet deep-seated transformations and on the other hand, aimed to consider the ethnic conflicts and geopolitical games. Most of the conflicts in the post-Soviet space are related to the revision of territorial boundaries and self-determination. Georgian – Abkhazian confrontation is one of the unresolved conflicts in the post – Soviet space, which is by its very nature the most difficult problem and also a reflection of the current events and geopolitical controversies in the world.

Approaches and ways of the resolving the conflict by the state and other institution have been transformed according to the situation, but have not been consistent. Thus, we are discussing efforts by women's organization to resolve the conflict, which makes it possible to limit the escalation of the conflict, since there are different visions and skills.

Keywords: woman, conflict, Abkhazia, organization

ქალთა ორგანიზაციების როლი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში

ქეთევან ჯოჯიშვილი
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი (PhD) კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი;
ელ.ფოსტა:ketijojishvili9@gmail.com; ტელ.: +995 598 189 111

ANOTACIA

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილმა სიტუაციამ, საზოგადოება რთულ რეალობას დააპირისპირა. ადამიანები, ლიდერები ცდილობდნენ როგორც პოსტსაბჭოთა სიღრმისეულ ტრანსფორმაციასთან შეთვისებას, ასევე თვალის გასწორებას ეთნიკური კონფლიქტებისა და გეოპოლიტიკური თამაშებისათვის. პოსტსაბჭოთა სივრცეში განვითარებული კონფლიქტების უმრავლესობა ტერიტორიული საზღვრების გადახედვასა და თვითგამორკვევასთან არის დაკავშირებული. პოსტსაბჭოთა პერიოდის გადაუჭრელ კონფლიქტებს მიეკუთვნება ქართულ-აფხაზური დაპირისპირება, რომელიც თავისი არსით ურთულეს პრობლემას წარმოადგენს და ერთდროულად, მსოფლიოში განვითარებული მოვლენებისა და გეოპოლიტიკური დაპირისპირების ანარეკლია.

სახელმწიფოსა და სხვა ინსტიტუტების მიერ კონფლიქტის დარეგულირების მიდგომები და გზები სიტუაციის შესაბამისად ტრანსფორმირდებოდა, მაგრამ თანმიმდევრულ ხასიათს არ ატარებდა. ამრიგად, კონფლიქტის მოგვარების მცდელობას განვიხილავთ ქალთა ორგანიზაციების პრიზმიდან, რაც კონფლიქტის ესკალაციის შეზღუდვის მეტ შესაძლებლობას იძლევა, რადგან მათ განსხვავებული და ერთობ სახასიათო უნარები გამოარჩევთ.

საკვანძო სიტყვები: ქალი, კონფლიქტი, აფხაზეთი, ორგანიზაცია

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველო ვერ ასცდა კონფლიქტურ მოვლენებს, რომელთა ინსპირატორი ყოველთვის რუსეთი იყო [12, გვ.67]. ამასთან, საქართველოს ხელისუფლებები არ იყვნენ თანმიმდევრული კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში. დამოუკიდებელი საქართველოსა და მისი ხელისუფლებისათვის ერთ-ერთ ურთულეს გამოწვევად და გადაუჭრელ პრობლემად რჩება ქართულ-აფხაზური კონფლიქტი. მის დარეგულირებას პოლიტიკური ნება და არსებულ პრობლემათა მოგვარების განსხვავებული მიდგომები, ახალი ვექტორების დასახვა სჭირდება, რომელიც ერთდროულად აქცენტირებული იქნება ქართულ და აფხაზურ საზოგადოებაზე [12, გვ.5].

რეალობაა, რომ აქტიური პოლიტიკური პროცესები და კონფლიქტის გადაჭრის გზა ახლო პერსპექტივა არაა. თუმცა, ყოველთვის არსებობდა და არსებობს სახალხო დიპლომატიის შესაძლებლობა, რომელიც კონფლიქტამდე არსებული ნათესაური და პიროვნული ურთიერთობების შენარჩუნების, ერთიანი სოციალური ხედვების შემუშავებისა და ამ გზით ორივე საზოგადოებისთვის უწყვეტი ურთიერთობის ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა. ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტმა ქართულ-აფხაზურ ომამდე მიგვიყვანა და დღემდე ურთიერთობის ერთ-ერთი შესაძლებლობა არის ქალთა ორგანიზაციების საქმიანობა და აქტივობა [11, გვ.28].

კვლევის მეთოდოლოგია

წარმოდგენილი **კვლევის მიზანია,** ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში ქალთა ორგანიზაციების მიერ შეტანილი წვლილის დადგენა, ხოლო **კვლევის ამოცანაა** გავაანალიზოთ კონფლიქტსა და ქალთა ორგანიზაციებს შორის არსებული კავშირი და ის მიდგომები, რომელთა საშუალებითაც ხდება კონფლიქტის დარეგულირება და სოციალურ-ეკონომიური თანადგომა. ამასთან, შევისწავლით ქალთა ორგანიზაციების ხედვებს, მთავარ სტრატეგიასა და არსებულ მიდგომებს კონფლიქტებთან მიმართებაში. კვლევის განხორციელებისთვის გამოვიყენებთ თვისებრივ მეთოდს. კერძოდ, დოკუმენტების ანალიზს. დოკუმენტების ანალიზის ფარგლებში შევისწავლით ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ არსებულ საარქივო მასალებს, ნაშრომებსა და დოკუმენტებს.

ქალთა ორგანიზაციების თვალით დანახული ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაჭრის გზები

ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტმა თავისი არსებობის მანძილზე სხვადასხვა ეტაპი გაიარა. არსებული კონფლიქტის დაწყებიდან 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე და რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებამდე სამოქალაქო და სოციალურ საკითხებზე უფრო მეტად იყო შესაძლებელი ურთიერთობების დამყარება[7, გვ.6]. აქედან გამომდინარე, ქალთა ორგანიზაციები ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ მშვიდობის დამყარებისთვის და სახალხო დიპლომატიის გზით მოეხერხებინათ ნდობისა და ძველი ურთიერთობების აღდგენა-განმტკიცება.

ქალთა ორგანიზაციებმა გარკვეული როლი შეასრულეს პოსტკონფლიქტური სიტუაციის ნეგატიური პროცესების დაძლევასა და ადგილზე დარჩენილი მოსახლეობის მხარდაჭერაში [6, გვ.2]. გარდა ამისა, ისინი მეტ-ნაკლებად ორიენტირებულნი არიან შემდეგ კონცეფციებზე:

- ქართულ-აფხაზური კონფლიქტის იდენტიფიცირებისა და ლეგიტიმაციის ხელშეწყობა, რაც განაპირობებს სახელისუფლებო სტრუქტურებისა და დაპირისპირებული მხარეების მიერ პრობლემის აღიარებასა და მისი მოგვარების აუცილებლობის შეცნობას [5, გვ.138].
- კონფლიქტის ინსტიტუციონალიზაციის პროცესის განხორციელება ანუ გარკვეული ნორმებისა და რეგლამენტის შემუშავება, რაც უზრუნველყოფს მხარეთა ცივილიზებულ ქცევას [4, გვ.17].
- სახალხო დიპლომატიით კონფლიქტამდე არსებული ურთიერთობების შენარჩუნება.
- საქართველოსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე სოციალური პრობლემების მოგვარება.
- არსებული ურთიერთობების ფარგლებში აფხაზეთში მცხოვრებთა ჯანდაცვის პროგრამებში ჩართულობა და ხელშეწყობა.
- მედია საშუალებებით ობიექტური ინფორმირებულობა ყოფით და სოციალურ საკითხებზე.
- დღევანდელ ვითარებაში ონ-ლაინ კავშირების დამყარება, რომელიც უწყვეტ ურთიერთობებს განავითარებს. იმ ვითარებაში, რომელშიც მსოფლიო Covid19-ის გამო აღმოჩნდა, აფხაზეთში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეებისთვის ჯანდაცვის კუთხით პრობლემების იდენტიფიცირება და გაუარესებული სოციალური მდგომარეობის პირობებში სახელმწიფო პროგრამებში ჩართულობა.
- სამომავლოდ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკების ფორმატში ქალთა რაოდენობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს კონფლიქტის დარეგულირებასა და გადაწყვეტილების მიღებას ნაკლებად ემოციურ ფონზე.
- სამომავლო ურთიერთობებში ქალი ლიდერების (რეგიონის კულტურული თავისებურებებიდან და სოციალური როლიდან გამომდინარე) მომზადება დიალოგის პროცესის წარმართვისათვის,

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

რაც მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარების ხელშეწყობის დასაბამი გახდება.

• საზოგადოების არსებული დემოკრატიული ღირებულებების ქმედებაში მოყვანა, რაც პოლიტიკური კულტურის ამაღლებით არის შესაძლებელი და განაპირობებს სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნას [8, გვ.142]. დემოკრატიული ღირებულებების მქონე სახელმწიფოს კი შეუძლია პრიორიტეტების გადაადგილება და გარკვეულ დათმობაზე წასვლა მშვიდობისა და ერთსულოვნებისათვის. დემოკრატიული ხარისხის საზომად მოგვევლინება აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის კონფლიქტების მოგვარების მაჩვენებელი.

ქალთა ორგანიზაციების ციკლი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან მიმართებაში

ბოლო წლებში გაეროს მისიის ვადის გასვლამ, საერთაშორისო ოგანიზაციების მიერ აფხაზეთის ტერიტორიის დატოვებამ, სეპარატისტული ხელისუფლებისა და საზოგადოების გარკვეული ნაწილის ნეგატიურმა დამოკიდებულებამ განაპირობა არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენის სფეროების გარღვევა [3, გვ.10]. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე 300-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია ფიქსირდებოდა, დღეისათვის დონორისგან დაფინანსებული ორგანიზაციების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა [9, გვ.1]. თუმცა, მათ შორის არსებულმა ქალთა ორგანიზაციებმა გარკვეული როლი ითამაშეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში:

ლიდერობს ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტის დარეგულირებისათვის გაწეული დახმარების მიხედვით სხვა ქალთა ორგანიზაციებს შორის **გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)**.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ შემოღებული რეზოლუციები ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ არ ატარებს სავალდებულო ხასიათს და არც იურიდიულ ძალას ფლობს, მაგრამ ის აქცენტირებულია კონფლიქტში და მის შემდგომ პერიოდში ქალთა უფლებების დაცვისკენ და მოლაპარაკებებში მათი აქტიური ჩართვისკენ [2, გვ.4].

გაეროს ქალთა ორგანიზაცია დიდი ბრიტანეთის მთავრობის კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდთან თანამშრომლობის საფუძველზე ცდილობდა ქალთა ეფექტურობის გაზრდას მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებაში [10, გვ.2]. რადგან კავკასიური კონფლიქტების მოგვარება ძირითადად მამაკაცებისგანაა მონოპოლიზებული, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიზნების დღის წესრიგში იდგა ისეთი ლიდერი ქალების გადამზადება, რომლებიც მომავალში მოლაპარაკების პროცესში მნიშვნელოვან როლს ითამაშებდნენ.

ასევე, გაეროს ქალთა ორგანიზაცია თანამშრომლობდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისთან, რათა ქალთა ორგანიზაციების საქმიანობა მეტად ორგანული და ნაყოფიერი გამხდარიყო. მათი ინიციატივითა და მხარდაჭერით ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მონაწილეებსა და სამოქალაქო სექტორს შორის ინტენსიური შეხვედრები იმართებოდა. ისინი მიზანმიმართულად ცდილობდნენ ჟენევის ფორმატში მონაწილე ქართული შემადგენლობის გაზრდას ქალებით.

ასევე **„გაეროს ქალთა ორგანიზაციის“, „ფონდი ტასოს“ და „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“** ინიციატივით შეიქმნა პროექტი „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისთვის საქართველოში“. პროექტი აქცენტირებული იყო კონფლიქტით დაზარალებული ქალების დახმარებასა და მათ საზოგადოებაში ინტეგრირებაზე.

„აფხაზ ქალთა ასოციაცია“ - მათი ინიციატივა იყო ჟენევის ფორმატში ქალთა გააქტიურება, რადგან ისინი სამომავლოდ უზრუნველყოფდნენ უსაფრთხო და სტაბილურ გარემოს [15, გვ.3].

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ – ალა გამახარიას ფონდმა „სოხუმმა“ კონფლიქტამდე არსებული ურთიერთობების შენარჩუნების მიზნით შეიმუშავა პროექტი, რომელიც კონფლიქტის მოგვარებაზე იყო მორგებული. პროექტი მიზნად ისახავდა: ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოსაგვარებლად არსებული მიდგომების გააზრებას და ახალი სტრატეგიების დასახვას. პროექტის მთავარ რეკომენდაციას დროებითი შეთანხმებაზე დაზავება წარმოადგენდა. ალა გამახარიას ინიციატივა იყო პარლამენტში ქალთა რაოდენობის გაზრდაც, რაც გამოიწვევდა კონფლიქტის დესტაბილიზაციას [14, გვ.2].

კავკასიის ქალთა კვლევითი და საკონსულტაციო ქსელი - ეს ქსელი ემსახურება კონფლიქტების მოგვარებას. მისი წარმომადგენელია ნინო ციხისთავი-ხუციშვილი, რომელმაც შეადგინა დოკუმენტი „5 ნაბიჯი კონფლიქტების მოგვარებისკენ“. ამ დოკუმენტში განხილულია სახელმწიფო სამშვიდობო ფონდის შექმნის აუცილებლობა და სახელმწიფო ბიუჯეტში სპეციალური სახსრების ყოველწლიურად გამოყოფის საჭიროება სამშვიდობო პროგრამების უზრუნველსაყოფად.

დევნილ **ქალთა ასოციაცია „თანხმობა“** - იგი იცავს იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირების უფლებებს შიდა და საერთაშორისო არენაზე. დევნილ ქალთა ასოციაცია „თანხმობამ“ და გერმანულმა არასამთავრობო ორგანიზაცია „არბაითერ სამარიტერ ბუნდმა“ ერთობლივად შექმნეს პროექტი „დევნილი და მასპინძელი თემების გაძლიერება“.

გალის ქალთა კავშირი - წლების მანძილზე მრავალი ადგილობრივი მცხოვრები დაასაქმა და შესაბამისად, ბევრ ოჯახს გაუჩინა შემოსავლის წყარო. თუმცა, ბოლო წლებში არასამთავრობო ორგანიზაციებმა გავლენა დაკარგეს, რაც მათ მიერ მხოლოდ საგანმანათლებლო ფუნქციის რეალიზაციაში გამოიხატა (უცხო ენის, ხელსაქმის, კომპიუტერის კურსები).

საზოგადოებრივი ორგანიზაცია **„ქალები პოლიტიკაში“** შეიქმნა აფხაზეთში. მათი საქმიანობა მიზანმიმართულად ცდილობდა ქალების პოლიტიკაში ჩართვის გააქტიურებას, რაც მათი აზრით გარკვეულწილად ხელს შეუწყობდა აფხაზური პოლიტიკის დამოუკიდებლობას.

დასკვნა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კავკასიაში გააქტიურდა ეთნიკური და პოლიტიკური დაპირისპირების კერები. მათ რიცხვს განეკუთვნება ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, რომელიც დღემდე მოუგვარებელ და „გაყინულ“ დაპირისპირებად მოიაზრება. საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებულმა კონფლიქტებმა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა გამოიწვია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ამან განსაზღვრა ქვეყნის დამოუკიდებლობის ხარისხი, გახანგრძლივა ადამიანების დევნილობაში ყოფნა,- შექმნა უსაფრთხოებისა და ეკონომიკური პრობლემები. აქედან გამომდინარე, წლების მანძილზე არაერთი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაცია ცდილობდა კონფლიქტის დარეგულირების ხელშეწყობას და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. თუმცა, მათი ქმედება არ იყო სრულყოფილად დამყარებული დემოკრატიულ ღირებულებებსა და ტოლერანტულ ცნობიერებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა ორგანიზაციებს კონფლიქტის მოგვარების განსხვავებული ხედვა გააჩნიათ, მათი მცდელობა ძირითადად, იდეების და პროექტების დონეზე რჩება და მხოლოდ მინიმალურ სოციალურ დახმარებებსა და ჯანდაცვის პროგრამებში ჩართვაზე ფოკუსირდება. თუმცა, ქალთა ორგანიზაციები აქცენტირებულნი არიან ქალთა გადასამზადებელ ღონისძიებებზე, რაც სამომავლოდ ემოციური ფონის გარდასახვას და მშვიდობიანი ურთიერთობების განახლებას გვპირდება.

ლიტერატურა:

1. არტი რ., ჯერვისი რ., საერთაშორისო პოლიტიკა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2011, გვ.448

2. ბასტიკი მ., ტორესი დ., სახელმძღვანელო ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციების განხორციელება უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესში, Geneva centre for the democratic control of armed forces, თბ., 2010, გვ.4

3. იზორია ლ., აფხაზური სეპარატისტული მოძრაობა (1945-1993წწ.), თბ., 2015, გვ.10

4. კიკნაძე თ., ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები და მათი გადაჭრის პერსპექტივები, ჟურ. “პოლიტოლოგოსი”, თბ., 2019, გვ. 17.

5. მალაშხია შ., კონფლიქტების ანატომია, გამომცემლობა სტამბა “ფორმა”, თბ., 2011, გვ.138

6. სახალხო სამშვიდობო პროცესის პერსპექტივები: ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, safeworld, თბ., 2012, გვ.2

7. სურგულაძე ბ., საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი 2008, 2012-2016 წლების პარტიათა პროგრამებში, უნივერსიტეტის აკლია ტექსტი, წელი, გამომცემლობა, გვერდი

8. ხუნდაძე ც., ქართული პოლიტიკური კულტურის ძირითადი მახასიათებლები, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2016, გვ.142

9. http://abkhazia.gov.ge/uploads/analytic/15543620961220308777.pdf - უკანასკნელად გადამოწმდა - 06.30.2020

10. https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2020/12/women-peace-and-security - უკანასკნელად გადამოწმდა - 05.10.2020

11. Lapidus, Gail. Women in Soviet Society Equality, Development, and Social Change. University of California Press, Berkeley, 1978, p.28

12. Lee, Stephen. Stalin and the Soviet Union. Routledge, London, 1999, p.67.

13. Findings of Sociological Surveys, Prospects of Conflict Resolution in the South Caucasus, Friedrich Ebert Foundation, Tbilisi, 2002, p.5

14. Гамахария А., “Грузия: Выборы без женского выбора,” Тб. , 2012. стр.2. http://www.equalpowerlastingpeace.org/ru/gruziya-vyiboryi-bez-zhenskogo-vyibora/ - უკანასკნელად გადამოწმ - 25.09.2020

15. Кварчелия Л., «Женевский процесс и роль женщин в политике,» Тбю, 2016. стр.3. http://abkhazinform.com/tochka-zreniya/item/2698-zhenevskij-protsess-i-rol-zhenshchin-v-politike - უკანასკნელად გადამოწმდა - 29.03.2019.

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

FINANCIAL RATIOS AND KEY PERFORMANCE INDICATORS FOR HOTEL OPERATIONS

Salome Akhvlediani
Master of Business Administration
E-mail: salome_akhvlediani@yahoo.com
Tel: 571 10 06 00

ABSTRACT

The tourism industry is one of the fastest growing industries in the world. The increase in tourist flow, in turn, has increased the demand for accommodation facilities, in particular hotels. In the face of increasing competition, it has become necessary to develop certain standards and management methods, both internationally and locally.

The article discusses the role of tourism, in particular, the hotel industry in the Georgian economy, the importance of calculating and analyzing key performance indicators (KPIs) of key indicators of business process efficiency and effectiveness.

It should be noted that the management and financial accounting of the hotel is essentially different from other areas, so it is unacceptable to mechanically transfer the management model, financial indicators and ratios from other areas to the hotel sector.

It is necessary to monitor progress, in accordance with the existing strategy, and to introduce key performance indicators (KPIs) to measure the results of operations, which measure the financial and operational results achieved by the hotel.

Keywords: Key Performance Indicators for Hotel, Financial Ratios, Key Hotel Ratios.

სასტუმროს საქმიანობის შესაფასებელი ფინანსური კოეფიციენტები და შესრულების ძირითადი მაჩვენებლები (KPI[1])

სალომე ახვლედიანი
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
ელ-ფოსტა: salome_akhvlediani@yhoo.com
ტელ: 571100600

აბსტრაქტი

ტურიზმის ინდუსტრია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდი ინდუსტრიაა. ტურისტული ნაკადის ზრდამ, თავის მხრივ, მოთხოვნა გაზარდა განთავსების ობიექტებზე, კერძოდ, სასტუმროებზე. მზარდი კონკურენციის პირობებში, აუცილებელი გახდა გარკვეული სტანდარტებისა და მართვის მეთოდების შემუშავება, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე.

სტატიაში განხილულია ტურიზმის, კერძოდ, სასტუმრო ინდუსტრიის როლი საქართველოს ეკონომიკაში, ბიზნეს-პროცესების ეფექტურობისა და ეფექტიანობის ძირითადი ინდიკატორების შესრულების ძირითადი მაჩვენებლების (KPI) გაანგარიშებისა და ანალიზის მნიშვნელობა.

აღსანიშნავია, რომ სასტუმროს მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვა არსებითად განსხვავებულია სხვა სფეროებისგან, ამიტომ მიუღებელია სასტუმრო სფეროში სხვა სფეროებიდან მენეჯმენტის მოდელის, ფინანსური მაჩვენებლებისა და კოეფიციენტების მექანიკური გადმოტანა.

აუცილებელია პროგრესზე დაკვირვება, არსებული სტრატეგიის შესაბამისად და საქმიანობის შედეგების შესაფასებელი შესრულების ძირითადი მაჩვენებლების (KPI) შემოღება, რომლითაც იზომება სასტუმროს საქმიანობით მიღწეული ფინანსური და საოპერაციო შედეგები.

საკვანძო სიტყვები: შესრულების ძირითადი მაჩვენებლები, სასტუმროს ძირითადი მაჩვენებლები, ფინანსური კოეფიციენტები.

1 **Key Performance Indicators - შესრულების ძირითადი მაჩვენებლები**

შესავალი

ტურიზმს წამყვანი როლი ეკისრება სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებაში, მთლიანი შიდა პროდუქტისა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაში. Covid-19-ით გამოწვეულ პანდემიამდე პერიოდში მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია ერთ-ერთი მსხვილი და სწრაფად მზარდი ინდუსტრია იყო მთელი მსოფლიოს მასშტაბით, თუმცა პანდემიამ მსოფლიო ტურიზმი დიდი კრიზისის წინაშე დააყენა.

მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, 2019 წელს ამ დარგის მთლიანმა კონტრიბუციამ მსოფლიოს მშპ-ში 8.9 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა და ხელი შეუწყო 330 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას. აღნიშნული სექტორის მთლიანი წვლილი (პირდაპირი და გვერდითი ეფექტები) მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ-ს 10.3%, ერთი ადგილი ყოველი 10 სამუშაო ადგილიდან, 4.3% მთლიან განხორციელებულ ინვესტიციებსა და 6.8% მსოფლიოს მთლიან ექსპორტში. **[17]**

მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე საქართველო საკუთარი ნიშის დაჭერას ცდილობს. საერთაშორისო და შიდა ტურიზმი დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში. უცხოელი ვიზიტორების დანახარჯებს ქვეყანაში დიდი გავლენა აქვს საქართველოს საგადამხდელო ბალანსზე. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2019 წლის მონაცემებით, დაახლოებით, 71% საქართველოს სერვისის ექსპორტის შემოსავლებიდან ტურიზმზე მოდის (აქტივების მხარეს საგადამხდელო ბალანსი აღწერს საქართველოს შემოსავალს უცხოური ვიზიტორების მოგზაურობიდან საქართველოში, ხოლო ვალდებულების მხარეს აჩვენებს საქართველოს რეზიდენტების დანახარჯებს საზღვარგარეთ ყოფნის დროს). საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავლები მზარდი ტენდეციით გამოირჩეოდა, შედეგად, 2019 წელს მისმა მოცულობამ 3.3 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა, მშპ-ში წილმა კი 8.1%-ს მიაღწია. აღნიშნული მაჩვენებლების მიღწევა ტურიზმის სფეროში დამატებული ღირებულების 511 მილიონი ლარით ზრდის შედეგად გახდა შესაძლებელი. **[8]**

ძირითადი ტექსტი

მზარდი საერთაშორისო ტურისტული ნაკადი ზრდის მოთხოვნას სასტუმროს მომსახურებაზე და შესაბამისად, სტიმულირდება ინვესტირება ამ სფეროში. 2019 წელს ტურიზმის სექტორში დამატებული ღირებულება ძირითადად შეიქმნა განთავსების საშუალებებში (იხ. ცხრილი 1).

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების საკითხებს იკვლევს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა: გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO), მსოფლიო ტურიზმისა და მოგზა-

ცხრილი 1. ტურიზმის ეკონომიკური მაჩვენებლები 2015-2019 წწ

ტურიზმის წილი მშპ-ში (მლნ ლარი)	2015	2016	2017	2018	2019
სულ	1,956	1,968	2,597	3,016	3,630
მათ შორის:	↓	↓	↓	↓	↓
სახმელეთო ტრანსპორტი და ტრანსპორტირება მილსადენებით; წყლის ტრანსპორტი	823	798	977	987	1,099
საჰაერო ტრანსპორტი	36	33	74	109	154
განთავსება	606	594	861	1,185	1,560
საკვებით და სასმელებით მომსახურება	417	460	576	615	664
ტურისტული სააგენტოები, ტურ-ოპერატორები და სხვა დაჯავშნის მომსახურება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები	74	82	110	120	154
საქართველოს მშპ საბაზისო ფასებში	**30,197**	**31,556**	**35,348**	**38,779**	**43,138**
ტურიზმის წილი მშპ-ში	6.5%	6.2%	7.3%	7.8%	8.4%

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ეკონომიკური მაჩვენებლები (ტურიზმის წილი მშპ-ში) [8]

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

ურობათა საბჭო (WTTC). ისინი აქვეყნებენ სხვადასხვა სახის ანალიტიკურ ნაშრომებს სასტუმრო ინდუსტრიის თანამედროვე მდგომარეობასთან დაკავშირებით. სასტუმროთა წარმატებული საქმიანობა განისაზღვრება სხვადასხვა მაჩვენებლებით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია სასტუმროთა დატვირთვის კოეფიციენტი, რომელმაც 2019 წელს საქართველოს სასტუმროებისთვის 56.7% შეადგინა. **[8]**

დღეს სასტუმრო ინდუსტრიისთვის აქტუალურია მართვის ეფექტიანობის ამაღლების საკითხები, ამისთვის აუცილებელია გარკვეული პარამეტრებისა და სახელმძღვანელო პრინციპების არსებობა. კოეფიციენტები არის ის ინსტრუმენტი, რომელიც საქმიანობის შედეგების ანალიზში ეხმარება მენეჯმენტს. სასტუმრო ბიზნესის წარმატებაზე მეტყველებს სასტუმროს ინდიკატორების (Occupancy Rate - დატვირთულობის კოეფიციენტი, Average Daily Rate (ADR) - საშუალო დღიური ფასი, Revenue Per Available Room (RevPar) - შემოსავალი ერთ ოთახზე, Length of Stay (LOS) - ნომერში განთავსების საშუალო ხანგრძლივობა, Gross Operating Profit Per Available Room (GOPPAR) - საოპერაციო მოგება თითოეულ ხელმისაწვდომ ნომერზე) მაღალი მაჩვენებლები. აღნიშნული ინდიკატორები ითვლება სხვადასხვა რაოდენობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით. **[16]**

RevPar არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი. ის წარმოადგენს ინდიკატორს, რომელიც განსაზღვრავს, რამდენად შეუძლია სასტუმროს მენეჯმენტს გაზარდოს ფასის საშუალო განაკვეთი და მიაღწიოს დატვირთვის მაღალ მოცულობას შემოსავლის მაქსიმიზაციის მიზნით; **[4, გვ.18]**

LOS აჩვენებს სტუმრის სასტუმროში დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობას;

GOPPAR წარმოადგენს საშუალო საოპერაციო მოგებას თითოეულ ნომერზე;

Occupancy Rate დატვირთულობის მაჩვენებელია, რომელიც ასახავს დაკავებული ნომრების წილს ხელმისაწვდომი ნომრების ერთობლიობაში;

ADR საშუალო დღიური ფასია, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ვალუტაში.

ბიზნესის მესაკუთრეები ხშირად მეტ ყურადღებას უთმობენ ბიზნესის ოპერაციებს, ამიტომ თვალთახედვიდან ეპარებათ უკვე არსებული ბიზნეს-პროცესების ეფექტურობისა და ეფექტიანობის ძირითადი ინდიკატორების KPI გაანგარიშებისა და ანალიზის მნიშვნელობა.

KPI შეიძლება გამოყენებულ იქნას მთელი კომპანიის, მისი ინდივიდუალური განყოფილებებისა და კონკრეტული თანამშრომლების მუშაობის შეფასებლად. **[4]** KPI სისტემის გამოყენებით შესაძლებელია არა მხოლოდ შესრულებული ქმედებების ეფექტურობის შემოწმება და შეფასება, არამედ ეფექტური მართვის სისტემების შექმნა.

ეკონომისტების ნაწილი საფინანსო-ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემას ხუთ ჯგუფად ჰყოფს (საბრემენიემი, სთივენ ბრეჯი და სხვ). **[2]** თითოეული ეყრდნობა მოგება-ზარალს, ბალანსსა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას. სხვადასხვა სასტუმროში სხვადასხვა ტიპის კლასიფიცირება გამოიყენება, სტატიაში წარმოდგენილი კლასიფიკაცია ეყრდნობა როგორც ზოგად საფინანსო-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, ასევე სასტუმროს ინდუსტრიაში არსებულ მაჩვენებლებს (ჰეილსისა

1. ლიკვიდურობის კოეფიციენტები ყველაზე ფუნდამენტური მნიშვნელობის კოეფიციენტების ჯგუფია, ვინაიდან ისინი ზომავენ კომპანიის უნარს დარჩეს ბიზნესში;

ლიკვიდურობის კოეფიციენტები (Liquidity Ratios)	გამოთვლა
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	ფულადი საშუალებები/მიმდინარე ვალდებულებები
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio)	(ფულადი საშუალებები+მოკლევადიანი მოთხოვნები)/მიმდინარე ვალდებულებები
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Current Ratio)	მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები
ფულადი უსაფრთხოების ინტერვალი	(ფული+ფასიანი ქაღალდები+დებიტორული დავალიანება)/საშუალო დღიური ხარჯი
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	(საოპერაცო საქმიანობიდან მიღებული ფული-მოგების გადასახადი)/საპროცენტო ხარჯი
საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირების კოეფიციენტი	ფულადი საშუალებები/საკუთარი საბრუნავი სახსრები

წყარო: [2, გვ.49]

და სტურმანის ნაშრომები). **[3, 7]**

2. საქმიანი აქტიურობის კოეფიციენტები (Activity ratios) წარმოადგენენ მენეჯმენტის მართვის ხარისხის ძლიერ ინდიკატორებს. ისინი აჩვენებენ, რამდენად კარგად იყენებს მენეჯმენტი კომპანიის რესურსებს;

საქმიანი აქტიურობის კოეფიციენტები (Activity Ratios)	გამოთვლა
დატვირთულობა %	დაკავებული ოთახები/ოთახების ჯამი
დატვირთულობა ხელმისაწვდომ ოთახებზე %	დაკავებული ოთახები/ხელმისაწვდომი ოთახები
სტუმრის საშუალო რაოდენობა ერთ ოთახზე	სტუმრების რაოდენობა/დაკავებული ოთახები
დასაქმებულთა ბრუნვა	შეწყვეტილი კონტრაქტის რაოდენობა/ სრულ განაკვეთზე დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა
რესტორნის ადგილების დღიური ბრუნვა	რესტორნის სტუმრების დღიური რაოდენობა/ ადგილების რაოდენობა
საკვები მარაგის ბრუნვის რიცხვი	საკვების თვითღირებულება/საკვები მარაგის საშუალო ნაშთი
დებიტორული დავალიანების ბრუნვის რიცხვი	ამონაგები რეალიზაციიდან/საშუალო დებიტორული დავალიანება
კრედიტორული დავალიანების ბრუნვის რიცხვი	შესყიდვები/მოწოდებიდან ვალდებულებების საშუალო ნაშთი

წყარო: [4, გვ.162], [7, გვ.279]

3. მომგებიანობის შეფასების მაჩვენებლები (Profitability ratios) ახასიათებენ გამოყენებული რესურსების ეფექტიანობის დონეს;

მომგებიანობის შეფასების კოეფიციენტები (Profitability Ratios)	გამოთვლა
საოპერაციო მოგების ნორმა (მარჟა) %	მოგება რეალიზაციიდან/ამონაგები რეალიზაციიდან
რენტაბელობა (მომგებიანობა) %	მოგება დაბეგვრამდე/ამონაგები რეალიზაციიდან
ფასნამატი %	მოგება რეალიზაციიდან/რეალიზაციის სრული თვითღირებულება
EBITDA	მოგება საპროცენტო, საგადასახადო, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯამდე
EBIT	მოგება პროცენტისა და გადასახადის გადახდამდე
მოგება ერთ დასაქმებულზე	მოგება დაბეგვრამდე/დასაქმებულთა რიცხვი
საკუთარი კაპიტალის გამოსყიდვის პერიოდი	საკუთარი კაპიტალი/მოგება დაბეგვრის შემდეგ
კაპიტალის უკუგება (ROCE) %	მოგება პროცენტისა და გადასახადის გადახდამდე (EBIT)/(საკუთარი კაპიტალი+გრძელვადიანი ვალდებულებები)
საკუთარი კაპიტალის მომგებიანობა (ROE) %	მოგება დაბეგვრის შემდეგ/საკუთარი კაპიტალი

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

აქტივების მომგებიანობა (ROA)	მოგება დაბეგვრამდე/აქტივების ჯამი
უკუგება ინვესტიციაზე (ROI)	წლიური მოგება/გამოყენებული კაპიტალი (გამოყენებული კაპიტალი=ძირითადი საშუალებები+მარაგები)
შემოსავალი ერთ აქციაზე	(წმინდა მოგება-პრივილიგირებული აქციების დივიდენდი)/ჩვეულებრივი აქციების რიცხვი
აქციის მომგებიანობის კოეფიციენტი %	შემოსავალი ერთ აქციაზე/ ერთი აქციის საბაზრო ფასი

წყარო: [2, გვ.51-53], [4, გვ. 163]

4. გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები (Solvency Ratios) – ვალდებულებების და პროცენტების დაფარვის კოეფიციენტები;

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები (Solvency Ratios)	გამოთვლა
საკუთარი კაპიტალით ვალდებულების დაფარვის კოეფიციენტი (Debt to Equity Ratio)	მთლიანი ვალდებულებები/ მთლიანი საკუთარი კაპიტალი
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	საოპერაციო მოგება/საპროცენტო ხარჯი
დივიდენდის დაფარვის კოეფიციენტი %	წმინდა მოგება/დივიდენდი
გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი	მთლიანი აქტივები/მთლიანი ვალდებულებები

წყარო: [2, გვ.50-51]

5. საოპერაციო საქმიანობის შედეგების შესაფასებელი კოეფიციენტები.

საოპერაციო საქმიანობის შედეგების შესაფასებელი კოეფიციენტები (Operating Ratios)	გამოთვლა
ოთახში განთავსების საშუალო დღიური განაკვეთი (ADR)	ოთახების ჯამური შემოსავალი/ გაყიდული ოთახების ჯამი
შემოსავალი ერთ ოთახზე (RevPar – Revenue per Available Room)	ოთახების ჯამური შემოსავალი/ ხელმისაწვდომი ოთახების რაოდენობა
ოთახის შემოსავალი ერთ სტუმარზე (REVPAC)	ოთახების ჯამური შემოსავალი/ სტუმრების რაოდენობა
საკვების საშუალო ჩეკი	საკვების რეალიზაციიდან მიღებული ჯამური შემოსავალი/მომხმარებლის ჯამი
საკვების რეალიზაციიდან მიღებული მოგების მაჩვენებელი (Food Profit %)	საკვების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/საკვების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი
სასმელის რეალიზაციიდან მიღებული მოგების მაჩვენებელი (Beverage Profit %)	სასმელის რეალიზაციიდან მიღებული მოგება/სასმელის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი
საკვების თვითღირებულების მაჩვენებელი (Food Cost %)	რეალიზებული საკვების თვითღირებულება/ საკვების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი
სასმელის თვითღირებულების მაჩვენებელი (Beverage Cost %)	რეალიზებული სასმელის თვითღირებულება/სასმელის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი
დეპარტამენტის სახელფასო ხარჯის მაჩვენებელი %	დეპარტამენტის სახელფასო ხარჯი/ დეპარტამენტის შემოსავალი

წყარო: [3, გვ.123], [4, გვ. 163], [16]

კოეფიციენტების ანალიზი ეხმარება მენეჯმენტს, მიიღოს სწორი, დროული და მომგებიანი გადაწყვეტილებები, მოამზადოს რეალურ მაჩვენებლებზე დაყრდნობილი ბიუჯეტი, განსაზღვროს რენტაბელობის მაჩვენებლები.

KPI სისტემის გამოყენებით შესაძლებელია არა მხოლოდ შესრულებული ქმედებების ეფექტურობის შემოწმება და შეფასება, არამედ ეფექტური მართვის სისტემების შექმნა. ამასთანავე, დაგეგმვის პროცესის გადამწყვეტ ელემენტს წარმოადგენს ეფექტურობის ძირითადი ინდიკატორების შექმნა, რათა მოხდეს საწარმოს შიგნით განხორციელებული ქმედებების შეჯამება და ამ ქმედებების შედეგების გაზომვა/შეფასება. KPI გამოიყენება სტრატეგიული მიზნებისთვის, ასევე სხვა წლიური გეგმებისთვის. **[16]** ზოგიერთი KPI შეიძლება იყოს ფაქტიური ბიუჯეტთან შედარებით, სხვები შეიძლება იყოს საწარმოს საკუთარი სტანდარტები. KPI შეიძლება გამომდინარეობდეს გარე წყაროებიდანაც, როგორიცაა, სპეციალიზირებული კვლევითი ჯგუფების მიერ ან საწარმოთა მხარდამჭერი ქსელებიდან შემოთავაზებული შედარებითი ფინანსური ანალიზი. **[13]**

სასტუმროს პოტენციალის ამაღლების ძირითად მიმართულებებში შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: არსებული სანომრე ფონდის გამოყენების გაუმჯობესება (სასტუმროს დატვირთვის სეზონური რყევების დაგლუვების და მისი მართვის სტრუქტურის შეცვლის საფუძველზე); ყველა შემადგენელი პოტენციალის რეზერვების ანალიზი და მათი ოპტიმიზაცია; საწარმოს მენეჯმენტის მთლიანად და ყველა მისი შემადგენლების სრულყოფა; სასტუმრო საწარმოს მიერ შემოთავაზებული საქონლისა და მომსახურების დივერსიფიკაციის დონის ამაღლება, ინოვაციებისა და საკუთარ გამოცდილებაზე დაფუძნებული სტანდარტების მუდმივი დანერგვა.

დასკვნა

ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ რომ ტურიზმი, როგორც მენეჯმენტის ობიექტი, ფრიად სპეციფიკურია და ტურისტული ბიზნესის, კერძოდ, სასტუმრო ბიზნესის ეფექტიანობა და რენტაბელობა ბევრად არის დამოკიდებული სასტუმროს მენეჯმენტზე. ერთი შეხედვით ჩანს, რომ სასტუმროს მენეჯმენტი, ისევე, როგორც ნებისმიერი სფეროს საწარმოს მენეჯმენტი, ემყარება ერთსა და იმავე ბაზას, თუმცა მიუღებელია სასტუმრო სფეროში სხვა სფეროებიდან მენეჯმენტის მოდელის, ფინანსური მაჩვენებლებისა და კოეფიციენტების მექანიკური გადმოტანა, ვინაიდან სასტუმროს მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვა არსებითად განსხვავებულია სხვა სფეროებისგან.

აუცილებელია პროგრესზე დაკვირვება არსებული სტრატეგიის შესაბამისად და საქმიანობის შედეგების შესაფასებელი ძირითადი მაჩვენებლების (KPI) შემოღება, რომლითაც იზომება საქმიანობით მიღწეული ფინანსური და საოპერაციო შედეგები. აღნიშნული KPI მაჩვენებლები შესაბამისობაში უნდა იყოს არსებულ სტრატეგიასთან, უზრუნველყოს დასახული მიზნების მიღწევა და მდგრადი ზრდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კაციტაძე, ნ., სასტუმრო ბაზრის განვითარების ტენდენციები ტურიზმის ახალი მიმართულებების ფონზე. სამეცნიერო სტატია, თსუ, 2018.

2. ჭილაძე, ი., ფინანსური ანალიზი, მესამე გამოცემა, თბ., 2018.

3. Hayes, D., Human Resources Management in the Hospitality Industry. Ninemeier, "John Wiley & Sons, Inc", Hoboken, New Jersey, 2009.

4. Hales, J., Accounting and Financial Analysis in the Hospitality Industry. Butterworth-Heinemann Hospitality Management Series, 2011.

5. Karchava, L. and Kutaladze, E., 2020. Tourism as one of the priority directions in Georgia/ტურიზმი როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება საქართველოში. The New Economist, 15(2, 2020), pp.1-1.

6. Paper F9 Financial Management, ACCA, 2019.

7. Sturman, M., Corgel, J., The Cornell School of Hotel Administration on Hospitality, "John Wiley & Sons, Inc", New Jersey, 2011.

8. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
https://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/ - (ბოლოს ნანახია 12.03.2021).

9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp - (ბოლოს ნანახია 12.03.2021).

10. ფინანსური ანგარიშგების პორტალი

https://reportal.ge/Forms.aspx?payerCode=431176817&SystemID=0&show=1&np=1&cid=I&prd= - (ბოლოს ნანახია 12.03.2021).

11. Hospitality Financial Leadership – Financial Statement Analysis and Your Hotel Career

https://hotelfinancialcoach.com/hospitality-financial-leadership-financial-statement-analysis-and-your-hotel-career - (ბოლოს ნანახია 12.03.2021).

12. Hospitality Management Corporation

http://hospitalitymgt.com/site/financial-reporting - (ბოლოს ნანახია 12.03.2021).

13. KPI-ის აღსრულება, KPI – ების მაგალითები და მათი განხორციელება

https://gree-conditions.ru/ka/ispolnenie-kpi-primery-kpi-i-sposobov-ih-vnedreniya-opredelenie-klyuchevyh/ - (ბოლოს ნანახია 12.03.2021).

14. Tatjana Stanovčić, Ilija Moric, Analysis of Financial Indicators of Montenegrin Hotel Industry, Management International Conference, Slovenia, 28-30 May, 2015.

http://www.fm-kp.si/zalozba/ISBN/978-961-266-181-6/156.pdf - (ბოლოს ნანახია 12.03.2021).

15. TIFCO-Hotel Group

https://www.tifcohotels.ie/financial-management/reporting.417.html - (ბოლოს ნანახია 12.03.2021).

16. Top Hospitality Key Performance Indicators

https://www.hotelminder.com/top-hospitality-key-performance-indicators - (ბოლოს ნანახია 12.03.2021).

17. World Travel&Tourism Council (WTTC)

https://wttc.org/Portals/0/Documents/Reports/2019/Security_and_Travel_Facilitation_Seamless_Travel_Journey_Situation_Report_Jun_2019.pdf?ver=2021-02-25-182806-487 – (ბოლოს ნანახია 12.03.2021).

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

„კაცი იყავ კაცური და იქ ილოცე, სადაც გინდა“

ყველა დროში დაფასებული პიროვნება, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა 85 წლისაა

ბატონი ნოდარის ცხოვრება და მოღვაწეობა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ორ პოლიტიკურ ეპოქას მოიცავს - საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებს. თუმცა, როგორც ცნობილ ლექსშია: **„კაცი იყავ კაცური და იქ ილოცე, სადაც გინდა“**. ასეა ბატონი ნოდარის შემთხვევაში - კაცური კაცის სახელითა და ღირსებით განვლო დღემდე ორივე ეპოქა. კაცობაზე, ადამიანობასა და ღირსებაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ბევრმა მიიღო მაღალი თანამდებობა, უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი და წოდება, მაგრამ არც ადამიანად გამოდგა და არც მეცნიერად.

აბრაამ ლინკოლნი ამბობს: **„თითქმის ყველა ადამიანს ძალუძს, გაუძლოს გაჭირვებას, მაგრამ თუ ადამიანის ხასიათის ნამდვილი გამოცნობა გსურს, მიეცი მას ძალაუფლება.“** ბატონმა ნოდარმა ეს გამოცდაც ჩააბარა.

მკითხველს მისი ბიოგრაფიით არ გადავღლით. მოკლედ ვიტყვით მხოლოდ: დაიბადა სოფელ ჭკადუაშში (ზუგდიდის რაიონი), 1936 წლის 10 მარტს. როგორც მიღებული იყო მისი ყმაწვილკაცობის პერიოდში, ნიჭიერი ახალგაზრდა სკოლის ასაკიდან ორგანიზაციულ სამუშაოებში ჩაება (ვგულისხმობთ კომკავშირს), შემდეგ კი პარტიული ხაზით გაუყვა კარიერულ გზას და სრულიად დამსახურებულად ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.

ნ. ჭითანავა 1962 წლიდან პარტიულ სამუშაოზეა: პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანი, ცეკას ინსტრუქტორი, ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი, აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი. 1974-1990 წლებში მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრად, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. 1991 წლიდან მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის მინისტრად.

სხვადასხვა დროს იყო ქალაქის, რაიონის (ორჯერ), ავტონომიური რესპუბლიკის, საქართ-

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

ველოს (ორჯერ), საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს (ორჯერ) დეპუტატი. 8 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ამავე საბჭოს მუდმივმოქმედ კომისიას. ბატონი ნოდარის, როგორც ხელმძღვანელის, გადაწყვეტილებები ყველა ეტაპზე საზოგადოებისა და ეროვნულ ინტერესებს ემყარებოდა.

ბოლო სამი ათწლეული ბატონმა ნოდარმა მეცნიერებას დაუთმო. ის გახლავთ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი. 1993-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. ის 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (მათ შორის 13 მონოგრაფიის) ავტორია. დღემდე ნაყოფიერად ეწევა სამეცნიერო მოღვაწეობას.

სამიოდე წლის წინ ბატონმა ნოდარმა გამოსცა წიგნი, მონოგრაფია, სახელწოდებით: **„საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია“**(2018). ფაქტობრივად, ეს მონოგრაფია საპროგრამო სახელმძღვანელოა ქვეყნის სამართავად. ავტორი, მისთვის ჩვეული დახვეწილი დელიკატურობით, გადმოგვცემს დღევანდელი ცხოვრების უმწვავეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებსა და მისი გადაჭრის მეცნიერულად არგუმენტირებულ გზებს. და ეს არც არის გასაკვირი, რადგან მასში გაერთიანებულია მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება და უმაღლესი ერუდიცია. ნაშრომი არ გახლავთ მხოლოდ ეკონომიკური მიმართულების. აქ გაანალიზებულია ეპოქალური გარდატეხის, გარდაქმნის მიზეზ-შედეგები და მოცემულია შესაბამისი დასკვნები.

წიგნის რედაქტორი, პროფესორი იური პაპასქუა, თავის კომენტირებში რედაქტორის გვერდზე წერს: **„მრავალი საყურადრებო ანალიზის შედეგებსა და მიგნებებს შორის, რომელთა მონიშვნისას მკითხველი მთელ წიგნს ააჭრელებს, განსაკუთრებით შთამბეჭდავია საბჭოთა კავშირის, ამ გიგანტი ზესახელმწიფოს რღვევის პროცესის, არაფორმალური ფორმირებების აღზევების, ფორმაციული ტრანსფორმაციის, დამოუკიდებლობის დეკლარირების წინარე პერიოდის, ეკონომიკური რეფორმების დაწყების, დაშვებული საბედისწერო შეცდომების, შემდგომ განვითარებული მოვლენების განმაპირობებელი მიზეზების ახსნა, შედეგების (ტენდენციების) წარმოდგენა და შეფასება. ობიექტურად, მოზომილი პირდაპირობით, თვითმხილველის სიცხადით გაანალიზებულია კერძო საკუთრების დამკვიდრების სახელით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები, მიწის, ამ უძვირფასესი რესურსისა და სიმდიდრის მიმართ დამოკიდებულება, სახელმწიფოს მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების უუნარობა. ზედმიწევნითაა ყურადღება გამახვილებული ეროვნული უსაფრთხოების მთავარ საფრთხეებზე; გადმოცემულია, რა მოიტანა ქვეყნის ეკონომიკური გარდაქმნების რთული პროცესის თვითდინებაზე მიშვებამ, სახელმწიფოს როლის დაკნინებამ, მეცნიერული პოტენციალის უგულვებელყოფამ და გამოთიშვამ მართვის პროცესიდან.“**

აქ თითქმის ყველაფერია ნათქვამი. სამწუხარო ის არის, რომ დღემდე არ ჩანს მკითხველი, ვინც უნდა კითხულობდეს და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე იყენებდეს ამ გამოცდილებას.

უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ ბატონი ნოდარის მიერ ლოზუნგად წამძღვარებულ სიტყვებს თავის წიგნზე - **„ვაშინერს*, ბატონებო, საქართველოს დაშლა!“**(2005): „მაღალი **ნიჭი,** ცოდნის თანამედროვე ჩარხზე გალესილი **ჭკუა,** ქვეყნის წინაშე უზენაესი **პასუხისმგებლობა,** ჩაკირულ-ჩადუღაბებული ქართული **პატიოსნების** ბალავარში - ის პირობა-ფაქტორია, რომელიც **XXI საუკუნეში საქართველოს აღმავლობის დიდ გზაზე გაიყვანს“.**

ვულოცავთ ბატონ ნოდარ ჭითანავას საიუბილეო თარიღს. კვლავაც დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას ვუსურვებთ თავისი ოჯახისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სარედაქციო კოლეგიის სახელით,
ლოიდ ქარჩავა
მთავარი რედაქტორი

* „ვაშინერს“ მეგრულში იგივეა, რაც ტაბუ.

ISSN 1512-4649
ISSN 2667-9752(Online)

ახალი ეკონომისტი The New ECONOMIST

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა — 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;
3. სტატიას უნდა ახლდეს ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია იბეჭდება ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 10 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება — 10 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE33LB0113168905809000, სს „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდია LERTGE22.

ელექტრონული ფოსტა: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge
tel: 299-05-76; 555 277 554; 558 944 800.
PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.
3. The article must have abstract in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.
4. The article will published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.

The price of article's publication is- one page of journal 10 GEL (Lari) or 5 USD. And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 10 GEL (Lari) or 5 USD.

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE33LB0113168905809000,, "liberty bank", central office, bank code LERTGE22.

Our coordinates:

e-mail: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge
Tel: 299 05 76; 555 277 554; 558 944 800.
PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

www.neweconomist.com.ge
E-mail: editor@neweconomist.com.ge